PRIME Time

N31 (281) ორშაბათი, 11 აგვისტო, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

მარგველაშვილის სიძე ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებისთვის პოლიციამ მეორედ დააკავა

ბურუსით მოცული ორი მკვლელობა, რომელიც პატარკაციშვილის სახელს უკავშირდება

„ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ ბადრიმ თქვა: „ახლა ჩემი ჯერი დადგაო“

EXCLUSIVE

21 წლის ოთო გურგენიშვილის ტრაგედიის უცნობი დეტალები

„ოთომ ბავშვი კი არა, თანმხლები გოგონა გადაარჩინა... ისეთი ძლიერი დარტყმა იყო, რომ ბიჭი რამდენიმე მეტრში გადაისროლა. ბიჭი საშინლად დამტვრეული იყო. მძღოლი არ გაქცეულა“

EXCLUSIVE

10 საქმე ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ



- რას ყვება ირაკლი ოქრუაშვილი ვალერი გელაშვილის საქმეზე?
- რაზე აქვს ხელი მოწერილი თავად?
- ვინ გეგმავს მის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას?

EXCLUSIVE

რას ყვებოდა ეროსი კინწარაშვილი ირაკლი ოქრუაშვილზე

„ის მზად იყო, დაეწყო სამხედრო ოპერაცია იმ პირობებშიც კი, როდესაც ცხინვალის რეგიონი სავსე იყო მშვიდობიანი მოქალაქეებით“, – განაცხადა კინწარაშვილმა

რამდენი მილიონის დაბრუნებას ითხოვს ვალერი გელაშვილი სააკაშვილისგან

„მორალური კომპენსაცია უკვე მივიღე იმით, რომ სააკაშვილს ბრალი სწორედ ჩემს საქმეზე დაუმძიმდა“

EXCLUSIVE

უპრეცედენტო ამნისტია - პრეზიდენტმა ნარკომანებიც შეიწყალა

ლია მუხაშავრია: „შეიწყალა, მაგრამ ვერ გეტყვით, რამდენი“

EXCLUSIVE

თურქეთში სამუშაოდ წასული 21 წლის მამაკაცი ტყეში ჩამომხრჩვალი იპოვეს

„ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს, სადღაც ხელვაჩაურის ტყეში. აჭარას არც კი იცნობდა“

EXCLUSIVE

„ვარდების რევოლუცია“ EXCLUSIVE სახელმწიფო გადატრიალება იყო?

რა განსხვავებაა სააკაშვილსა და „გრეჩიხას“ შორის

ვალერი გელბახიანი: „როდესაც მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში შეიჭრა, სწორედ ეს ნიშნავდა სახელმწიფო გადატრიალებას“

TV BAZ

EXCLUSIVE

ვინ დატოვა „ტაბულა“, რა მოლაპარაკებებს აწარმოებს ნოდარ მელაძე, ვინ გახდა „იმედის“ დირექტორი და სად გავა ნათია მიქიაშვილის გადაცემა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზაფხულის სეზონი და ახალი ტურისტული პროდუქტები ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისგან

ნანა შონია

უცხოელი ტურისტების მხრიდან საქართველოსადმი ინტერესი გაზრდილია, ეს იმ კომპლექსური მუშაობის დამსახურებაა რაც სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს. ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ზრდისა და ახალი ტურისტული მიმართულებების განვითარების მიზნით წელს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ არაერთი ახალი პროექტი განახორციელა.

მსოფლიო რიტმს სათავგადასავლო ტურიზმის მიმართ ინტერესის ზრდასთან დაკავშირებით არც ჩვენი ქვეყანა ჩამორჩა. მით უფრო, რომ ქვეყნის ეკოლოგია და გეოგრაფიული მდებარეობა ამის საშუალებას იძლევა. ოთხი სეზონი და ოთხივე სეზონზე ტურისტებისთვის შესათავაზებელი სხვადასხვა პროდუქტები. ერთ-ერთი ასეთი პრიორიტეტი სათავგადასავლო და შიდა ტურიზმია.

ქვეყანას სათავგადასავლო ტურიზმის კუთხით მართლაც დიდი პოტენციალი აქვს. ამ მიმართულებით კი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია უამრავ სიახლეს გთავაზობთ.

ერთ-ერთი განსაკუთრებული და გამორჩეული კი კანიონინგის პროექტია. ამ პროექტის განხორციელების საკმაოდ რთული მისია ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ დაისახა მიზნად და წარმატებით განახორციელა. ქართული კანიონები მსოფლიო ტურიზმის ყურადღების ცენტრშიც მოხვდა.

სამეგრელოს რეგიონი ამ კუთხით გამორჩეული და განსაკუთრებულია. ადგილზე კანიონინგის განვითარების უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის მდინარე ხობისწყლის შენაკადები. რომლებიც კლდეებიდან ულამაზესი ჩანჩქერების სახით ჩამოედინება და ხობისწყალს უერთდება. ადმინისტრაციის მიერ დაქირავებულმა იტალიელმა ექსპერტებმა ხობისწყლის ტერიტორია შეისწავლეს და ადგილობრივებიც გადაამზადეს. იტალიელი სპეციალისტების დასკვნებით, ქვეყანას, ამ მხრივ, ტურისტული პოტენციალი აქვს.

კანიონინგი - საკმაოდ პოპულარული აქტივობაა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და მის მიმართ ინტერესი, მსოფლიოს მასშტაბით, იზრდება. ამ დროს გამოიყენება სპეციალური აღჭურვილობა, ის, წყლის დინების მიმართულებით გადაადგილებას გულისხმობს და მოიცავს სხვადასხვა ტექნიკას, როგორიცაა: ფეხით სიარული, ჩანჩქერებზე თოკით დაშვება, ცურვა, გადმოხტომა. ეს სათავგადასავლო ტურიზმის ერთ-

ერთი ყველაზე პრიორიტეტული და ექსტრემალური სახეობაა. ხობისწყლის ტერიტორია, წყალუხვი ჩანჩქერების, ტბების, კანიონებისა და ბუნების ძეგლების განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა, რაც ზემოაღნიშნული ტურისტული პროდუქტის განვითარებისთვის კარგ წინაპირობას ქმნის. ადგილზე ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ მაქსიმალურად უსაფრთხო გადაადგილება შეძლოთ. ტურიზმის ადმინისტრაციის ამ ახალი პროდუქტით სარგებლობა ზაფხულის სეზონზე აქტიურად არის შესაძლებელი.

იქიდან გამომდინარე, რომ ეს პროექტი ფართო მასშტაბებზეა გათვლილი, მომავალი წლიდან ის უფრო მეტ მასშტაბებს შეიძენს და მისი განხორციელება რაჭაშიც არის დაგეგმილი.

დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკების ახალი მარშრუტები...

დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკების მარშრუტები ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება და სათავგადასავლო ტურიზმის მოყვარულთათვის განსაკუთრებული ინტერესის მატარებელია. ამ კუთხით ყველაზე აქტიური ზაფხულის და შემოდგომის პირველი ნახევარია.

საქართველოს დაცული ტერიტორიები მოიცავს თოთხმეტ სახელმწიფო ნაკრძალს, ათ ეროვნულ პარკს, ორმოც ბუნების ძეგლს, ორ დაცულ ландშაფტს. ზაფხულის დადგომასთან ერთად დაცული ტერიტორიების მონახულების ინტერესიც იზრდება. ქართველებზე მეტად ჩვენს დაცულ ტერიტორიებს უცხოელები სტუმრობენ, ეს დამოკიდებულება კი თანდათან იცვლება, რადგან შიდატურიზმი ადმინისტრაციის პრიორიტეტია. ამასთან, წელს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით, ახალი ეროვნული პარკები შეიქმნა. ეს არის ყაზბეგის და ჯავახეთის ეროვნული პარკი. რომელიც რეალურად არა მარტო უცხოელებისთვის, არამედ ქართველებისთვისაც ახალი აღმოჩენაა.

12-16 აგვისტო - „ტობა fest 2014“

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით, წელს პირველად, 12-დან 16 აგვისტოს ჩათვლით, სამეგრელოში „ტობა fest“ 2014 გაიმართება. ზღვის დონიდან 2 650 მეტრის სიმაღლე, ღურჯად, მოელვარე მწვანეში ჩამჯდარი ტბა, ადგილი, სადაც დრო ჩერდება. ამ ადგილების დათვალიერება ფესტივალის ფარგლებში, წელს, სრულიად უფასოდ 150-კაცს შეეძლება, შემადგენლობაში ინსტრუქტორები, მედიკოსები და მზარეულები

იქნებიან. სამეგრელოს სათავგადასავლო პოტენციალის ზრდის კუთხით ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ხუთდღიანი ტურის ფარგლებში, ლაშქრობის მოყვარულები ნახავენ ეგრისის ქედს და ტობავარჩხილის ტერიტორიას. გაეცნობიან ადგილობრივ ყოფას, კულტურას, ტრადიციებს, ტურისტულ რესურსებს. ჩაუტარდებათ თეორიული ლექციები, რომელიც მიეძღვნება იმ ტერიტორიის ბიომრავალფეროვნებას და ტურისტულ რესურსებს, თუ რა პოტენციალი აქვს ამ ადგილებს სამომავლოდ, როგორც დაცული ტერიტორიის თვალსაზრისით, ასევე ტურისტული პროდუქტის განვითარების კუთხით. ღონისძიება სრულად არის დატვირთული გასართობი ნაწილითაც, ყოველ საღამოს დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები. შექმნილ სიტუაციაში, ყველაზე საინტერესო არის ის, რომ მონაწილეთა შერჩევა გამჭვირვალე პრინციპით ხდება, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სოციალური გვედის მეშვეობით, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია შეავსოს ანკეტა და დარეგისტრირდეს.

გუდაურის და ბაკურიანის ველოპარკი

გუდაური და ბაკურიანი ზამთრის სეზონზე ყველაზე მეტი ტურისტის ყურადღებას იპყრობს. ეს ის ადგილებია რასაც ადამიანთა უმეტესობა, ერთ სეზონზე, მხოლოდ ზამთარში აკითხავს. წელს, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, გუდაურის და ბაკურიანისთვის ისეთი ახალი ტურისტული პროდუქტების დანერგვა შეძლო, რომ ამ ადგილებს ტურისტები არა მხოლოდ ზამთრის, არამედ ზაფხულის სეზონზეც ესტუმრებიან. ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული სპეციალური პროექტის მიხედვით ადგილზე ველოპარკების განვითარება დაიწყო. რამდენიმე ველოტური და შეჯიბრი მოეწყო. გასულ კვირას კი ჩემპიონატიც ჩატარდა.

ზიპლაინი - ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი ქართულ რეალობაში....

პარალელურად, კვლავ პრიორტეტულ მიმართულებად რჩება საზღვაო სეზონი. შავი ზღვის სანაპიროებზე წელს არაერთი ღონისძიება გაიმართება. აჭარის დაცულ ტერიტორიაზე კი ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ტურისტული პროდუქტი დაინერგა. ეს არის ზიპლაინი. პროექტი, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის დახმარებითა და გერმანიის მთავრობის დაფინანსებით განახორციელა. პროექტის ფარგლებში 5 დაცულ ტერიტორიაზე მოხდა 9 ეკოტურისტული პროდუქტის დანერგვა და შემუშავდა ქართული, ეკოლოგიურად სუფთა ტურისტული ნიშანი, რომლის სიმბოლოც ქართული მუხის ფოთოლია.

ნადირობის სეზონი....

ტურიზმის ადმინისტრაციის პრიორიტეტებს შორის, განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ნადირობის სეზონია. რომლის ირგვლივაც ადმინისტრაციამ სხვადასხვა პროდუქტები შეიმუშავა.

ნადირობის მოყვარულთათვის დაიწყება გადამფრენი ფრინველების ნადირობის სეზონი. წელს სეზონი სამცხე-ჯავახეთში და სამეგრელოში, პალიასტომის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხნება. ეს პროდუქტი განსაკუთრებულ

ყურადღებას იქცევს და ის საკმაოდ მომხიბვლელია. ამ პროდუქტების პარალელურად აქტიურად მიმდინარეობს კვლევები.

აგროტურიზმის კვლევა

მანამ, სანამ ამა თუ იმ პროექტის განხორციელება დაიწყება, გამოცდილი გუნდი აწარმოებს კვლევას, სწავლობს ადგილს, პოტენციალს, შესაძლებლობას და სწორედ ამის შემდეგ იწყება მუშაობა ამა თუ იმ პროექტის განხორციელებაზე. წელს პირველად ტურიზმის ეროვნულმა ადამინისტრაციამ თბილისის შემოგარენში აგროტურიზმის კვლევა განახორციელა. ამ კვლევის მიზანი იმ პოტენციალის დადგენაა, რომლის მიხედვითაც თბილისთან ახლოს მყოფი რეგიონები შიდა ტურისტების მიღებას შეძლებენ. იმისთვის, რომ თბილისიდან თუნდაც ერთი დღით ქალაქგარეთ გამსვლელებს ადგილზე სასიამოვნო გარემო და დასვენებისთვის საჭირო პირობა დახვდეს. ადგილის პოტენციალის შესწავლა აუცილებელია. ეს არის თბილისთან ახლოს: კახეთი, თეთრიწყარო, დედოფლისწყარო. ადმინისტრაციამ შექმნა სათავგადასავლო მარკეტირების პროექტები, რომლებიც განხორციელდება და მომავალ წელს უფრო მეტი აქტივობით ამოქმედდება.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ პრიორიტეტული მიმართულებებისა, რომელზეც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მუშაობს და რომლითაც სარგებლობა ზაფხულის სეზონზე იქნება შესაძლებელი. წინ კიდევ შემოდგომა და ზამთრის სეზონი გველის, რომლის ფარგლებშიც არაერთი სიახლე და საინტერესო მარშრუტები იქნება შემოთავაზებული, როგორც საქართველოში ჩამოსული, ასევე შიდა ტურისტებისთვის.

თქვენ კი ისღა დაგრჩენიათ, ჩაალაგოთ თქვენი ნივთები და თავგადასავლებისთვის ემზადოთ, საქართველოს შეცნობა ამჯერად მხოლოდ თქვენ მონდომებაზე იქნება დამოკიდებული.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ ბადრიმ თქვა: ახლა ჩემი ჯერი დადგაო

რა საეჭვო მკვლელობები უკავშირდება ბადრი პატარკაციშვილს

ქეთი ხატიაშვილი

პირადად ჩემთვის ეს არის ისტორია ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორი ძალაზე, რომელიც ერთმანეთს პოლიტიკის კი არა, სიძულვილის ენაზე ელაპარაკებოდა. მათ ერთმანეთი ვერ აღიქვეს ხელისუფლებად და ოპოზიციაც. სიძულვილმა ისინი მტრებად აქცია... კომპრომატების ომმა კი საბოლოოდ სპირალის ფორმა მიიღო და ორივე მათგანი აბსურდამდე მიიყვანა. სააკაშვილის ხელისუფლებაც აცხადებდა, რომ ბადრი პატარკაციშვილი სერიოზული პოლიტიკური მკვლელობისთვის ემზადებოდა და პატარკაციშვილიც ამბობდა, რომ ხელისუფლებას მკვლელობები აქვს შეკვეთილი.

ახლა გოგა ხაინდრავა დასახელდა, მაშინ გიორგი თარგამაძე, რომლის მოკვლასაც თითქოს ბადრი პატარკაციშვილი ცდილობდა, ბადრი პატარკაციშვილი კი ის ერთადერთი ფიგურა იყო, ვისი მოკვლის ბრძანებაც თითქოს სააკაშვილმა გასცა...

ჩემთვის ერთიც დაუჯერებელია და მეორეც... ეს იმის კლასიკური მაგალითია, რამდენად ტრაგიკული შეიძლება იყოს ადამიანებისთვის პოლიტიკაში სიძულვილი და რამდენად დამანგრეველი – ქვეყნისთვის მტრობა...

კონკრეტული პოლიტიკოსები, რომლებიც ბადრი პატარკაციშვილის თანამებრძოლები იყვნენ, მასთან პირად საუბრებს იხსენებენ. პრემიერ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ, როგორც თავად ამბობენ, ბადრიმ რამდენიმე მეგობარს უთხრა: როგორც ჩანს, ახლა ჩემი რიგია, ისინი ჩემს მოკვლასაც ეცდებიანო...

ზუსტად არ ასახელებენ ციფრს, თუმცა, ამბობენ, რომ ბადრიმ დიდი ფული გადაიხადა საკუთარი უსაფრთხოებისთვის. ჟვანიას სიკვდილიდან 6 თვეში იმ პირსაც მიაგნო, ვისაც პატარკაციშვილის ლიკვიდაცია ჰქონდა დაგეგმილი. როგორც იხსენებენ, ბადრიმ ჩეჩენ ბოევიკს აღიარებისთვის 250 ათასი დოლარი გადაუხადა, თუმცა, გაცილებით მეტი დახარჯა, მკვლელის კვალისთვის რომ მიეგნო...

უკვე ოპოზიციაში გადასულმა თავდაცვის მაშინდელმა ექსმინისტრმა განაცხადა, რომ სააკაშვილმა მას პატარკაციშვილის მკვლელობა შეუკვეთა, თუმცა, მან ამ დავალების შესრულებაზე უარი განაცხადა, ასეა მისი ჩვენების მიხედვით. უფრო ადრე კი ღიად პრემიერ ჟვანიას გარდაცვალებაზე თქვა, რომ ეს მკვლელობა არ იყო.

თუმცა პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ყოფილი წევრები იხსენებენ, რომ ბადრის პრობლემები სწორედ მაშინ გაუჩნდა, როცა პრემიერის გარდაცვალების ტრაგიკული ვერსია არ დაიჯერა და საკუთარი უსაფრთხოებისთვის დაიწყო ბრძოლა.

მეორე მხრივ, როცა ერთ-ერთმა რუსმა ჟურნალისტმა უკვე პოლიტიკოს ბადრი პატარკაციშვილს ჰკითხა: ასეთი მდიდარი ადამიანი ხართ, ყველაფერი გაქვთ, რაც შეიძლება ადამიანმა მოისურვოს, რატომ წახვედით პოლიტიკაშიო, მან უპასუხა: იმიტომ რომ მოწყენილი ვარო... ისე გამოვიდა, რომ ბადრი აზარტსა და თავგადასავლებს ეძებდა... მას მაშინ არაფერი უთქვამს არც ჟვანიას გარდაცვალებაზე, არც მის პირად უსაფრთხოებაზე...

თუმცა ვალერი გელბახიანი დარწმუნებულია, რომ ბადრი პატარკაციშვილი, უბრალოდ, იძულებული იყო, მაშინ თავი დაეცვა. მაგალითისთვის მან პოლკოვნიკ ჭანკვეტაძის შემთხვევა მოიყვანა. „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში განაცხადა:

– ჩვენ 2007 წლის დეკემბრის დასაწყისში მივიღეთ ინფორმაცია, რომ კოდუას უწყება 6 ოფიცერს „ამუშავებდა“, რათა გოგა ხაინდრავასთვის შეიარაღებული გზით სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დაედოთ ბრალი! ეს ექვსი ოფიცერი აწამეს და ვიდეოჩვენებები მიაცემინეს, თითქოს მათ გოგა ხაინდრავამ 500 ათასი დოლარი გადაუხადა, რათა იარაღი ეყიდათ! მეტიც, იარაღის ნაწილი ვითომ უკვე შეძენილი ჰქონდათ! როცა ეს ინფორმაცია მივიღეთ, ძალიან ბევრი ვიმუშავეთ და გავედით ერთ ადამიანზე – პოლკოვნიკ ჭანკვეტაძეზე, რომელსაც უსაფრთხოების გარანტიები მივეცით და დავითანხმეთ, ჩვენთვის ვიდეოჩვენება მოეცა, როგორ აიძულებდნენ მას და სხვა ოფიცრებს გოგა ხაინდრავას წინააღმდეგ ცრუ ჩვენების მიცემას! ამის შემდეგ პოლკოვნიკი ჭანკვეტაძე უსაფრთხოების მიზნით საზღვარგარეთ გავუშვით, ხოლო მე 17 დეკემბერს პრესკონფერენცია მოვაწყვე და მისი ვიდეოჩვენება საჯაროდ გავუშვი. ხელისუფლებამ, რა თქმა უნდა, მაშინვე უარყო, ასეთ რამეს არ ვგეგმავდით, პირველად გვესმისო და უკან დაიხია! ასე გადაურჩა დაჭერას გოგა ხაინდრავა! პირადად ბადრის ინიციატივა იყო, რომ გოგა ხაინდრავა როგორმე დაჭერას გადაერჩინა! ახლა გეკითხებით, თუ პატარკაციშვილს ხაინდრავას თავიდან მოშორება უნდოდა, ყველაფერს გააკეთებდა, რომ ის დაჭერისგან გადაერჩინა?!

ვალერი გელბახიანმა მოგვიანებით განმარტა, რომ გერმანიიდან დაბრუნებული ჭანკვეტაძე რამდენიმე ხანში ქუჩაში მოკლული იპოვეს, თუმცა ეს საქმე დღემდე გახსნილი არ არის...

სხვა შემთხვევასაც იხსენებენ, როცა პროკურატურამ მაშინ ბადრი პატარკაციშვილის შტაბის წამყვანი ფიგურების დაკითხვები მასობრივად დაიწყო, მცხეთაში ვინმე მანსურაშვილი დაკითხვის დროს გულის შეტევით გარდაიცვალა. ამ ინფორმაციით დაურეკეს ოჯახს, პროკურატურაში მისულმა მანსურაშვილის შვილმა ეს ვერსია გააპროტესტა და პროკურატურამ ახლა ის შეიყვანა დასაკითხად, თუმცა, ოფიციალური ვერსიით, დაკითხვის დროს მასაც გული გაუჩერდა... ამბობენ, რომ მაშინ ეს შემთხვევა გასაჯაროვდა, თუმცა, მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.



გერმანიიდან დაბრუნებული ჭანკვეტაძე რამდენიმე ხანში ქუჩაში მოკლული იპოვეს, თუმცა ეს საქმე დღემდე გაუხსნელია...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოქროს მოგვე თუ

მირიან ბოქოლიშვილი



კანონის წინაშე ყველა თანასწორია – სწორედ ამ განმარტებას იშველიებს მმართველი გუნდი, როდესაც მიხეილ სააკაშვილის პასუხისგებაში მიცემის მიზანშეწონილობაზე ეკითხებიან. ცხადია, ვინც დააშავა, პასუხი უნდა მოეთხოვოს და ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს სიმართლე, თუმცა სააკაშვილის მიმართ მართლმსაჯულების აღსასრულებლად იმ პირების გამოყენება, რომლებიც თავადაც არ მალავენ ექსპრეზიდენტის მიმართ პოლიტიკურ რევანშს, საზოგადოებაში გარკვეულ ეჭვებს ბადებს. მით უმეტეს, რომ სააკაშვილთან ერთად მათ მიმართაც არსებობს სერიოზული კითხვები.

ექსპრეზიდენტის წინააღმდეგ დაწყებული სამართლებრივი პროცესის ავანგარდში მისი ყოფილი თანაგუნდელები – ნინო ბურჯანაძე და ირაკლი ოქრუაშვილი არიან. ბურჯანაძის ჩვენებას ამჟამად აღარ ჩავუღრმავდებით, რადგან ამაზე „პრაიმტაიმი“ ერთხელ უკვე წერდა. მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რას ამბობდა პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე ირაკლი ოქრუაშვილზე, როდესაც ამ უკანასკნელმა პოსტი დატოვა, ოპოზიციაში გადაბარგდა და სატელევიზიო ეთერით სკანდალური განცხადებები გააკეთა, მათ შორის იმაზე, როგორ უკვეთდა მიხეილ სააკაშვილი ბადრი პატარკაციშვილის ლიკვიდაციას. მაშინ ბურჯანაძე ოქრუაშვილის განცხადებებს ბინძურ ცილისწამებად აფასებდა და მეტი დამაჯერებლობისთვის, ვანო მერაბიშვილის სიტყვებსაც კი ციტირებდა.

„ჩვენი შეცდომის ერთ-ერთი „იდეალური“ მაგალითი არის სწორედ ბატონი ირაკლი ოქრუაშვილი. დღეს ბატონმა ვანომ მართლაც ძალიან კარგად ბრძანა, რომ მას ეუხერხულებოდა და რცხვენოდა, რომ ასეთი პიროვნება გვყავდა. კიდევ უფრო სირცხვილია, რომ ეს ადამიანი ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენს გვერდით იყო და ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. ძალიან დიდი გულისტკივილით ვამბობ ამას, ეს გულისტკივილი პრეზიდენტმაც თქვა და ეს არის თითოეული ჩვენგანის გულისტკივილი. ნამდვილად სირცხვილია, რომ ჩვენ წლების განმავლობაში ერთ-ერთ ლიდერად გვყავდა ადამიანი, რომელმაც იკადრა ის, რისი წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო. ადამიანი, რომელიც აღმოჩნდა აბსოლუტურად ჩაფლული ყველანაირ სიბინძურეში. ეს ჩვენთვის დიდი გაკვეთილია, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ“, – აცხადებდა ბურჯანაძე 2007 წელს, ოქრუაშვილის ცნობილი გამოსვლის შემდეგ.

ბედის ირონიით, დღეს ბურჯანაძეც და ოქრუაშვილიც სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენებების დაწერას ერთმანეთს ასწრებენ და როგორც იტყვიან, კალამს ვერ აგდებინებენ ხელიდან. სააკაშვილს, სავარაუდოდ, ბრალს კიდევ სხვა საქმეებზეც წაუყენებენ, თუმცა უხსნის თუ არა ეს პასუხისმგებლობას ირაკლი ოქრუაშვილს, რომლის ანგარიშზეც არაერთი გახმაურებული საქმეა? ვისაც დაავიწყდა, უბრალოდ, შევახსენებთ, რომ სწორედ ოქრუაშვილი მიიჩნეოდა ძალადობრივი სისტემის ერთ-ერთ ავტორად და მას პოლიტიკური ოპონენტები მკაცრად აკრიტიკებდნენ.

ოქრუაშვილი ვალერი გელაშვილის საქმეზე მიცემულ ჩვენებაში ამბობს, რომ პირველად სწორედ მას დაუკვეთა სააკაშვილმა გელაშვილზე ანგარიშსწორება, თუმცა მან დეპუტატის ცემას ხელი არ მოაწერა. მის ამ სიტყვებში ეჭვს არავინ შეიტანდა, რომ არა ის საქმეები, რომელზეც ოქრუაშვილს ხელი აქვს მოწერილი. ასეთი საქმეები კი არცთუ ისე ცოტაა.

დავიწყოთ 2004 წელს სოფელ კეხვში განვითარებული მოვლენებით... „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სწორედ ირაკლი ოქრუაშვილი იყო პირველი ჩინოვნიკი, რომელსაც სახალხო დამცველი (სოზარ სუბარი) მწვავედ დაუპირისპირდა. საუბარია კეხვის ინციდენტზე, როდესაც რუსეთიდან დეპორტირებულ საქართველოს მოქალაქეებს ოქრუაშვილი ქვეყანაში შემოსვლის უფლებას არ აძლევდა.

ოქრუაშვილი საქართველოში არ უშვებდა რუსეთიდან დეპორტირებულ ქართველებს, რომელთა შორის იყვნენ მძიმე ავადმყოფები, მეძუძური დედები და მცირეწლოვანი ბავშვები

2004 წლის 30 ოქტომბერს რუსეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე, როკის გვირაბის გავლით, 5 ავტობუსი შემოვიდა, მათ რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები მოაცილებდნენ. ავტობუსში სხვებთან ერთად იმყოფებოდა რუსეთიდან დეპორტირებული საქართველოს 60-მდე მოქალაქე... ავტობუსებმა როკის გვირაბიდან სოფელ კეხვამდე გზა უპრობლემოდ გაიარეს (ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია). აქ ისინი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა გააჩერეს (მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის უშუალო ბრძანებით), უკან გაბრუნება და კანონიერი გზით – ლარსის მხრიდან შემოსვლა მოსთხოვეს. ამ მოთხოვნას ყველაზე ხმამაღლა პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში, მიხეილ ქარელი (ქარელი ირაკლი ოქრუაშვილის გუნდის წევრი და მისი ახლო მეგობარი გახლდათ) ახმოვანებდა. სახალხო დამცველი წერდა, რომ ეს იყო უკანონო და ანტიკონსტიტუციური ქმედება, რომელიც, აგრეთვე, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას... კეხვში შეჩერებული მგზავრების უკან გაბრუნება შეუძლებელიც იყო, რადგან იქ მყოფთა ნაწილს ამოწურული ჰქონდა ვიზის ვადა, ნაწილი დეპორტირებული იყო, ხოლო მგზავრთა ნაწილს შეადგენდნენ ავადმყოფები და მეძუძური დედები ბავშვებით.

სიტუაცია მას შემდეგ განიმუხტა, რაც სუბარი საქართველოს პრეზიდენტს დაუკავშირდა. ამის შემდეგ, ოქრუაშვილს უკან დახევა მოუხდა. ორ ნოემბერს საქართველოს მოქალაქეებს კონფლიქტის ზონიდან გამოსვლის უფლება მისცეს. ისინი დროებით გორის საბაჟო ტერმინალში დააბინავეს. ირაკლი ოქრუაშვილისთვის კი არც მაშინ და არც ახლა, ადამიანის უფლებებისა და კონსტიტუციის დარღვევისთვის, პასუხი არავის მოუთხოვია.

პროკურატურიდან საკაცით გამოყვანილ დავით მირცხულავას ინფარქტი და ინსულტი დაუდგინდა

ოქრუაშვილი, თითქმის ყველა პოსტზე, ომბუდსმენის კრიტიკის ობიექტი გახლდათ. დაწყებული გენერალური პროკურორობით, დამთავრებული თავდაცვის მინისტრობით. სწორედ ირაკლი ოქრუაშვილია გახმაურებული ტელედაჭერების

მიხეილ ქარელი: „მის სითავხედესა და ფარისევლობასაც უნდა ჰქონდეს საზღვარი და, ბუნებრივია, ჩვენი რეაქციაც ადეკვატური იქნება“

ავტორიც... მისი ინიციატივით, ყოფილი ჩინოვნიკების დაპატიმრება კანონის აღსრულებაზე მეტად, ტელეშოუებს დაემსგავსა. მაშინ, სახალხო დამცველის წლიურ ანგარიშში მოხვდა დავით მირცხულავას საქმეც, რომელიც ოქრუაშვილმა გენპროკურატურაში დაიბარა, იქიდან კი ენერგეტიკის ექსმინისტრი საკაცით გამოიყვანეს.

„2003 წლის 24 დეკემბერს გენერალურ პროკურატურაში იმყოფებოდა ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა, რომელიც დაკითხვის შემდეგ დაპატიმრეს. ამ დროს მას დაემართა ინფარქტი და ტვინის ინსულტი“, – ნათქვამია ომბუდსმენის ანგარიშში.

რა მოხდა ოქრუაშვილის კაბინეტში, დღემდე არავინ იცის. სამაგიეროდ, ყველასთვის კარგადაა ცნობილი შიდა ქართლში დიდი გაკულაკების შესახებ.

როგორ აიძულეს მეწარმე, 228 ათასად შეფასებული ბაზარი გორის გამგეობისთვის ეჩუქებინა?

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, შიდა ქართლში ქონების ხელახალი გადანაწილების პროცესი დაიწყო. „დიდი გაკულაკება“, როგორც ამას გორელები უწოდებენ, მიხეილ ქარელის (ოქრუაშვილის უახლოესი მეგობარი) გუბერნატორად დანიშვნის დღიდან იღებს სათავეს. ბიზნესმენი, რომელმაც საკუთარი ბაზარი, ინდსანარმო „ლიახვი“ გორის გამგეობას აჩუქა, ჯემალ ნიკლაურია. მას ოქრუაშვილის გარემოცვასთან პრობლემები ბაზარში საკონტროლო სასწორის არარსებობის გამო შეექმნა. წიკლაური 2004 წლის მარტში დააპატიმრეს. რწმუნებულ ქარელის მხრიდან ზეწოლა საპყრობილეშიც გაგრძელდა. პროკურატურის თანამშრომლების გარდა, ციხეში ქარელიც იყო შესული და ბაზრის ჩაბარებას მოითხოვდა. 4-თვიანი პატიმრობის შემდეგ, საკანში აიძულეს, ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ნოტარიულ აქტზე მოეწერა ხელი და თავისუფლების სანაცვლოდ, 228 000 ლარად შეფასებული ბაზარი გამგეობისთვის ეჩუქებინა.

„მეუბნებოდნენ, რომ გარიგება ხდებოდა პროკურატურასთან, გოლოს დამიძახეს და განმიცხადეს, უნდა ჩაგვაბარო ობიექტიო“

შპს „კომერსანტი 95“-ის დოკუმენტაცია და საწარმო, გორის რაიონის პროკურატურამ 2004 წლის ივნისში (ამ დროს ოქრუაშვილი გენპროკურორის თანამდებობაზეა) დალუქა. პროკურატურის მიერ შედგენილ შუალედურ აქტს არ დაეთანხმა საწარმოს დირექტორი და ერთ-ერთი მეწილე თეიმურაზ ბლუაშვილი: „მე განვაცხადე პროტესტი და ვითხოვდი ექსპერტიზის ჩატარებას. ვხედავდი, რომ პროცესი მიდიოდა მიზანმიმართულად, თანხას კი სპეციალურად ბერავდნენ... ადვოკატის აყვანის საშუალება არ მომცეს. მეუბნებოდნენ, რომ გარიგება ხდებოდა პროკურატურასთან, საგანგაშო არაფერი იქნებოდა, თუ რაღაც თანხას ჯარიმის სახით გადავიხდიდი. თუმცა ბოლოს დამიძახეს და განმიცხადეს, ობიექტი უნდა ჩაგვაბაროო“.

გორის სამხარეო პროკურატურაში გარიგება რომ ვერ შედგა, თეიმურაზ ბლუაშვილი იმავე დღეს დააპატიმრეს და ქონება დაათმობინეს... „ქონების გადაცემა მაიძულა პროკურატურამ, პროკურატურა იყო შემსრულებელი, დამკვეთი კი – მხარის ხელმძღვანელობა“.

„ოქრუაშვილი მზად იყო, დაეწყო სამხედრო ოპერაცია იმ პირობებშიც კი, როდესაც ცხინვალის რეგიონი სავსე იყო მშვიდობიანი მოქალაქეებით“

დღეს პროკურატურა სწავლობს 2008 წლის აგვისტოს ომის საქმესაც, ამიტომაც აქვე საინტერესო იქნება, მკითხველს შევახსენოთ, რომ 2008 წლამდე იყო 2004 წელი, როდესაც ირაკლი ოქრუაშვილი ცხინვალში ტანკებით შესვლას აპირებდა. ეს ფაქტი ღიად დაადასტურა რუსეთში საქართველოს ყოფილმა ელჩმა, აწ გარდაცვლილმა ეროსი კინწარაშვილმა.

„მაშინ საქართველოს მთავრობაში ოქრუაშვილი ერთადერთი იყო, ვინც ცხინვალზე შეტევის ინიციატივას ემხრობოდა, თუმცა მისი იდეა არ გაიზიარეს პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა ჟვანიამ, ასევე, ვანო მერაბიშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა. მაშინ ოქრუაშვილის მცდელობა, დაეწყო შტურმი სამხრეთ ოსეთზე, კრახით დასრულდა. ის მზად იყო, დაეწყო სამხედრო ოპერაცია იმ პირობებშიც კი, როდესაც ცხინვალის რეგიონი სავსე იყო მშვიდობიანი მოქალაქეებით“, – განაცხადა კინწარაშვილმა აგვისტოს ომის შემსწავლელ საპარლამენტო კომისიის სხდომაზე.

სურგულაძე მინისტრის დაცვას ჰყავდა გაკავებული, თავად მინისტრი კი მას პირადად უსწორდებოდა

დღეს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოძიება პროკურატურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია... ამ ბრალდებით პასუხისგებაში არაერთი პირიც მიეცა, მათ შორის ბაჩო ახალაია, თუმცა მსგავს დანაშაულში თავის დროზე ირაკლი ოქრუაშვილსაც ამხელდნენ.

ეს ისტორია აჭარაში დღესაც ახსოვთ და როცა ირაკლი ოქრუაშვილის დაუნდობლობაზე ლაპარაკობენ, სხვასთან ერთად, ამ ისტორიასაც ყვებიან. თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა სასტიკად სცემა აჭარის პარლამენტის წევრი, პროფესორი კახა სურგულაძე, იმხანად „ნაცმოძრაობის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი.

ეს ის დროა, როცა თავდაცვის სამინისტრომ რეზერვისტთა მასშტაბური პროექტების განხორციელება დაიწყო. მაშინ რეზერვში თანამდებობის პირებიც

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეჟიმის ავტორი?

- **რას ყვეჯა ირაკლი ოქრუაშვილი ვალერი გელაშვილის საქმეზე?**
- **რაზე აქვს ხელი მოწერილი თავად?**
- **ვინ გეგმავს მის წინაალმდეგ ჩვენების მიცემას?**



ირაკლი ოქრუაშვილი: „ვიცოდი, რომ დაკავებულებს ნამდვილად ჰქონდათ საბრძოლო მასალები და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი“

გაიწვიეს, მათ შორის სურგულაძეც იყო. ის აჭარის ბატალიონს ხელმძღვანელობდა.

ინციდენტი 2005 წლის ზაფხულში ახალციხეში მოხდა. ვარჯიშიდან ჯერ ერთი კვირაც არ იყო გასული, ბატალიონს მოულოდნელად, შემოწმების მიზნით, თავზე ირაკლი ოქრუაშვილი რომ დაადგა. მინისტრმა ბატალიონის სამწყობრო მომზადება ბრძანა. თან ისე ჩქარობდა, თითქოს ეს ის ბატალიონი იყო, რომლითაც სამაჩაბლოს დაბრუნებას აპირებდა. სურგულაძემ ბატალიონი „სმენაზე“ დააყენა, მწკრივში სამი კაცი არ იდგა და ოქრუაშვილს ჯერ კიდევ მაშინ აემღვრა თვალები. საბოლოოდ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ოქრუაშვილმა დეპუტატი ნიხლქვეშ წაიგდო და თან სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა. სურგულაძე მინისტრის დაცვას ჰყავდა გაკავებული, თავად მინისტრი კი მას პირადად უსწორდებოდა. ბათუმის #1 საავადმყოფოში სურგულაძეს დაუსვეს დიაგნოზი: თავის ქალის მრავლობითი დაზიანება, ტვინის შერყევა, სახეზე მრავლობითი დაჟეჟილობები, სისხლჩაქცევები...

ქარელი: ოქრუაშვილს მისთვის არაერთი არასასიამოვნო ისტორიის გახსენება მოუწევს

დღეს ოქრუაშვილი სააკაშვილის წინაალმდეგ აძლევს ჩვენებას, თუმცა საკმაოდ ბევრნი არიან ისეთებიც, რომლებიც თავად ოქრუაშვილის წინაალმდეგაც სიამოვნებით მისცემენ ჩვენებებს. ამ ჩამონათვალში, მის მიერ დაზარალებულ პირებთან ერთად, მისივე ყოფილი მეგობრებიც იქნებიან.

მაგალითად, ცოტა ხნის წინ, „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში ოქრუაშვილის ყოფილ თანაგუნდელსა და ახლო მეგობარს, მიხეილ ქარელს არ დაუმალავს, რომ მზადაა, საქართველოში ჩამოვიდეს და პროკურატურას ოქრუაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცეს.

„მისი პოლიტიკის შედეგი იყო, რომ საბოლოოდ სრული კრახი განიცადა ჩვენმა ბრძოლამ. მისი ე.წ. პოლიტიკური გათვლები, მძიმედ დაანგა ჩვენს ყოფას. მოვა დრო, რომ ამ ყველაფერზე იქნება მსჯელობა და გამოითქმება შეფასებები ოქრუაშვილის უღირს ქცევებთან დაკავშირებით როგორც პოლიტიკაში, ასევე მეგობრებთან და თანამებრძოლებთან ურთიერთობაში... ის ყველა ჩვენგანისგან ითხოვდა იმას, რომ გავჩუმებულიყავით, არ უნდა გველაპარაკა, რომ მან შეცდომები დაუშვა, ბევრი უღირსი საქციელი ჩაიდინა და ა.შ. მისი მუქარები იმდენად გაგრძელდა, რომ გარკვეულ საზღვრამდე მივიდა და, ბოლოს და ბოლოს, პასუხი უნდა აგოს ოქრუაშვილმა. მის სითავხედესა და ფარისევლობასაც უნდა ჰქონდეს საზღვარი და, ბუნებრივია, ჩვენი რეაქციაც ადეკვატური იქნება. ოქრუაშვილის პროვოკაციები მუდმივად იყო ქვეყნის დაშლის საფრთხის მატარებელი. სამწუხაროდ, მაშინ მეგონა, რომ ამ გადაწყვეტილებებს ცენტრალური ხელისუფლება იღებდა. შემდგომ კი გაირკვა, რომ ოქრუაშვილი ყველა გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებდა და ამით აგრძნობინებდა დანარჩენ ხელისუფლებას, ვინ იყო ლიდერი ქვეყანაში, ვინ იყო ლიდერი რეგიონში, ვინ იყო ლიდერი ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში. მის ასეთ ნაბიჯებს რა შედეგები მოჰყვა, ყველამ იცის. თუმცა, არის ბევრი დეტალი, რომელიც საზოგადოებამ არ იცის, თუნდაც რა ხდებოდა შიდა ქართლში და არამარტო იქ. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ყველაფერზე მე უნდა ვაგო პასუხი, რადგან ვიყავი გუბერნატორი და ამ დროს ოქრუაშვილი თურმე არაფერ შუაში ყოფილა. ავიღოთ თუნდაც ქონების ჩამორთმევის თემა. ამაზე, რა თქმა უნდა, ვრცლად მომიწევს საუბარი და არამარტო ამაზე... და ოქრუაშვილს მისთვის არაერთი არასასიამოვნო ისტორიის გახსენება მოუწევს“, – განაცხადა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას მიხეილ ქარელმა.

სოსო რობაქიძე: „არსებობს მოწმე, რომელიც აცხადებს, რომ იარაღი ერთ-ერთი განყოფილებიდან შემთხვევის ადგილზე სწორედ ირაკლი ოქრუაშვილის დავალებით მიიტანეს“

სააკაშვილთან ერთად ოქრუაშვილის დასჯას კატეგორიულად მოითხოვს 2004 წელს, წერეთლის გამზირზე, სპეცოპერაციის შედეგად მოკლული ბუტა რობაქიძის ოჯახიც. გარდაცვლილის მამა, სოსო რობაქიძე ირწმუნება, რომ შემთხვევის ადგილზე იარაღი პირადად ოქრუაშვილის ბრძანებით მიიტანეს.

„არსებობს მოწმე, რომელიც აცხადებს, რომ იარაღი ერთ-ერთი განყოფილებიდან შემთხვევის ადგილზე სწორედ ირაკლი ოქრუაშვილის დავალებით მიიტანეს. იმ კასეტის მონტაჟი კი, რომელიც დონაძემ წარმოადგინა, სწორედ ირაკლი ოქრუაშვილის დავალებით განხორციელდა. ამიტომაც მე არ მოვისვენებ, მანამ სანამ ირაკლი ოქრუაშვილი არ აგებს პასუხს“, – აცხადებს რობაქიძე და დასძენს, რომ სამართლიანობის აღსადგენად ის ბოლომდე იბრძოლებს.

თავად ირაკლი ოქრუაშვილი კი ამ საქმეზე პროკურატურამ ჯერ კიდევ 2013 წლის 16 იანვარს დაკითხა. „პრაიმტაიმს“ ხელში ჩაუვარდა ჩვენება, რომელიც ოქრუაშვილმა ბუტა რობაქიძის საქმეზე მისცა.

„ამ ფაქტზე დეტალური ინფორმაცია არ გამაჩნდა. როდესაც მასმედიის საშუალებებით გავიგე, რომ დაკავებულებისთვის ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალები იყო ჩადებული, დავინტერესდი საქმის გარემოებებით, თუმცა შს სამინისტროს მაღალჩინოსნებისგან მიღებული ინფორმაციით, ვიცოდი, რომ დაკავებულებს ნამდვილად ჰქონდათ საბრძოლო მასალები და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი“, – ამბობს შს ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი დაკითხვის დროს.

„დაბომბეთ სოფელი ჩხალთა, დაადუღეთ, გადაბუგეთ ყველაფერი“

ოქრუაშვილი იყო თავდაცვის ის მინისტრი, რომელიც პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა 2006 წელს კოდორის ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციას, რის შედეგადაც ხეობის ყოფილი გუბერნატორი ამბოხებაში ამხილეს. კვიციანის ადვოკატის ინფორმაციით, ხეობის მიწასთან გასწორების ბრძანება უშუალოდ თავდაცვის სამინისტროდან და ირაკლი ოქრუაშვილისგან მოდიოდა.

„დაბომბეთ სოფელი ჩხალთა, დაადუღეთ, გადაბუგეთ ყველაფერი, ემზარ კვიციანისა და ნორა არღვლიანის სახლებიდან არაფერი დარჩეს“, – ასეთი ბრძანება მიიღეს მფრინავებმა 2006 წელს, როდესაც ოქრუაშვილის ინიციატივით კოდორში ქართული ჯარი შეიყვანეს.

P.S. ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ საქმეებისა, რომელიც სწორედ ირაკლი ოქრუაშვილის სახელს უკავშირდება. ამ ფონზე მისი დღევანდელი ჩვენებები არათუ ხელს უწყობს სამართლიანობის აღდგენას, არამედ პირიქით, შესაძლოა, აზარალოს კიდეც ეს პროცესი, ვინაიდან ოქრუაშვილი-ბურჯანაძის ფაქტორი სააკაშვილის წინააღმდეგ დაწყებულ სამართლებრივ დევნას კიდევ უფრო მეტ პოლიტიკურ ელფერს სძენს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მიხეილ სააკაშვილი –

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

2003 წელი. მიხეილ სააკაშვილი – „შევარდნაძეს გავუშვებთ“...
2007 წელი. ლევან გაჩეჩილაძე – „მიშა, გადადექი„...

პირველი „ვარდების რევოლუციის“ სახელით შევიდა საქართველოს ისტორიაში, მეორე – სახელმწიფო გადატრიალების მცდელობით.

დასაწყისი ორივე პროცესს ერთნაირი ჰქონდა – ხალხი ქუჩაში საკუთარი პროტესტის გამოსახატავად გამოვიდა და სახლში აღარ დაბრუნდა. ორივე შემთხვევაში ხალხს პოლიტიკური ძალა მართავდა და ორივე შემთხვევაში პროტესტი „ნატურალური“ იყო. 2003 წელს პროტესტის მიზეზი გაყალბებული საპარლამენტო არჩევნები გახდა. 2007 წელს – უსამართლობა.

2003 წელს ედუარდ შევარდნაძე იძულებული გახდა სახლში წასულიყო და მემუარები ეწერა. ჯერ კიდევ მოქმედმა პრეზიდენტმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო და საკუთარი ხალხის ნებას არ შეწინააღმდეგა: უმეტესობას უნდოდა მისი გაშვება და შედეგად სწორედ ეს მიიღო... ეს ექსპერტების შეფასებაა.

2007 წელს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საკუთარი ხალხის პროტესტი ძალის გამოყენებით ჩაახშო. ესეც ექსპერტების შეფასებებია და როგორც ისინი აცხადებენ, სწორედ ამ ნაბიჯისთვის ასამართლებენ დღეს ყოფილ პრეზიდენტს საკუთარ სამშობლოში.

როგორც ამბობენ, „ვარდების რევოლუციის“ დადგომისთანავე ურჩიეს შევარდნაძეს, სააკაშვილის ნაბიჯი სახელმწიფო გადატრიალებად შეეფასებინა და მისი დაჭერის ბრძანება გაეცა. შევარდნაძემ რჩევა არ გაითვალისწინა. შედეგად სააკაშვილი სახელმწიფო გადატრიალების ბრალდებით დაპატიმრებას გადარჩა, თუმცა ეს ნაბიჯი შევარდნაძემ მაშინ იძულებით გადადგა. მას აღარც ძალაუფლება ჰქონდა და აღარც დასავლეთის მხარდაჭერა.

უკვე დღეს პოლიტიკურ წრეებში საკამათო თემად არის ქცეული საკითხი, რეალურად რომელი იყო სახელმწიფო გადატრიალება – 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ თუ 2007 წლის საპროტესტო გამოსვლები?

ამ შემთხვევაში პოზიციას მნიშვნელობა არ აქვს. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას თავად „ვარდების რევოლუციის“ მონაწილეებმაც კი აღიარეს, რომ პროცესები მაშინ აშკარად შეიცავდა სახელმწიფო გადატრიალების ნიშნებს...

ვასილ მაღლაფერიძე:

– „ვარდების რევოლუციაზე“ საუბრისას შეიძლება იკამათო, შეიცავდა თუ არა ის სახელმწიფო გადატრიალების ნიშნებს. ამაზე უნდა იმსჯელონ იურისტებმა და ნამდვილად ღირს მოსმენა, იყო თუ არა „ვარდების რევოლუცია“ სახელმწიფო გადატრიალება. მართლაც შეიძლება ამაზე დისკუსია და პირადად მე დამაინტერესებს ამის მოსმენა.

ვალერი გელბახიანის განცხადებით, მოწოდება შეიძლება შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს, თუმცა მაშინ, როდესაც ეს მოწოდება უკვე ქმედებად იქცევა, ის გამოხატული დანაშაულია...

ვალერი გელბახიანი:

– მოწოდებები არ არის დანაშაულის შემადგენლობა. დანაშაული შეიძლება გამონვეული იყოს უმოქმედობითაც და მოქმედებითაც. ეს არის ის შემადგენლობა, რომელიც მხოლოდ მოქმედებაშია გამოხატული. ანუ როდესაც 2003 წელს მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში შეიჭრა, სწორედ ეს იყო დანაშაული და ეს ნიშნავდა სახელმწიფო გადატრიალებას, მაგრამ მოწოდებებით რომ გამოდიოდა გინდ მიხეილ სააკაშვილი და გინდ ლევან გაჩეჩილაძე, შევცვალოთ ხელისუფლებაო, ამაში დანაშაულის ნიშნები არ ყოფილა.

– გამოდის, „ვარდების რევოლუცია“ უფრო იყო სახელმწიფო გადატრიალება, ვიდრე 2007 წლის მოქმედებები?

– „ვარდების რევოლუციის“ დროს პარლამენტში შეჭრა იყო სახელმწიფო გადატრიალება.

ერთადერთი პოლიტიკოსი რომელიც აცხადებს, რომ 2003 წლის რევოლუცია არ ყოფილა სახელმწიფო გადატრიალება, ეს ლევან ბერძენიშვილია.

ლევან ბერძენიშვილი, პარლამენტის წევრი:

– „ვარდების რევოლუცია“ სახელმწიფო გადატრიალება არ ყოფილა, რადგან ხელისუფალი გადადგა. თავად შევარდნაძემ თქვა, სახლში წავედიო. „ვარდების რევოლუცია“ იყო ხელისუფლების ცვლა რევოლუციური გზით. ეს ნამდვილად არ ყოფილა დიდი რევოლუცია. იყო ფერადი რევოლუციები და ისინი არ ყოფილა არავის მიერ აღქმული ხელისუფლების გადატრიალებად, არც შევარდნაძის, არც უცხოეთის მიერ. რაც შეეხება ბადრი პატარკაციშვილსა და მის მცდელობას – ეს სააკაშვილის შეფასებები იყო, რომ ბადრის ჰქონდა ხელისუფლების გადატრიალების მცდელობა. თუმცა არავის მიერ არ მომხდარა აღიარება, არც სასამართლოს, არც შინაურის, არც უცხოეთის მიერ. პირიქით, 2007 წელს სააკაშვილმა წარმოუდგენლად მძლავრი ძალა გამოიყენა საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ...

– თუმცა, როგორც თავის დროზე ლევან გაჩეჩილაძე იმუქრებოდა, „მიშა, მოვდივარო“, ზუსტად ისეთივე შემართებით მოუწოდებდა სააკაშვილიც „ვარდების რევოლუციის“ დროს...

– აქ დიდი განსხვავებაა, რადგან, როცა სააკაშვილი მოვიდა შემართებით, შევარდნაძე გადადგა, ხოლო, როდესაც ლევან გაჩეჩილაძე მოვიდა დიდი შემართებით, სააკაშვილი არ გადადგა. განსხვავება არის ის, რომ სააკაშვილი უფრო ძლიერი იყო, როგორც პოლიტიკოსი, ვიდრე ლევან გაჩეჩილაძე, საქართველოს უფრო სააკაშვილის გამარჯვება უნდოდა, ვიდრე ლევან გაჩეჩილაძის და ასე შემდეგ. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, 2008 წლის არჩევნები სააკაშვილს პირველ ტურში არ მოუგია, თუმცა, რა თქმა უნდა, უფრო მეტი ხმა დააგროვა, ვიდრე ჩვენ, ოპოზიციამ, დავაგროვეთ.

ბერძენიშვილისგან განსხვავებით, ექსპერტ გია ხუხაშვილს მიაჩნია, რომ სააკაშვილმა სახელმწიფო გადატრიალება 2007 წელს განახორციელა, როდესაც საკუთარ ხალხზე იძალადა...

ვალერი გელბახიანი:
„პრინციპში, სახელმწიფო გადატრიალების ავტორი თავად მიხეილ სააკაშვილი იყო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

2003, „ბრეჩიხა“ – 2007

რევოლუცია – რევოლუცია რაიმე სფეროში არის ამ სფეროში დროის შედარებით მოკლე პერიოდში მომხდარი შესამჩნევი ცვლილებები. რევოლუცია შეიძლება ნიშნავდეს: სწრაფ პოლიტიკურ ცვლილებებს; პოლიტიკური რეჟიმის ან ხელისუფლების ცვლილებას ძალადობრივი ან მშვიდობიანი გზით; სწრაფ ცვლილებებს სოციალურ სფეროში; საზოგადოების ქცევის, მსოფლმხედველობის, მორალური პრინციპების შეცვლას.

სახელმწიფო გადატრიალება – ორგანიზებული, ხშირად სამხედრო ჯგუფის მიერ განხორციელებული ქმედება კანონიერი ხელისუფლების დამხობის, ან მისი არაგეგმური შეცვლის მიზნით და ხელისუფლების გადაცემის არსებული პროცედურების დარღვევით. გადატრიალება შეიძლება იყოს სისხლიანი და პირიქით. სახელმწიფო გადატრიალება არის ანტიკონსტიტუციური ქმედება. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია, რომ არავის არ აქვს უფლება, მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება. შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად დანაშაულია და ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით.

გია ხუხაშვილი, ექსპერტი:

– სააკაშვილი ყოველთვის ცდილობდა, ოპონენტებისთვის მოღალატის ან გადამტრიალებლისა და ამბოხების მომწყობის იარლიყი მიეკერებინა. პატარკაციშვილის შემთხვევაც კლასიკური მაგალითი იყო. საერთოდ, სააკაშვილი ამის დიდოსტატი იყო. აბსურდია 2007 წლის ისტორიაში გადატრიალების დეტალების ძიება. ჩვენ გვახსოვს ის პერიოდი და არავის არ გვჭირს ამნეზია. დეტალურად გვახსოვს, როგორ გროვდებოდა უკმაყოფილება და პროტესტი, გირგვლიანის თემით დაწყებული და უამრავი უსამართლობით დასრულებული. უსამართლობის საშინელი განცდა იყო, ფაქტობრივად, მთელი ქალაქი იყო გამოსული. ბადრი ამ პროცესში მეორე ეტაპზე ჩაერთო, ის ყოველთვის მონაწილეობდა, რა თქმა უნდა, როგორც ერთ-ერთი მოქალაქე, მაგრამ ამ ყველაფრის ორგანიზებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. სულ სხვა ლიდერები ჰყავდა მაშინ პროცესს. ეს მაშინ საპრეზიდენტო არჩევნებზეც დადასტურდა. იმ არჩევნებზე ბადრი ნამდვილად არ ყოფილა მთავარი კონკურენტი სააკაშვილისთვის. ყველას გვახსოვს ლევან გაჩეჩილაძის კანდიდატობა. სააკაშვილის შემთხვევაში, როდესაც გინდა, გადაწყვიტო პოლიტიკური პრობლემა და გაქვს დიდი კუნთები, რა თქმა უნდა, ცდილობ, შენი აგრესიული ქმედებები შეფუთო და შენი ოპონენტი წარმოადგინო, როგორც საფრთხე. სააკაშვილი სწორედ ამ სქემით მოქმედებდა. საფრთხეებად გამოყენებული იყო – სახელმწიფო გადატრიალება, პუტინთან გარიგება, პრორუსული ძალები. ეს იყო ყველაფერი ის, რის ფარგლებშიც სააკაშვილი ცდილობდა, სახალხო პროტესტი ჩაეხშო. რა თქმა უნდა, ამას გააკეთებდა ადამიანი, რომელსაც სინდისი არ ჰქონდა, მე არ ვლაპარაკობ ნორმალურ ადამიანებზე, ამ შემთხვევაში ვსაუბრობ ძალაუფლებას დახარბებულ ადამიანზე. სინამდვილეში კი თავად სააკაშვილმა მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება 2007 წელს, როდესაც, ფაქტობრივად, ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა, კონსტიტუცია დაარღვია, ხალხზე იძალადა, როგორც ძალაუფლების წყაროზე, და საბოლოოდ გაიფორმა გაყალბებული არჩევნები. პრინციპში, სახელმწიფო გადატრიალების ავტორი თავად მიხეილ სააკაშვილი იყო.

– 2003 წლის რევოლუცია რამდენად შეიძლება შეფასდეს სახელმწიფო გადატრიალებად?

– მე არ დავარქმევდი მას სახელმწიფო გადატრიალებას, თუმცა შეიძლება ჩემი ბევრი ნაცნობი და მეგობარი შემომედაოს ამაში. ამ პროცესში ჩვენ ყველა ვმონაწილეობდით, ხალხი ნატურალურად გამოდიოდა ქუჩაში და უნდოდა ცვლილებები, 2003 წელს მოხდა ის, რისი მოთხოვნაც იყო...

– მასეთი ლოგიკით ბადრი პატარკაციშვილის დროსაც ნატურალურად გამოდიოდა ხალხი...

– სწორია, ნატურალურად გამოდიოდა ხალხი მაშინაც, ფაქტობრივად, ეს ორი პროცესი ერთმანეთს ჰგავს, თუმცა მოტივები ორივე შემთხვევაში სხვადასხვა იყო. ორივე შემთხვევაში ცვლილებების საფუძველი იყო სახალხო მღელვარება და სახალხო პროტესტი. ხელისუფლებამ ორივე შემთხვევაში დაკარგა ლეგიტიმაცია, ანუ ხალხის მხარდაჭერა, რასაც მოჰყვა რყევები. გამომდინარე იქიდან, რომ შევარდნაძე არ წავიდა თავისი ხალხის წინააღმდეგ, მას მოუწია თანამდებობიდან წასვლა, ხოლო სააკაშვილმა ცეცხლითა და მახვილით ჩააქრო მღელვარება. ეს იყო სხვაობა და ეს იყო სააკაშვილის შეცდომა.

– თქვენ თქვით, რომ სააკაშვილმა ცეცხლითა და მახვილით ჩააქრო მღელვარება, შევარდნაძეს რომ იგივე გაეკეთებინა თავის დროზე და შემდეგ ეთქვა, სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა და ქვეყანა გადავარჩინეო...

– რა თქმა უნდა, შევარდნაძეც იქნებოდა გასასამართლებელი იგივენაირად, რის გამოც დღევანდელი ხელისუფლება ახლა ცდილობს, სააკაშვილი გასამართლოს. შევარდნაძე სწორად მოიქცა, რადგან ის არ წავიდა ხალხის, როგორც ძალაუფლების წყაროს, წინააღმდეგ, ხოლო სააკაშვილმა ხალხზე იძალადა და მას დღეს სწორედ ამიტომ ასამართლებენ.

ვასილ მაღლაფერიძე: „ვარდების რევოლუციაზე“ საუბრისას შეიძლება იკამათო, შეიცავდა თუ არა ის სახელმწიფო გადატრიალების ნიშნებს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რამდენი მილიონის დაბრუნებას ითხოვს ვალერი გელაშვილი სააკაშვილისგან

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ვალერი გელაშვილი სამართლიანობას ბოლომდე აღდგენილად მხოლოდ მაშინ ჩათვლის, როდესაც საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს ციხეში იხილავს. მანამდე კი მიიჩნევს, რომ მისი მორალური კომპენსაცია ყოფილი პრეზიდენტისთვის ბრალის დამძიმებით განხორციელდა. შედეგს ზუსტად 10 წელი ელოდა და მზად არის, ამდენივე წელიწადი მოითმინოს უკვე საკუთარი მილიონების დასაბრუნებლად. თავად გელაშვილი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი თანხას ბოლო თეთრამდე აუნაზღაურებს. სწორედ ამ მოთხოვნით აქვს რიგით მეორე სარჩელი გამზადებული დეპუტატს.

ვალერი გელაშვილი:

„არავის ეგონა, რომ მიშა სააკაშვილს ოდესმე ბრალს წაუყენებდნენ, მაგრამ ხომ მივაღწიე იმას, რომ სააკაშვილს ბრალი წაუყენეს?“

ვალერი გელაშვილი, პარლამენტის წევრი:

– ამ საქმეში სააკაშვილის ბრალეულობა რომ იყო, ეს ვიცი პირველივე დღიდან. თავდასხმის დროს რომ ჟურნალისტები მოვიდნენ, იმ მომენტშიც დავაფიქსირე ეს ყველაფერი. ამიტომაც ეჭვი არ მეპარებოდა, რომ მას ბრალს წაუყენებდნენ. ეს იყო სააკაშვილის დავალება, რომელიც მერაბიშვილმა შეასრულა კოდუას ხელით. ის იყო საქართველოს პრეზიდენტი და ეგონა, რომ მთელი ქვეყანა მისი იყო. მისთვის წარმოუდგენელი იყო, როგორ მოხდა, რომ მას გელაშვილმა წინააღმდეგობა გაუწია და სახლი ნებით არ გადაუფორმა. შემდეგ კი შეურაცხმყოფელი განცხადებები გააკეთა. მას თავისი ამბიციები ჰქონდა და ეგონა, რომ ჰქონდა ყველაფრის უფლება. ზოგადად, ბუნებრივია, ველოდი, რომ ეს საქმე გაიხსნებოდა, თუმცა ცოტა უფრო მოგვიანებით. ვფიქრობდი, ეს უფრო შემოდგომისთვის მოხდებოდა, როდესაც კოდუას ჩამოიყვანდნენ... ალბათ, პროკურატურამ დადო საკმარისი სამხილი და ეს საკმარისი აღმოჩნდა.

– თქვენ მთავარ პროკურორთანაც გქონდათ შეხვედრა და, ალბათ, დეტალები იცოდით, როდისთვისაც მოხდებოდა საქმის გახსნა...

– მე სარჩელი გასული წლის თებერვალში შევიტანე და პროკურატურისგან მოვითხოვე, რომ მოძიება დაეწყოთ. ნაცვლიშვილის პერიოდში პროკურატურაში ამ საქმეზე რაღაც შეფერხებები იყო. არ ვიცი, კონკრეტულად რატომ. ეს ვერავინ ვერ მითხრა, თუმცა როდესაც ნაცვლიშვილი წავიდა, შემდეგ გამოძიება ინტენსიურად დაიწყო.

– ფიქრობთ, რომ მიზეზი ნაცვლიშვილი იყო?

– სწორედ ნაცვლიშვილის მოადგილეობის პერიოდში ჭიანურდებოდა და მისი წასვლის შემდეგ აქტიურად დაიწყო მუშაობა. გასული წლის ნოემბრიდან დაიწყეს მუშაობა.

– სააკაშვილს ბრალი დაუმძიმდა, შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო თქვენი მიზანი, თუ მოითხოვთ რაიმე ტიპის კომპენსაციას ან ქონების დაბრუნებას?

– რა თქმა უნდა, რაღაცებს მოვითხოვ. ბევრი რამ დავკარგე, იგივე ფოთის გემთმშენებლობაში მე 2004 წელს 6 მილიონი დოლარის ინვესტიცია განვახორციელე, ეს შემდეგ დააყადაღეს და სააკაშვილის მითითებით საერთოდ ჩაიძირა ქარხანა და დავკარგე ბევრი რამ. ბუნებრივია, მოვითხოვ სასამართლო გზით იმის დაბრუნებას, რაც ამ წლებში დავკარგე, რა ზარალიც მომადგა. გასული წლის თებერვალში, როდესაც პროკურატურაში საჩივარი შევიტანე, ეს ყველაფერი მივუთითე კიდეც.

– საჩივარში თქვენი მოთხოვნები მითითებული გაქვთ?

– კი, რა თქმა უნდა. ყველაფერი მიწერია სარჩელში, მიწერია, რომ, როდესაც გამოძიება დასრულდება და დადგინდება, რომ წინა ხელისუფლება ჩემს მიმართ უსამართლო იყო, ბუნებრივია, შემდეგში ავიყვან აუდიტს, რომელიც დაითვლის, დაიანგარიშებს ზარალს, რომელიც მე მომადგა. ბუნებრივია, ამის შემდეგ მეორე სარჩელს წარვადგენ.

– დაახლოებით რა თანხაზე შეიძლება იყოს საუბარი?

– წარმოიდგინეთ, 2004 წელში განვახორციელე 6 მილიონი დოლარის ინვესტიცია, მხოლოდ ამ თანხის პროცენტი რომ ვიანგარიშოთ, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი პროცენტით... რამდენი დაგროვდებოდა ამ წლების განმავლობაში? ამას აუდიტი დაითვლის და დაიანგარიშებს.

– თქვენ აპირებთ ბოლო თეთრამდე მოსთხოვოთ სააკაშვილს ზარალის ანაზღაურება?

– კი, ვაპირებ მოვთხოვო სააკაშვილს ყველაფერი.

– მორალურ კომპენსაციას თუ მოსთხოვთ ფიზიკური ანგარიშსწორებისთვის?

– მორალური კომპენსაცია უკვე მივიღე იმით, რომ სააკაშვილს ბრალი სწორედ ჩემს საქმეზე დაუმძიმდა.

– თქვენ თანხის ანაზღაურებასთან ერთად ითხოვთ ქონების დაბრუნებასაც?

– ყველა ის ქონება, რომელიც ამ წლების განმავლობაში დავკარგე, ან დამაკარგვინეს, ბუნებრივია. სასამართლო გზით მათ დაბრუნებასაც მოვითხოვ. კომპანიას აქვს თავისი პრეტენზიები და ეს ყველაფერი სარჩელში წერია.

– ფიქრობთ. რომ თანხას მიიღებთ?

– არავის ეგონა, რომ მიშა სააკაშვილს ოდესმე ბრალს წაუყენებდნენ, მაგრამ ხომ მივაღწიე იმას, რომ სააკაშვილს ბრალი წაუყენეს? ამიტომ კიდევ რამდენი წელიც არ უნდა დამჭირდეს, ჩემსას მოვითხოვ და ჩემსას მივიღებ. დროის ფაქტორია, უბრალოდ.

– თქვენი მისამართით სამართლიანობა აღდგა...

– ნუ, ჯერჯერობით სრულად არა. როდესაც სააკაშვილს დაიჭერენ და ციხეში ჩასვამენ, აღდგება სამართლიანობა.

– სანდრა რულოვსის წინააღმდეგაც ხომ არ გაქვთ საჩივარი შეტანილი?

– არა, სანდრას წინააღმდეგ რატომ უნდა მქონდეს შეტანილი საჩივარი? ჩემთან სახლში თუ შევიდა და ჩემი ნებართვის გარეშე მარანში ქვევრებს თავი თუ მოხსნა მისი ნათესავების გამო, ეს მის სინდისზე იყოს. ამის გამო არაფერს არ მოვითხოვ.

„ბუნებრივია, მოვითხოვ სასამართლო გზით იმის დაბრუნებას, რაც ამ წლებში დავკარგე, რა ზარალიც მომადგა“

„ბუნებრივია, შემდეგში ავიყვან აუდიტს, რომელიც დაითვლის, დაიანგარიშებს ზარალს, რომელიც მე მომადგა. ამის შემდეგ წარვადგენ მეორე სარჩელს“

„რამდენი წელიც არ უნდა დამჭირდეს, ჩემსას მოვითხოვ და მივიღებ. დროის ფაქტორია, უბრალოდ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მიშა მაგარია“ ვალდებუ

ქეთი ხატიაშვილი

მიხეილ სააკაშვილი თავის განცხადებებში არა მხოლოდ ხმაურიანი იყო, არამედ პრინციპულიც, ომახიანიც, მკაცრიც, მამაციც... მოკლედ, მას სიტყვებით შეეძლო დამუხტვა და მონუსხვაც კი. გააჩნია, რა ელექტორატზე მუშაობდა და რისთვის.

თუმცა, კრიზისულ ვითარებაში ზოგჯერ ის ასეთივე შთამბეჭდავად არ გამოიყურებოდა.

მახსოვს, „ვარდების რევოლუციის“ დროს, როცა ხალხის მხარდაჭერითა და პოლიტიკური პროცესით კმაყოფილმა სააკაშვილმა სხდომათა დარბაზის კარი შეაღო და, შეიარაღებულ დაცვასთან ერთად, ტრიბუნასთან მდგომი პრეზიდენტი შევარდნაძე დაინახა, მის გვერდით მდგარ მიხეილ მაჭავარიანს ხელი მოჰკიდა და დარბაზში შეაგდო. მაჭავარიანს სხვები მიჰყვნენ, ამასობაში დაცვამ პრეზიდენტი შევარდნაძე დარბაზიდან გაიყვანა (უკანა კარიდან), მხოლოდ ამის შემდეგ მოხვდა ის ჯერ დარბაზში, შემდეგ – ტრიბუნასთან და შევარდნაძის მწვანე ჩაიც მაშინ დალია სიმბოლურად, მისი ხელისუფლების დასრულების ნიშნად.

მეორე კრიზისი სააკაშვილისთვის პრემიერის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებას მოჰყვა. ეს უბედური შემთხვევა იყო თუ სპეცსამსახურების მიერ კარგად დაგეგმილი ოპერაცია? ვერსიები მაშინვე გაჩნდა. როცა პრემიერის ცხედარი პროზექტურიდან სახლში გადაასვენეს სააკაშვილი ჭირისუფალთან გვიან მივიდა, ილია მეორესთან ერთად. მაშინ თქვეს, რომ მიშას ჟვანიას სახლში მარტო მისვლა არ უნდოდა.

მესამე, ყველაზე სერიოზული კრიზისი აგვისტოს ომი იყო... ჩვენ ვნახეთ, როგორ ღეჭავს სააკაშვილი ჰალსტუხს, თუმცა ამას ჩემზე შთაბეჭდილება არ მოუხდენია – არ დამრჩენია ისეთი განცდა, თითქოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა სისუსტე ან სიმხდალე გამოავლინა, საქართველოში ომი იყო და მაშინდელი ხელისუფლება ამ ომიდან ნოე ჟორდანიას მსგავსად არ გაქცეულა. თუმცა მოგვიანებით, როცა უკვე კონფლიქტის ხაზთან ის თვითმფრინავების ხმამ პანიკაში ჩააგდო და გაიქცა, გულგრილად ვერ ვუყურე იმ კადრებს, მძიმე სანახავი იყო. ეს ინციდენტი სისუსტედ ჩავუთვალე, მაგრამ არა სიმხდალედ. სააკაშვილმა მაშინ მოახერხა და 2008 წლის აგვისტოს ომიდან გამარჯვებული მართლაც გამოვიდა. მას საქართველოდან წასვლა არც უფიქრია და ჩემთვის ეს უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მისი თვითმფრინავის ხმით გამოწვეული პანიკა. ომში ყველა მამაცი ვერ იქნება.

თუმცა ახლა საქართველოდან წასვლას ყოფილ პრეზიდენტს არამხოლოდ სისუსტედ, სიმხდალედაც ვუთვლი. ვერ ვიგებ, რატომ წავიდა ის საქართველოდან. მისი არგუმენტები ჩემთვის არადამაჯერებელი და არასერიოზულია.

ექსპრეზიდენტის ერთ-ერთი პირველი განმარტება ასეთი იყო:

– როდესაც მთელი პროკურატურა, მთელი პოლიცია, 2 წლის განმავლობაში ინტენსიურად ქექავდა, ან ქექავს ყოფილი პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის საქმიანობას, დანყებული მითიური საბანკო ანგარიშების ძებნით, რომელიც გამიხარდებოდა, რომ მართლაც მქონდეს სადღაც ის მილიარდები, ან მილიონები, მაგრამ ვაგლახ რომ არა მაქ, დამთავრებული სკამები როგორ ვიყიდეთ სამსახურში, სანდრას დამლაგებლის დაკითხვით, ჩემი დაცვის თანამშრომლების და მდივნების არაერთგზის დაკითხვით და თანამშრომლების და ბოლოს მეტი რომ ვერაფერი ვერ ამოქექეს, როგორ სწორად დამცინავადაც აღნიშნა დასავლეთის პრესამაც მასობრივად, ვიდრე ის, რაც ისედაც ყველამ იცოდა, რაც მოხდა 2007 წელს და წამიყენეს წმინდა სახის პოლიტიკური ბრალდება, ეს სრულიად ნათლად ადასტურებს იმას, რაც ხდება დღეს საქართველოში და რასაც ყველა ამჩნევს. ყველაფერი ეს უკავშირდება იმას, რაც მოხდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და რაც იყო „ვარდების რევოლუციამდე“. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში ჩვენ შევქმენით ნამდვილი ჯარი, რომელიც საქართველოს არ ჰყავდა, ჩვენ შევქმენით ნამდვილი პოლიცია, რომელიც მსოფლიოში არის საუკეთესო, ყოველ შემთხვევაში, ბოლო დრომდე იყო. შევქმენით საგადასახადო სისტემა, რომელიც არ გვქონდა, შევქმენით ახალი განათლების სისტემა, მთლიანად სახელმწიფო ინსტიტუტები. ჩვენ შევქმენით ქართული სახელმწიფო. დღეს რუსი ოლიგარქი ასამართლებს ქართული სახელმწიფოს შემქმნელს. ეს ერთ-ერთ ყველაზე სამარცხვინო წერტილად დარჩება საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში...

„ჩემი გეგმებია, გავაგრძელო ეს დიდი ბრძოლა, რომელშიც ვარ. ეს ბრძოლა არის ჩვენი უკრაინელი ძმების მხარდაჭერა რუსული აგრესიის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა არის საქართველოს ბრძოლა. ეს ბრძოლა არის საქართველოს საბოლოო ბრძოლა, არ ვაპირებ, მშვიდად ვუყურო იმას, რომ ჩემს ქვეყანაში ნადგურდება ის, რისი განადგურებაც 2008 წელს პუტინმა ვერ მოახერხა ტანკებით“

„ახლა, ალბათ, პუტინი ცეკვავს კრემლში იმიტომ, რომ ომის წლისთავზე აჩუქეს ჩემი საპატიმრო სანქცია...“

რა მოხდებოდა, ვადის ამოწურვის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი საქართველოში რომ დარჩენილიყო და პროკურატურასთან ეთანამშრომლა? დაიჭერდნენ? და მერე რა?

საერთოდ, პოლიტიკოსებს თავის გამოსვლებში ხშირად მოჰყავთ იმ პოლიტიკოსების მაგალითები, ვინც თავი შესწირა საკუთარ იდეალებს, ციხეში ივჯდა ადამიანის უფლებებისთვის ან დემოკრატიისთვის, როგორც, მაგალითად, მანდელა აფრიკაში და გამსახურდია საქართველოში... სხვა ბევრი მაგალითიც არსებობს.

მანდელა ციხეში თითქმის 20 წლით ჩასვეს. გამსახურდია – ორჯერ დააპატიმრეს 1956 და 1977-1979 წლებში. სწორედ ამ თავგანწირვამ აქცია ისინი გმირებად. ამ თავგანწირვის გამო დაიმსახურეს მათ დასავლეთის ყურადღებაც და სიმპათიებიც, აღიარებაც და მხარდაჭერაც...

რაკი სააკაშვილს თავად არ სურს კითხვებზე პასუხების გაცემა, ამიტომაც ჰკითხავს პროკურატურა ხან მისი დაცვის წევრებს და ხანაც ოჯახის დამლაგებელს. სააკაშვილს შეეძლო ეთქვა ის, რაც თქვა თუნდაც ვანო მერაბიშვილმა: დაანებეთ თავი სხვებს, პასუხისმგებელი პირი მე ვიყავი, გადაწყვეტილებებს თავად ვიღებდი და მე დამკითხეთო... ბაჩო ახალაია, საერთოდაც, თავად ჩამოვიდა თბილისში და ციხეში ჩაჯდა. და რატომ გაიქცა სააკაშვილი?

სამწუხაროა, რომ მის შემთხვევაში ჩვენ პარალელს მანდელასთან ან გამსახურდიასთან კი ვერ გავავლებთ, არამედ ნოე ჟორდანიასთან, რომელიც საქართველოდან გაიქცა...

მას პატივი უნდა ეცა იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც, როგორც თავადვე აცხადებს, შექმნა, უნდა დაეცვა ის სისტემები რომელიც, როგორც თავად ამბობს, ჩამოაყალიბა სასამართლოსა თუ პოლიციის სახით. მას უნდა ეტვირთა პასუხისმგებლობა იმაზე, რაც ცხრა წლის მანძილზე საქართველოში ხდებოდა. რა კითხვებს ვერ უპასუხებდა სააკაშვილი? ვერ დაამტკიცებდა, რომ 2007 წელს სახელმწიფო გადატრიალება იგეგმებოდა? ვერ დაამტკიცებდა, რომ დეპუტატი ვალერი გელაძვილი მისი დავალებით არ უცემიათ? ან არის ეს ის შეკითხვები, სადაც პოლიტიკური დევნა იკითხება?

ჩემი აზრით, ეს არ არის პოლიტიკური დევნის შემცველი შეკითხვები. ცხრა წლის განმავლობაში ბევრი სხვა კითხვაც შეიძლება დასმულიყო, და ხალხი ღირსია, პასუხები მოისმინოს. „მიშა მაგარია“ კი ვალდებულია, უპასუხოს.

ახლა ყოფილი პრეზიდენტი რუსეთის თემას ეფარება და გაქცევას პუტინის ფაქტორით ხსნის:

– მე პირველად დამაპატიმრა საბჭოთა კავშირის „კგბ“-მ უნივერსიტეტის პირველ კურსზე პოლიტიკური საქმიანობისთვის და მალე საბჭოთა კავშირი დაიშალა. შემდეგ იანუკოვიჩმა გამომაცხადა პერსონა ნონ გრატად გასული წლის დეკემბერში და ორ თვეში იანუკოვიჩი იქცა საერთაშორისო ძებნილად. პუტინი მთელი ეს პერიოდი ითხოვს ჩემს მოკვლას ან დაპატიმრებას და მთლად კარგად არ აქვს საქმე. ის ხალხი, ვინც დღეს ბრძანება გასცა, მე ვფიქრობ, გარდა იმისა, რომ ეს იქნება ყველაზე სამარცხვინო ფურცელი საქართველოს ისტორიაში, მათაც ისევე მოევლებათ, როგორც იანუკოვიჩსა და სხვა მოკავშირეებს.

მაგრამ ასევე მინდა, შეიქმნას იურისტების ჯგუფი, რომელიც „დაადოკუმენტებს“ არა მხოლოდ ბრძანების გამცემების, არამედ მოსამართლის, ყველა პროკურორის ქმედებას. ჩვენ ეს არ უნდა დაგვჭირდეს ბურისძიებისთვის, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ უკრაინაში გარკვეული სამართლებრივი ქმედებები

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლია ბეკითხვებს უასუხოს

„საკაშვილის უდიდესი შეცდომაა პროკურატურასთან თანამშრომლობაზე უარის თქმა“

იურისტი ლევან ალაფიშვილი საკაშვილის მხრიდან პროკურატურასთან თანამშრომლობაზე უარის თქმას დიდ შეცდომად მიიჩნევს:

– საკაშვილის უდიდესი შეცდომაა პროკურატურასთან თანამშრომლობაზე უარის თქმა. ის საერთოდ გაექცა შეკითხვებს. მას სკაიპით მაინც უნდა გაეცა პასუხები შეკითხვებზე... სატელევიზიო ინტერვიუები ამ მხრივ კომპენსირებას ვერ მოახდენს... სამართლიანობის აღდგენის კონტექსტში ბევრი წუხილი არსებობს.

საქართველოს ექსპრეზიდენტი საკუთარი პერსონიდან ახალ მითს ქმნის. ის თითქოს თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირია, რომელსაც პუტინი პერსონალურად ერჩის და მისი დაკავებაც შეკვეთილი აქვს:

– ახლა, ალბათ, პუტინი ცეკვავს კრემლში იმიტომ, რომ ომის ნლისთავზე აჩუქეს ჩემი საპატიმრო სანქცია. აუცილებლად წამიყენებენ კიდევ 35 ბრალს, რომ შთაბეჭდილება მოახდინონ, მაგრამ რომ ვერ ახდენს შთაბეჭდილებას ივანიშვილი ვერავისზე? ეს როგორ ხდება?! პირიქით, რაც უფრო მეტს აკეთებს, მით უფრო ყველას ეცინება. ფაქტი ფაქტად რჩება, როგორც პუტინის არჩევნების წინ სახლები ფეთქდებოდა რუსეთში და ბევრი ამბობს, რომ არჩევნებზე ამას ჰქონდა შედეგი, ვიღაცამ მოკლა 8 თვის ბავშვი და ამის შემდეგ აირჩიეს რუსი ოლიგარქი. მე არაფერი დასკვნები არ გამომაქვს მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი რაღაც ემთხვევა რუსულ სტილს. ეს ერთმნიშვნელოვნად ჰგავს რუსულ ხელწერას. საქართველო არ არის რუსეთი და ქართველები არ ვართ რუსები და არასოდეს არ ვიქნებით. ნინო ბურჯანაძის ბაგეებით ღაღადებს პუტინი და ეს ყველამ ვიცით. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, საღ აზრზე არ ყოფილა. ომის ნლისთავზე მაინც არ მიეყენებინათ შეურაცხყოფა ჩვენი დაღუპული გმირებისთვის, გაეტარებინათ დღევანდელი დღე და ხვალ დამსხმოდნენ მე თავს. ვერ ითმენენ. და ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სრულიად არაჯანსაღ სიტუაციაში ვიმყოფებით. ჩვენ თვითონ რატომ ვიბანძებთ თავს, როცა მთელმა მსოფლიომ დაინახა, რაც ხდება... რაც შეეხება ჩემს გეგმებს, ჩემი გეგმებია, გავაგრძელო ეს დიდი ბრძოლა, რომელშიც ვარ. ეს ბრძოლა არის ჩვენი უკრაინელი ძმების მხარდაჭერა რუსული აგრესიის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა არის საქართველოს ბრძოლა. ეს ბრძოლა არის საქართველოს საბოლოო ბრძოლა, არ ვაპირებ, მშვიდად ვუყურო იმას, რომ ჩემს ქვეყანაში ნადგურდება ის, რისი განადგურებაც 2008 წელს პუტინმა ვერ მოახერხა ტანკებით.

გარკვეულ პარალელებსაც ავლებს და სიმბოლოებსაც ეძებს. რამდენიმე ხნის წინ, მაგალითად, თქვა, ჟორდანიას ბერია დაკავებული ჰყავდა და ციხიდან რომ არ გამოეშვათ, საბჭოთა ოკუპაცია არ იქნებოდაო. ეს მან საპატიმროდან რუსეთის ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული პირების განთავისუფლების საპასუხოდ განაცხადა. თუმცა, ექსპერტების განმარტებით, ამ მხრივ, პარალელი გადაჭარბებულია და რეალობასთანა არანაირი კავშირი არ აქვს, რადგანაც ისეთი პრორუსული ორიენტაციის პირები, როგორიც მაშინ ბერია, სტალინი ან ორჯონიკიძე იყვნენ, საქართველოში არ არსებობენ. ისევე როგორც გადაჭარბებულია მისი შეფასებები იმასთან დაკავშირებით, რომ პუტინი პერსონალურად არის დაკავებული საკაშვილით... თუმცა, ასეც რომ იყოს (რაც არც არის გამორიცხული), მაშინ საკაშვილმა ეს გამოწვევად უნდა მიიღოს და თავისი სიმართლე დაამტკიცოს...

პუტინს გარკვეულწილად აწყობდა საქართველოში რადიკალური ხელისუფლების არსებობა, აწყობდა იმიტომ, რომ დასავლეთისთვის ეთქვა: რა ვქნა აბა, ვერ ვთანამშრომლობ ამ საკაშვილთანო... ახლა მას არც მიზეზი აქვს და არც საბაბი... მაგრამ ეს სულ სხვა ისტორიაა...

საკაშვილი არ არის უბრალო ადამიანი, ის „ვარდების რევოლუციის“ ლიდერი და საქართველოს ორგზის პრეზიდენტია, ამიტომაც ვალდებულია, კითხვებს უპასუხოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარგველაშვილის სიძე ნარკოტიკული ნივთ

ნანაშონია

პრეზიდენტის სიძე კვლავ დააკავეს. მარგველაშვილის სიძისთვის ეს პირველი შემთხვევა არ არის.

ალბათ ყველას ახსოვს ინტერნეტგამოცემები და ბეჭდური მედია „პრესა .გე“ „პრემიერ ინფოზე“ დაყრდნობით წერდა, რომ მისი სიძე მარგველაშვილის გაპრეზიდენტებიდან რამდენიმე დღეში, 20 იანვარს, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოხვდა. ბუნებრივია, მაშინ ინფორმაციის გასაიდუმლოება სცადა რესპუბლიკურმა საავადმყოფომ, თუმცა, ერთ-ერთი ექიმის განცხადებით, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა, პირად საუბარში დაადასტურა, რომ რეანიმაციულ განყოფილებაში მინდია გოგოჭური და მისი მეუღლე მკურნალობის კურსს გადიოდნენ. მიზეზი ნარკოტიკული ნივთიერებების ზედმეტი დოზის მიღება იყო...

პრეზიდენტის სიძე რესპუბლიკურ საავადმყოფოში „პერედოზიროვკით“ მოხვდა. ინფორმაციას საავადმყოფოს თანამშრომლებიც ადასტურებდნენ. როგორც მაშინ ითქვა, მინდია გოგოჭური საავადმყოფოში მეგობართან ერთად მოხვდა, კაჭარავა და გოგოჭური საავადმყოფოში იმდენად მძიმე მდგომარეობაში შეიყვანეს, რომ მორიგე ექიმმა დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება, ფაქტი პოლიციისთვის შეეტყობინებინა.

რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომელი: „მინდია გოგოჭური, მეგობართან ერთად, რომლის გვარიც კაჭარავაა, დილის საათებში შემოიყვანეს რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ორივე მათგანი ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფებოდა. გოგოჭურს პულსიც კი არ ესინჯებოდა, იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო. რესპუბლიკური საავადმყოფოს მორიგე ექიმმა ფაქტის შესახებ პოლიციას აცნობა, მოგვიანებით, ორივე მათგანი რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. მათი ვინაობა მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, როცა საავადმყოფოში გიორგი მარგველაშვილის დაცვა და მაკა ჩიჩუა მოცვივდნენ. გოგოჭურსა და კაჭარავას გადაუდებელი დახმარება ჩაუტარდათ, დიაგნოზიც დასმულია – კოკაინის გადაჭარბებული დოზით მიღება“.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, როგორც ამბობენ მარგველაშვილი საერთოდ არ განიცდის ოჯახის წევრების თავაშვებულ ცხოვრებას და თვლის რომ ეს არის დემოკრატია და თანამედროვე ადამიანების ურთიერთდამოკიდებულება. ამის დასტურია ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელებში გავრცელებული მისი ქალიშვილის სკანდალური ვიდეო. მარგველაშვილის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ საქართველოში გამოჩნდა მისი ქალიშვილი ანი, რომელიც მშობლების გაყრის შემდეგ მოსკოვში ცხოვრობდა. ბუნებრივია, ქართულ მედიას მის შესახებ ყველაფერი აინტერესებს. თუმცა, ამისთვის განსაკუთრებული პაპარაცობა საჭირო არ არის, ანი მარგველაშვილი ხშირად არის სოციაური ქსელების ნომერ პირველი სკანდალისტი. ხან მისი ფოტოები იწვევს ხმაურიან გამოხმაურებას, ხან მისი ურთიერთობები მეგობრებთან.

ერთ-ერთი ბოლო სკანდალი მის „მოლში“ გადაღებულ ფოტოებს მოჰყვა, სადაც ის მეგობარ რეპერს ეხვევა.

ანი „ზარას“ მაღაზიის წინ რეპერ თიელთან ერთად არის გადაღებული. თავად რეპერი აცხადებს, რომ მათ ათწლიანი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ და ანა მისი უმცროსი მეგობარია.

ანა მარგველაშვილი ლევან ჩიჩუას ცირკშიც ხშირად აკითხავდა და გულშემატკივრობდა, როდესაც ის პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მონაწილეობდა.

ჟურნალ „რეიტინგის“ აზრით პირველი სერიოზული სკანდალი, რომელიც პრეზიდენტის ქალიშვილს უკავშირდება, ანას და მისი შეყვარებულის, ბაჩო სირაძის გარშემო აგორდა. ამის მიზეზი ბაჩოსა და მაკა ჩიჩუას სიძეს, მინდია გოგოჭურს შორის არსებული კონფლიქტი იყო.

ბაჩომ და მინდიამ ანას გამო იჩხუბეს. ამბობდნენ, რომ ანას და ბაჩოს ურთიერთობა დაეძაბათ და

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲘᲔᲠᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲔ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

სისხლიანი გარჩევის დროს გოგოჭურმა სიძე ფეხში დაჭრა. ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 118-ე მუხლით იყო აღძრული, მაგრამ როგორ განვითარდა მოვლენები, უცნობია, - წერს გამოცემა.

შემდეგ ხმაურიან შემთხვევად კლუბ „სენატში“ მომხდარი ინციდენტი სახელდება. მეგობრებთან ერთად კლუბში მისულმა პრეზიდენტის ქალიშვილმა მაგიდიდან ფეხები არ ჩამოიღო და დაცვის შენიშვნის შემდეგ მათთან კონფლიქტსაც არ მოერიდა. ამბობენ, რომ ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა და გაზიანი სასმელით ხელში მარგველაშვილმა კლუბი დატოვა.

სკანდალი მოჰყვა ანას მიერ სოცქსელებში გამოქვეყნებულ ვიდეოს. ინტერნეტმომხმარებლების გარკვეული ნაწილი ამ ვიდეომ აღაშფოთა. მანქანა, სადაც ანამ ორ მეგობარ ბიჭთან ერთად თემო რცხილაძის სიმღერა შეასრულა, პრეზიდენტის ესკორტის კუთვნილება აღმოჩნდა. გაბრაზების მიზეზი ასევე გახდა რუსული სიმღერა, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ რესტორნებში დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს რუსულენოვანი რეპერტუარი, - წერს „რეიტინგი“.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲬᲧᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

შეწყალების კომისიამ სიის პრეზიდენტთან გადაგზავნამდე 2 743 საქმე განიხილა. 2 743 საქმიდან 1 228 განცხადება სრულად აკმაყოფილებდა იმ კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრულია შეწყალების კომისიის დებულებით. პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საბოლოოდ ხელი მხოლოდ 280 პატიმრის შეწყალებას მოაწერა. ცნობილია, რომ მათგან რვა ქალბატონია და 10 არასრულწლოვანი.

რაც შეეხება დანარჩენ სიას, დეტალების გამჟღავნებისგან კომისიის ხელმძღვანელობაც და წევრებიც თავს იკავებენ. გავრცელებული ინფორმაციით, ამნისტირებულთა დიდი უმრავლესობა ნარკოტიკებს უკავშირდება.

„პრაიმტაიმი“ კომისიის ხელმძღვანელს, ზვიად ქორიძეს დაუკავშირდა, თუმცა მან ინტერვიუ მომდევნო კვირაში დაგვინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა მასალა ამ ნომრისთვის მზადდებოდა და ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო მისი კომენტარი. შესაბამისად, ჩვენ მისი კომენტარის გარეშე გვიწევს მასალის მომზადება. აღსანიშნავია, რომ ქორიძემ ჩვენი კითხვა ჯერ მოისმინა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო ინტერვიუს გადადების გადაწყვეტილება. რაც შეეხება კომისიის წევრს, ლია მუხაშავრიას, მან დაადასტურა, რომ კომისიამ ნარკოტიკების მომხმარებლები ნამდვილად შეიწყალა, რაც შეწყალების კომისიის მუშაობისთვის სიახლეა.

ლია მუხაშავრია, შეწყალების კომისიის წევრი:

- მე არ მაქვს უფლება ვისაუბრო შეწყალებულებზე, ერთადერთი პრეზიდენტია უფლებამოსილი. ეს საიდუმლოს წარმოადგენს.

- მხოლოდ ინფორმაცია გვინდა, ანუ სტატისტიკური მონაცემები...

- ვერ გეტყვით, მე ზუსტად არ ვიცი რამდენია, ნამდვილად არ ვიცი სტატისტიკა.

- ისე, სიაში ბევრნი იყვნენ?

- შემიძლია გითხრათ, რომ ნარკოტიკების მომხმარებლებზე ნამდვილად შემწყნარებელია კომისია, ოღონდ მხოლოდ მომხმარებლებზე.

წინა ხელისუფლების დროს ნარკოტიკების მიმართ განსაკუთრებული მიდგომა იყო. კომისიის ძველი წევრები იხსენებენ საქმეების განხილვის პროცესს და აცხადებენ თუ როგორი კამათი და მტკიცება უწევდათ თითოეული ნარკოდამოკიდებული ადამიანის სასჯელის შესამსუბუქებლად, გათავისუფლებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ლაშა ბუღაძის განცხადებით ეს მაშინ თითქმის შეუსრულებელ მიზანს წარმოადგენდა...

ლაშა ბუღაძე, შეწყალების კომისიის ყოფილი წევრი:

- კომისიის ფარგლებში ყოველთვის იყო სერიოზული კამათი ნარკოტიკის მომხმარებლებთან დაკავშირებით, იყო განხილვები, ხმამაღალი და სერიოზული კამათი მიმდინარეობდა ხოლმე იმ პატიმრებთან დაკავშირებით, რომლებსაც ჰქონდათ მისჯილი 8-10 და ხშირ შემთხვევაში 13 წელიც კი, ნარკოტიკების გამო... სახელმწიფო და საზოგადოება უნდა შეთანხმდეს და მიიღოს გადაწყვეტილება: ნარკომანი კრიმინალია თუ ავადმყოფი? უნდა არსებობდეს ალტერნატიული სასჯელები, ისე როგორც ეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია.

აშკარაა, რომ პრეზიდენტი ბოროტად და საზოგადოებისთვის საზიანოდ იყენებს თავის უფლებამოსილებას და არ ითვალისწინებს რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ნარკოდანაშაულში ბრალდებული ამდენი პირის გათავისუფლებამ. საზოგადოების ნაწილი აღშფოთებულია და კონკრეტულად ამ ქმედების არგუმენტაციას ითხოვს. გასულ კვირას მედიასაშუალებები ამ თემებს სხვადასხვა ხმაურიანი სათაურებით განიხილავდნენ: პირადი ინტერესები შეწყალების კომისიაში -რატომ მალავენ შეწყალებულ პატიმართა სიას?

presa.ge: - პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ შეწყალებულ პატიმართა სია მკაცრად გასაიდუმლოებულია...

ფაქტია, რომ ამაზე პრეზიდენტს საზოგადოების წინაშე ახსნა-განმარტება მოუწევს.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

my View

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲛᲒᲐᲚᲝᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲛᲔᲚᲐᲫᲔ: „ᲖᲝᲒᲐᲓᲐᲓ, ᲞᲘᲠᲐᲓ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲮᲓᲐᲣᲠᲔᲑ“

ახალი სეზონი ტელევიზიებში ცვლილებებს თავისთავად გულისხმობს. ხანგრძლივ პაუზებს ხელმძღვანელობა სწორედ ცვლილებების დაგეგმვისთვის იყენებს. გამონაკლისი არც მიმდინარე სეზონია. შესაბამისად, უკვე ცნობილი ხდება, რომელ არხზე რა სიახლეს უნდა ელოდოს მაყურებელი...

„იმედზე“ სიახლეების ტალღა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დაიწყო. შიდა დაპირისპირებით თუ მფლობელის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობით გამოწვეული ცვლილებების ტალღა დღემდე გრძელდება. პირველ ეტაპზე უშუალოდ პატარკაციშვილების ოჯახის მოთხოვნით არხზე ინგლისიდან ნათია აბრამია და მისი გუნდი მოიწვიეს. თავიდანვე ითქვა, რომ აბრამიას რამდენიმეთვიანი დაკვირვების შედეგად შემოდგომისთვის რეკომენდაციები უნდა მიეცა ხელმძღვანელობისთვის და მისი მოვალეობა სწორედ აქ ამოიწურებოდა. როგორც ამბობენ, აბრამიამ უკვე დაასრულა თავისი დაკვირვება და არხის უფროსობას საკუთარი მოსაზრებებიც გააცნო, ვინ უნდა დარჩეს, ვინ უნდა წავიდეს და საერთოდ როგორ უნდა გააგრძელოს არხმა მუშაობა. თუმცა ნათია აბრამიას პარალელურად „იმედზე“ მოსკოვიდან მოწვეული ცნობილი პროდიუსერი ნიკალაი კარტოზიაც მუშაობდა. კარტოზია სატელევიზიო სფეროში 1990-იანი წლებიდან არის და რუსეთში საკმაოდ ცნობილი და პოპულარული არხების ხელმძღვანელია. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ „იმედზე“ აბრამიას რეკომენდაციების ნაცვლად სწორედ კარტოზიას სიტყვას დაუჯერონ. ამას ჩვენ ოდნავ მოგვიანებით გავიგებთ, რადგან არხის ხელმძღვანელობა დაუსრულებელ „შვებულებაშია“ უკვე თვეზე მეტია და პრესასთან საკუთარ გეგმებსა და მიმდინარე პროცესებზე კომენტარებს არ აკეთებს. ერთადერთი, რაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, ბაია ცანავამ „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში ერთი თვის წინ განაცხადა, ეს პატარკაციშვილების ოჯახის მოთხოვნა და, შესაბამისად, ტელევიზიის გეგმაა – ევროპული დონის არხის შექმნა...

„იმედზე“ სხვა ცვლილებებიც განხორციელდა, სანამ ყველაზე მთავარზე გადავალთ, მანამდე გეტყვით, რომ გიორგი ბახტაძე არხის დირექტორად დაინიშნა. ასე რომ, ფინანსური სექტორიდან ის უფრო სეროზულ თემებზე გადაინაცვლებს...

როგორც ჩანს, ევროპულ დონეში ვერ თუ არ შევიდა ნოე სულაბერიძე საკუთარი გეგმებით. გავრცელებული ინფორმაციით, სულაბერიძე არხიდან საკუთარი გუნდით გაუშვეს. თავად სულაბერიძე ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს, თუმცა ჩვენმა კითხვებმა სულაბერიძე საკმაოდ გააღიზიანა...

ნოე სულაბერიძე:

– „იმედში“ ვარ და არსად არ წავსულვარ. ტყუილია გავრცელებული ინფორმაცია.

– რჩებით „იმედში“?

– არც წავსულვარ არსად, ეს უკვე ვთქვი ერთხელ და რა საჭიროა ორჯერ კითხვის დასმა?

აღნიშნული კომენტარის გაკეთებამდე სულაბერიძემ „პრაიმტაიმთან“ საუბარში მოსალოდნელი ცვლილებები დაადასტურა: „ცვლილება ნამდვილად იგეგმება, მე არ ვარ წამოსული „იმედიდან“. რა და როგორ იქნება, ეს ცოტა ხანში გაირკვევა და თქვენც გაიგებთ“.

უნდა ითქვას, რომ გასულ სეზონზე სულაბერიძის პროექტების რეიტინგი სხვა არხების გასართობი გადაცემებისგან განსხვავებით, ბევრად დაბალი იყო. სწორედ ამიტომ არც არის გამორიცხული, მისი არხიდან გაშვება სიმართლე აღმოჩნდეს.

ბაია ცანავას განცხადებით, არხზე დამატებითი გადაცემების „ჩაშვება“ ახალი სეზონიდან არ იგეგმება, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით „რუსთავი 2“-ზე. ჯერ კიდევ გაზაფხულზე გაჩნდა ინფორმაცია, რომ არხზე ნათია მიქიაშვილის გადაცემა უნდა გასულიყო. „ანატომიის“ გასვლა-არგასვლის ბედი დიდი ხანია განხილვის თემაა. მართალია, თავად მიქიაშვილი თავის დროზე მკაცრად იცავდა დუმილს, მაგრამ მისმა პროდიუსერმა პირად საუბრებში მაშინვე დაადასტურა, რომ რუსთავთან მოლაპარაკებები ნამდვილად მიმდინარეობდა.

ᲜᲝᲔ ᲡᲣᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ: „ᲐᲠᲪ ᲬᲐᲕᲡᲣᲚᲕᲐᲠ ᲐᲠᲡᲐᲓ, ᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲕᲗᲥᲕᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐ ᲠᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲛᲐ?“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ᲨᲣᲛᲦᲘ

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲛᲘᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲓᲐᲖᲣᲡᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ, ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲠᲝᲛ „ᲐᲜᲐᲢᲝᲛᲘᲐ“ 15 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲕᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ“

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲘᲝᲡᲐᲕᲐ: „ᲙᲝᲡᲣᲚᲢᲐᲜᲢᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲡ ᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ... ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲐᲠᲪ ᲕᲧᲝᲤᲘᲚᲕᲐᲠ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲕᲐᲠ“

ᲛᲐᲗᲔ ᲙᲘᲠᲕᲐᲚᲘᲫᲔ: „ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲕᲐᲠ“

მაშინ ითქვა, რომ არხზე მიქიაშვილის „გადაბარგების“ საკითხს ჟურნალისტები უარყოფითად შეხვდნენ... ანუ დაახლოებით იგივე რეაქცია იყო, როგორიც თავის დროზე ეკა კვესიტაძის არხზე გადასვლას მოჰყვა. გავრცელებული ინფორმაციით, მიქიაშვილის „რუსთავი 2“-ზე გადასვლის საკითხი ჟურნალისტების უმრავლესობამ მწვავედ გააპროტესტა. ბუნებრივია, ინფორმაცია მაშინვე ორივე მხარემ უარყო. ნათია მიქიაშვილის პროდიუსერის განცხადებით, „რუსთავი 2“-ში მისი ბევრი მეგობარი მუშაობს და დაპირისპირების შემთხვევაში ინფორმაცია მასთან აუცილებლად მიაღწევდა.

თამუნა ჯანელიძე, გადაცემა „ანატომიის“ პროდიუსერი:

– ეთერში მალე გავდივართ, მაგრამ ზუსტი თარიღი ჯერ არ ვიცით. მოლაპარაკება დასრულებული არ არის და დეტალები გასარკვევია. ჩვენ არ გადავდივართ „რუსთვი 2“-ზე სამუშაოდ. ჩვენი სტუდიით ვიქნებით შესულები და არხი მხოლოდ დროს დაგვითმობს. ანუ „რუსთავი 2“ ჩვენგან პროდუქტს ყიდულობს.

უკვე დღეს ინფორმაციას თავად ნათიაც ადასტურებს. ერთადერთი, რასაც ჟურნალისტი ჯერ კიდევ საიდუმლოდ ინახავს, ეს „რუსთავი 2“-ის თემაა...

ნათია მიქიაშვილი, ჟურნალისტი:

– შემიძლია, გითხრათ, რომ „ანატომია“ ძალიან მალე გავა ეთერში.

– როდისთვის?

– დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ „ანატომია“ 15 სექტემბერს გავა ეთერში.

– „რუსთავი 2“-ზე?

– დეტალებისგან თავს შევიკავებ. ყველაფერი მალე გახდება ცნობილი.

რამდენიმე დღის წინ ნანუკა ჟორჟოლიანმა სოციალური ქსელის მეშვეობით ახალი ინტერნეტტელევიზიის შექმნა დააანონსა.

ნანუკა ჟორჟოლიანი: „მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ცხელა და ყველა ვისვენებთ, მე მაინც ვმუშაობ. რატომ? იმიტომ, რომ ვაპირებ ახალი პროექტის დაწყებას, ბუნებრივია, „ნანუკას შოუს“ პარალელურად. მოკლედ, მინდა ვცადო ინტერნეტტელევიზიის გაკეთება:) მგონია, რომ დღეს ეს სივრცე ყველაზე მეტად საინტერესოა:) ანუ ვირტუალური სამყარო, რომელიც იქნება ფერადი, საინტერესო რუბრიკებით. არ იქნება სტანდარტული. უკვე შექმნილია დიზაინი და მგონი, საინტერესო გამოვა... პოლიტიკა იქნება ცოტა, ისეთი ამბები, რაც რეიტინგს წევს. ბევრ სახელს ჯერ ვერ გეტყვით:) ვერც რუბრიკების დეტალებს. ეს არ იქნება მაღალბიუჯეტიანი. თან ეს გამაბედვინა ჩემმა ერთმა პროექტმა, რომელიც წარმატებული იყო, როგორც ბიზნესი. გახსოვთ, ალბათ, ნანუკას საბავშვო ცენტრი. „ტი-ბი-სი“ ბანკიდან ავიღე კრედიტი მაშინ იმ ბიზნესისთვის და, ალბათ, ბანკის წარმომადგენლები დამეთანხმებიან, რომ ბიზნესმა კრედიტიც აწია და დასაქმებული ხალხის უზრუნველყოფაც შეძლო. ამიტომ ისევ გავრისკავ კრედიტს ამ ბიზნესისთვის. მოლაპარაკებებს ვაწარმოებ რამდენიმე ჟურნალისტთან, თუმცა ვეძებ ახალ სახეებს:) ამიტომ მალე უკვე ოფიციალურად გამოვაცხადებ ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე და იმედი მაქვს, ერთად საინტერესო პროექტი გამოგვივა. იმედი მაქვს, მიგულშემატკივრებთ“.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ნანუკა ჟორჟოლიანი მოლაპარაკებებს „იმედის“ ყოფილ თანამშრომელთან, მათე კირვალიძესთან და „რუსთავი 2“-ის თანამშრომელთან, ნოდარ მელაძესთან აწარმოებს. ორივე მათგანმა ჩვენთან საუბარში ინფორმაცია უარყო.

ნოდარ მელაძე, „რუსთავი 2“-ის თანამშრომელი:

– ზოგადად, პირად მოლაპარაკებებს არ ვახმაურებ.

– იყო შემოთავაზება ინტერნეტტელევიზიიდან?

– მე ვმუშაობ „რუსთავი 2“-ში და სექტემბერშიც ვიმუშავებ „რუსთავი 2“-ში. ამაზე მეტს არაფერს გეტყვით, ეს არის ჩემი კომენტარი.

მელაძის მსგავსად, „ინფორმაციულ ვაკუუმში“ აღმოჩნდა მათე კირვალიძეც, რომელიც დეტალებით უფრო მეტად დაინტერესდა და კითხვაც ბევრი შემოგვიბრუნა... დარჩა შთაბეჭდილება, რომ მას უფრო ის აინტერესებდა, რა ინფორმაცია იყო გაჟღერებული...

მათე კირვალიძე:

– პირველად მესმის ინტერნეტტელევიზიის შესაძლო შექმნის შესახებ, ქალაქშიც კი არ ვარ. სად კეთდება, ვინ აკეთებს, თუ იცით?

– ჩვენ ვიცით, რომ თქვენთან და მელაძესთან არის მოლაპარაკებები...

– არა, ნამდვილად არ მაქვს ინფორმაცია, პირველად მესმის თქვენგან აღნიშნული ინფორმაცია, მილიონი საქმე მაქვს და ნამდვილად არ ვიცი დეტალები... თუ მომიყვებით დეტალებს, ნამდვილად მაინტერესებს.

გავრცელებული ინფორმაციით, „ტაბულას“ ფინანსური პრობლემები აქვს. როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, „ტაბულა“ დატოვა ხათუნა იოსავამ, თუმცა თავად იოსავა აცხადებს, რომ „ტაბულას“ თანამშრომელი არც არასდროს ყოფილა...

ხათუნა იოსავა, „ტაბულას“ თანამშრომელი:

– ჭორია, რომ „ტაბულა“ იხურება, ისინი ჩვეულებრივად აგრძელებენ მუშაობას. მე ისედაც კონსულტანტად ვიყავი საინფორმაციო სამსახურში. ასე რომ, არ არის სწორი ინფორმაცია.

– იყავით, ანუ წამოხვედით?

– კონსულტანტი ვიყავი, მეგობრულ ურთიერთობას ვაგრძელებ ჩვეულებრივად... თანამშრომელი არც ვყოფილვარ არასდროს და არც ახლა ვარ.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

21 წლის პოეტ ოთო გურგენიშ

სალომე გოგოხია

„რა ძნელი ყოფილი გმირი შვილის დედობა...“ – ამ სიტყვებით 21 წლის ოთო გურგენიშვილი დედამ გააცილა. დედისერთა, პოეტი და უბრალოდ, კარგი ქართველი, ასე ახასიათებენ ოთო გურგენიშვილს მეგობრები, ახლობლები და ისინი, ვისაც მასთან უბრალო ნაცნობობა აკავშირებდათ. 29 ივლისს ქალაქ რუსთავში მომხდარმა ტრაგედიამ საზოგადოება შეძრა. თუმცა, კიდევ უფრო სულისშემძვრელი აღმოჩნდა ტრაგედიის მიზეზი. 21 წლის ოთომ სხვისი სიცოცხლის გადარჩენას საკუთარი სიცოცხლე ანაცვალა.

თითქოს გული უგრძნობდაო ახალგაზრდა პოეტს, ამაზე მისი ერთ-ერთი ლექსიც მეტყველებს, რომელიც დედას მიუძღვნა.

„პარალიზებული ვწევარ პალატაში -
და შენ ჩემი ხელი გიჭირავს.
ღამემ უკუნითი ზეცა მოიხურა
გლოვობს შენთან ერთად დედიკო.
წერილს გიტოვებ და გთხოვ -
ჯერ ნუ გადაშლი
დედი ახლა უცებ იცი რა?!
მინდა გადავაგდო სამჯერ
სამი ხურდა
სამჯერ რომ დავბრუნდე დედიკო“

ეს ამონარიდია იმ ლექსიდან, რომელიც ახალგაზრდა პოეტმა გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე დაწერა.

რუსთავში, ლეონიძის ქუჩაზე მომხდარმა საზარელმა ტრაგედიამ საზოგადოება შეძრა. ავტოსაგზაო შემთხვევამ 21 წლის ახალგაზრდას სიცოცხლე იმსხვერპლა. გარდაუვალ სიკვდილს თანმხლები გოგონა აარიდა, რომელსაც მანქანა ეჯახებოდა. ოთომ მეგობარს ხელი ჰკრა და მანქანას აარიდა. სამწუხაროდ, თავად გვერდის აქცევა ვეღარ მოასწრო და დიდი სისწრაფით მიმავალი „მერსედესის“ ჯიპი დაეჯახა.

როგორც თვითმხილველებმა „პრაიმტაიმს“ უამბეს, შეჯახების შედეგად, ოთო რამდენიმე მეტრის მოცილებით გადავარდა. მანქანის მძღოლი არ გაქცეულა. მან სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახა, თუმცა, ოთო საავადმყოფოში გადაყვანამდე, შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. მისი თანმხლები გოგონა მსუბუქად დაშავდა.

საზოგადოებაში იმთავითვე გავრცელდა ვერსია, რომ ოთომ მცირეწლოვანი ბავშვი გადაარჩინა. მოგვიანებით, მეგობრებმა გაარკვიეს, რომ ოთომ თანმხლები მეგობარი გოგონა გადაარჩინა.

„ბავშვი კი არა, გოგონა გადაარჩინა. ამას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, რომ სხვისი სიცოცხლე გადაარჩინა. არ ვიცით ის გოგო ვინ არის. როგორც ვიცით, ახალი გაცნობილი ჰყავდა. შეყვარებული არ იყო. მეგობრობდნენ. ითქვა, რომ სამძიმარზე მოსულიც იყოო, მაგრამ არ ვიცით ვინ არის და მაშინ არც დავინტერესებულვართ“, - გვითხრეს ოთოს

მეგობრებმა.

„პრაიმტაიმი“ რუსთავში იმყოფებოდა. სკვერი, რომლის წინაც უბედური შემთხვევა მოხდა, ადგილობრივებს ყვავილებით შეემკოთ. ვესაუბრეთ იქაურ მცხოვრებლებს, რომლებმაც მომხდარის შესახებ გვიამბეს.

„დაახლოებით ღამის 11 საათამდე მოხდა ეს ამბავი. ის ბიჭი და გოგო სკვერიდან მოდიოდნენ. გზაზე უნდა გადასულიყვნენ. ამ დროს „მარშრუტკა“ გამოჩნდა. ისინი ტროტუარზე გაჩერდნენ. ალბათ, დაელოდნენ როდის ჩაივლიდა. მძღოლმა ისინი დაინახა და სვლა შეანელა. ეტყობა, იფიქრა მგზავრებიაო. როცა „მარშრუტკამ“ სვლა შეანელა, მათ გზაზე გადასვლა გადაწყვიტეს. ამ დროს ამ „მარშრუტკის“ უკან მანქანა მოდიოდა, რომელმაც გასწრება გადაწყვიტა. თქვენც ხომ ხედავთ, დღეა და მანქანები როგორი სისწრაფით დაქრიან, მიუხედავად იმისა, რომ დასახლებული პუნქტია. ღამე ხომ წარმოგიდგენიათ რა სისწრაფით ივლიან? მანქანაც დიდი სისწრაფით მოძრაობდა. იმ ბიჭმა დაინახა ეს მანქანა, რომელიც ამ გოგოს ეჯახებოდა. ხელი ჰკრა და გოგო გადაადგო, მაგრამ თვითონ გვერდის აქცევა ვერ მოასწრო, რადგან მანქანა ძალიან სწრაფად მოძრაობდა. ისეთი ძლიერი დარტყმა იყო, რომ ბიჭი რამდენიმე მეტრში გადაისროლა. ბიჭი საშინლად დამტვრეული იყო. მძღოლი არ გაქცეულა“. - გვითხრეს ადგილობრივებმა.

შემთხვევის ადგილის მონახულების შემდეგ ოთოს დედას და მეგობრებს შევხვდით.

პოეზიით გატაცებული ახალგაზრდა საკუთარ ლექსებს „ფეისბუქზე“ შექმნილ გვერდზე „ოთო გურგენიშვილის პოეზია“ აქვეყნებდა. მის მიერ გამოქვეყნებული ბოლო პოსტი ასეთია:

„ბიჭებო (მამაკაცებო), უთხარით თქვენს გოგონებს (ქალებს), რომ ძალიან ლამაზები არიან. მხოლოდ სამი სიტყვაა სათქმელი და სამაგიეროდ მათი სახეების დანახვა უნდა გიღირდეთ ყველაფრად. იყავით უფრო მეტად ხალისიანები და ლაღები. გაილამაზეთ ცხოვრება და ყოველთვის და ყველგან გახსოვდეთ, რომ ბედნიერება ნამდვილად წვრილმანებშია“.

გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე, ოთომ „ფეისბუქის“ გვერდზე დედამისის ფოტო გამოაქვეყნა წარწერით: „დედის სათუთ გულს გაუფრთხილდით! მიყვარხარ დედა!“

„ძალიან იშვიათია, რომ დედა სამძიმარს არ იღებდეს. მას შემდეგ, რაც ჩვენ დავშორდით, ოთო სულ ჩემთანაა. მთხოვა, დედა, შენ მხოლოდ მილოცვები მიიღე, სამძიმარი არ უნდა მიიღო, იმიტომ რომ მე აქ ვარ, არსად არ წავსულვარო. ამიტომ, თუ ვინმეს მწუხარებისგან შეეშლება და ამბობენ, ვიზიარებ, ვთხოვ, რომ ასე არ მითხრან. არამედ, მომილოცეთ, გმირი შვილის დედობა. სხვა დანარჩენს ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. მან ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. ეს ძალიან მძიმეა ჩემთვის. ჩვენ არ ვართ ჩვეულებრივი დედა-შვილი. ჩვენ ერთად გავიზარდეთ. ის არის არაჩვეულებრივი ადამიანი. რამდენიმე თვის წინ კერძო აფთიაქი გავხსენით, ღამის ცვლაშიც მე ვმუშაობდი. იმ საღამოს, როცა ეს ამბავი მოხდა, აფთიაქში ვიყავი. მანამდე კაფეში დამპატიჟა, შემდეგ შემოირბინა, დე, ღამე მშიერი არ იყოო და ლობიანი მომიტანა. მისი მოტანილი ლობიანი დღემდე შენახული მაქვს... ოთო ყოველთვის გვერდში მედგა. ცხოვრებაში ძალიან კარგი პერიოდები გვქონდა, თუმცა, რთულიც გვქონია. სკოლის მოსწავლემ მზარეულის პროფესია შეისწავლა და შაბათ-კვირას რესტორანში მზარეულად მუშაობდა. ეს ფუფუნებით გაზრდილი ბიჭი მხარში ამომიდგა, საოცარი მზარეული დადგა“, - გვიამბობს ოთოს დედა, ქალბატონი ნანა მათუზაშვილი.

ჩვენი საუბარი აფთიაქში შედგა, რომლის გახსნაშიც თურმე ოთოს დიდი შრომა დევს. ოთოს სახლის რემონტი წამოუწყია, მას თავისებურად, პოეტურად სდომებია იქაურობის მოწყობა. დიდი ტკივილის მიუხედავად, დედა ცდილობს შვილის სურვილი ღირსეულად შეასრულოს და თითოეული დეტალი ისე გააკეთოს, როგორც ეს ოთოს სურდა. 8 სექტემბერს ოთოს გარდაცვალებიდან ორმოცი დღე სრულდება. ამ დღისთვის ოთოს პოეტური სახლის გახსნა, მისი ლექსების კრებულის პრეზენტაცია იგეგმება. მის სახლში მისულ სტუმრებს კი ისე გაუმასპინძლდებიან, როგორც ეს ოთოს ჰქონდა ჩაფიქრებული.

„ჩემი სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარე, მე ქუჩაშიც არ უნდა გამოვდიოდე, მაგრამ რადგან ცოცხალი დავრჩი, ისე ვიცხოვრებ, როგორც ეს ოთოს უნდოდა. რამდენადაც კეთილი ვიყავი, ათასჯერ უფრო კეთილი გავხდი. ჩემი შვილის სიკეთეც, ალბათ, ჩემზე გადმოვიდა. რადგან მე ცოცხალი დავრჩი, ოთოს ასე სჭირდება. როცა ეს აფთიაქი გავხსენით, მითხრა, დედა, ჩვენ ხომ არ გვაქვს ისეთი საშუალება, როგორც დიდ კომპანიებს, მაგრამ იცი რა გავაკეთოთ? წნევის გაზომვა და მინიმალური წამლები უფასოდ დავანწესოთო. ჩვენ ამას ვაკეთებდით. ეს აფთიაქიც ოთოსთვის, მას რომ ქველმოქმედებისთვის მატერიალური საშუალება ჰქონოდა, ამიტომ გავაკეთეთ. ძალიან კეთილი და გულმოწყალე იყო.

- პოეზიით გატაცებული ყოფილა, ვინ იყო მისი პირველი შემფასებელი?

- პირველს მე მაკითხებდა. არ შეიძლებოდა შენიშვნა მიმეცა. მისი პოეზია იმდენად ინდივიდუალური იყო. მე თვითონ ძალიან მიყვარს პოეზია. ოთო რომ ასეთი არის, არც მინდა ვთქვა, რომ იყო. 99% უფლის ნებაა და ალბათ, ერთი პროცენტი ჩემი აღზრდის შედეგია.

- მან დაწერა ლექსი, „დედა-შვილის ბოლო დიალოგი“ (თვალებით)... თითქოს წინათგრძნობა ჰქონდა.

- როცა ახალ ლექსს დაწერდა, აუცილებლად წამიკითხავდა. ეს არ წაუკითხავს. დედაზე დაწერილ ლექსში ჩანს, რომ ის დღე არის აღწერილი, რაც მე თავს დამატყდა. ეს ჩემთვის ძალიან დიდი ტრაგედიაა. მე იმ დღეს მოვკვდი. ჩათვალეთ, იმ დღიდან მე აღარ ვარსებობ. როცა მარტო დავრჩი, აფთიაქში შემოვბრუნდი. პრეპარატი მეგულებოდა, რომელიც უნდა დამელია და თავი მომეკლა. იმავე წამს თვალებზე ოთოს სახე გადამეფარა. მე, რომელიც მთელი ცხოვრება ამ სისტემაში ვმუშაობ, წამალი ვერ ვიპოვე. ოთომ თავის მოკვლის უფლება არ მომცა. მერე კიდევ შემოვბრუნდი, ვიფიქრე, ჩუმად მინც მქონდეს ეს წამალი. ვინიცობაა, ჩემს თავს შევატყო ფსიქიკურად ვიშლები, ოთო არ შერცხვეს, დავლევ და ნახევარ საათში აღარ ვიქნები-მეთქი, მაგრამ მაშინაც ოთოს სახე გადამეფარა, ხელი შემიშალა. დავრწმუნდი, რომ ოთოს ვჭირდები. ოთოს არ უნდოდა, რომ დედამისს თავი მოეკლა.

- რაიმე წინათგრძნობა ხომ არ გქონდათ?

- ცუდი წინათგრძნობა იმ ღამესაც არ მქონდა, იმიტომ რომ, მეგონა ჩემი შვილი ყოველთვის ჩემს გვერდით იქნებოდა. სულ მეუბნებოდა, დედა, მე შენ არასდროს არ მიგატოვებ. არც მიმატოვა. იმაზეც იზრუნა, რომ დედამისი ღირსეულად დაეტოვა. მე არ ვარ ჩვეულებრივი შვილმკვდარი დედა. მე შვილი არ მომიკვდა. ჩემი შვილის სიცოცხლე დასჭირდა სხვისი სიცოცხლის გადარჩენას. მე ვთვლი, რომ ოთიკო არ მიმატოვებს. მე მან ტირილი ამიკრძალა. ჩვენი სახლიდან ტირილის ხმა არ გამოდის, მხოლოდ ოთოს ლექსები გაისმის, როცა მე შინ ვარ.

- როგორ გაიხსენებთ იმ საბედისწერო საღამოს? თუ იცით, ვის შეხვდა იმ საღამოს ოთო?

- იმ დღეს კაფეში დამპატიჟა. სურათები გადამიღო. ის სურათი „ფეისბუქზე“ ატვირთა. სანამ შინ წავიდოდა ლობიანი მომიტანა, ღამე მშიერი არ იყოო, სულ ასე ზრუნავდა ჩემზე. ეს 21 წლის ბიჭი ოჯახის მმართველი იყო. აბსოლუტურად ყველაფერს ერთმანეთს ვუთანხმებდით. ბევრ რაღაცას აკეთებდა. საქველმოქმედო ორგანიზაციაში მუშაობდა, ასევე, პრესტიჟულ რესტორანში მენეჯერად მუშაობდა. წარმოუდგენელია, ერთ ადამიანს, თანაც 20 წლისას ამდენი გაეკეთებინა. იმ საღამოს აფთიაქში ახალი მედიკამენტები მივიღე და ვაფასოვებდი. ოთომ მითხრა, დე, ახლა სახლში გავალ. ვიღაც გოგონა შეხვედრას მთხოვს, შეიძლება არც შევხვდეო. მე იმ გოგონას არ ვიცნობდი და სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ მაქვს მისი გაცნობის სურვილი. ბოლოს ტელეფონითაც ველაპარაკე, კომპიუტერთან ვზივარო. გასვლას თუ აპირებდა, ამაზე არაფერი უთქვამს. ამ ამბების შემდეგ, როცა შინ მივედი, მივხვდი, რომ ოთო იმ საღამოს გასვლას არ აპირებდა. თავისი მაგიდიდან ლეპტოპი დივანზე გადმოუტანია, ალბათ, ტელევიზორის ყურებაც უნდოდა. ეტყობა, ბალიშებით მორთხმული იყო. იქვე მზესუმზირა და ნატურალური წვენი ედო. ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებდა, რომ ის იმ საღამოს გასვლას არ აპირებდა, მაგრამ ეტყობა იმ გოგონამ ძალიან სთხოვა. ღამით აფთიაქში ვმუშაობდი. დილით, შვიდის წუთებზე ჩვენი ახლობელი მოვიდა. ასე დილაადრიან მისი მოსვლა გამიკვირდა და ვკითხე, მერაბის (ოთოს მამა, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს) რამე დაემართა-მეთქი? ნეტა მერაბის დამართნოდა, ოთო ავარიაში მოყვა და დაიღუპაო. რა თქმა უნდა, მაშინვე წავედით, არა, არა-ს ძახილით, რომ ჩემს შვილს არაფერი დაემართებოდა. შინიდან გასვლისას პირჯვარს გადავწერდი და ხელზე მაკოცებდა. ეს იყო ჩვენი საეკლესიო რიტუალი. მორგში რომ მივედი, იმ წუთიდან დაიწყო ჩვენი ძალიან ახლო კავშირი, ჩვენი სხვა ცხოვრება, სამწუხარო ცხოვრება. მაშინვე მითხრეს, რომ ვიღაცის სიცოცხლე გადაარჩინა. მე მინდა ეს თემა დავხურო. ჩემთვის მხოლოდ ის არის მნიშვნელოვანი, რომ სიცოცხლე გადაარჩინა, ჩემმა შვილმა ადამიანის სიცოცხლე იხსნა. მე არავის მადლობა არ მჭირდება, მე არავის ნახვა არ მინდა. მო-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვილის ტრაგედიის დეტალები

„ოთო ბავშვი კი არა, თანმხლები გოგონა გადაარჩინა. მთავარია, მან სხვისი სიცოცხლე იხსნა“

EXCLUSIVE

რგიდან შინ წავედი, ოთოს ტანსაცმელი წამოვიღე. ჩავაცვით და პირდაპირ ველისციხეში წავედით, რადგან შინ რემონტი გვქონდა. მე სხვა რამ მაინტერესებს. ჩემი შვილი 20 წლის ტაქსისტი ბიჭის მსხვერპლი გახდა. 20 წლის ახალგაზრდა ტაქსის ნიშანს რომ დაიდგამს, ეს უკვე დიდი ნაკლია. იმ ოჯახისგან დიდი შემოტევა ვიგრძენი, რომ განცხადება დამეწერა, არ ვჩივი. მე არ ვჩივი, მაგრამ მინდა, რომ ის ადამიანი, რომელმაც ჩემი შვილი დამიმტვრია, დაისაჯოს. შემომითვალეს, ოღონდაც განცხადება დაწეროს, რომ ჩვენი შვილი არ დააკავონ და დავეხმარებითო. მინდა ხმამაღლა განვაცხადო, ოთოს არავის დახმარება არ სჭირდება. მკვლელის დედა, ნებით თუ უნებლიეთ, მაგას არ აქვს მნიშვნელობა, გმირი შვილის დედას დახმარებას მთავაზობს? ყველა ამბობს, რომ ოთო გულმოწყალე იყო, ოთო მოითხოვდა არ დაესაჯათო. მე ყველაზე კარგად ვიცი როგორი შვილი მყავს. ოთო გულმოწყალე და კეთილი კი იყო, მაგრამ სულით ხორცამდე იურისტი და ყოველთვის ამბობდა, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს. ამიტომ, მან პასუხი უნდა აგოს. მე არავინ გამაჩნია, მარტო დავრჩი. ოთო ჩემთვის ყველაფერი იყო, დედა, მამა, ძმა, მეგობარი. პროკურატურაში დავწერე განცხადება, რომ საქმის ძიებასთან ერთად, ეს ადამიანი დააკავონ, რომ არ მიიმალოს. იმ ადგილზე ჯერ არ მივსულვარ, მაგრამ აუცილებლად მივალ. დღეს რომ ხელახლა ისმებოდეს ეს საკითხი, ოთო გადაარჩენდა?კი, ოთო აუცილებლად გადაარჩენდა. ის, დიდი სისწრაფით რომ არ წამოსულიყო, ოთო გადასვლას მოასწრებდა. ის ძალიან ძლიერი იყო. მე არ ვარ ჩვეულებრივი შვილმკვდარი დედებივით. მე ბევრი უფლებები ჩამომერთვა. მთელი ცხოვრება ისე უნდა ვიცხოვრო, როგორც ოთოს უნდოდა. ტკივილით და ღირსებით უნდა ვიცხოვრო.

„მეცამეტე თვის პოეტები“ ანუ „ბოგა“

ერთია გარდაცვალო და მეორეა, იმქვეყნად წასული აქ რა სახელს დატოვებ. 21 წლის ოთო გურგენიშვილის არა მხოლოდ სახელი, არამედ პოეზიაც სამუდამოდ დარჩება ისტორიის საკუთრებად.

„მევსება გული და როგორც ზეცა,
განთიადს ელის მძინარე სახით.
შეშლილ მელექსეს ზმანება მეცვა,
ძველს ვივიწყებდით ახლით და კარგით.

წარმოვიდგენდით შიშველი კალმით,
როგორ დავწერდით ვნებიან ლექსებს.
მერე თავსხმაში ქოლგით და კარვით,
გადავარჩენდით წვიმისგან ტექსტებს“.

წვიმისგან არა, მაგრამ მეგობრებთან ერთად გამართულ საქველმოქმედო საღამოებზე შემოსული შემოწირულობებით ბევრის სიცოცხლე უხსნიათ. აკი, საკუთარი სიცოცხლეც სხვისას ანაცვალა.

თითქოს გული უგრძნობდაო...

ვერა, ვერ დავიწყე საფლავს შეგუება,
დედი შენი ნება-ნებადა,
ლაღი თითების და ლაღი ხელ-მტევანის
ბოლო მოფერების წამამდის.
დედი, მე სხვა დედა არსად მეგულება,
როგორც კუბოს შიგნით შეღამდა -
ისე დამიბნელდით გულის შეტევამდე,
ცა და შენ და ან და მარადის.

წარსულში ოთოზე საუბარი მის მეგობრებს ძალიან უჭირთ. განსაკუთრებით მათ, ვისთანაც ოთოს სულიერი საზრდო აკავშირებდა. ბაჩო ზაქაიძე, გურამ ლაცაბიძე და ამირან ჯანჯღლავა ოთოს პოეტურ, პატრიოტულ ბუნებაზე გვესაუბრებიან.

„ეს იყო ადამიანი, რომელიც თავიდან ბოლომდე ეროვნული იდეებით იყო მოტივირებული. პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი. სულ საქართველოზე ფიქრობდა. მის კეთილდღეობაზე. ყველაზე ახლო მეგობრები ჩვენ ვიყავით. ასეთი დაჯგუფება ვიყავით, მეცამეტე თვის პოეტები, რომელსაც „ბოგა“ დავარქვით, რაც პატარა ხიდს ნიშნავს, თან ჩვენი სახელების ინიციალებისგან შედგებოდა. ვფიქრობდით, რომ ამ ხიდით ახალ თაობებს გზას გავუკვალავდით“. - გვიყვება ოთოს მეგობარი ამირან ჯანჯღლავა.

ბაჩო ზაქაიძე: „სულ ერთად ვიყავით. ერთად ვმართავდით პოეზიის საღამოებს. ჯერ რუსთავის სკოლებით დავიწყეთ. გვინდოდა ბავშვებში პოეზიის სიყვარული გაგვეღვიძებინა. შემდეგ, სხვადასხვა უნივერსიტეტებში ვმართავდით. საქველმოქმედო საღამოებს ვმართავდით. ერთხელ, ერთ ასეთ საღამოზე, ერთ ბიჭს დავეხმარეთ, დიდი თანხა შემოვიდა, 32 ათას ლარამდე, შემდეგ ის ბიჭი ველისციხეში მოიყვანეს ბიჭებმა, სადაც ოთო ესვენა, მას დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია... ოთო ძალიან მხიარული, ხალისიანი ადამიანი იყო. მასთან მხიარული მოგონებები მაკავშირებს. ბოლოს, 28 ივლისს, ტელეფონით ვესაუბრე. მანამდე ერთად მოვილხინეთ. ყველანი ვმხიარულობდით. რაიმე წინათგრძნობა მისთვის არ შემიმჩნევია. თუმცა, ახლა რომ წავიკითხე მისი ლექსი, „დედა-შვილის დიალოგი“, გეგონება რაღაცას გრძნობდა. მაშინ ამას არ დავკვირვებივარ, მაგრამ ამ ამბის შემდეგ სხვა თვალით შევხედე და... სხვათა შორის, დედას ყველა ლექსს უკითხავდა, მაგრამ ეს ლექსი როცა დაწერა, მისთვის არ წაუკითხავს...“

„პრაიმტაიმთან“ საუბარში მეგობრები ამბობენ, რომ ტრაგედიის შემდეგ მედიაში ბევრი არასწორი ინფორმაცია დაიბეჭდა.

„დაწერეს, თითქოს „საქართველოს ბანკში“ მუშაობდა, რაც მართალი არ არის. ასევე, პატარა ბავშვი გადაარჩინაო. ასე არ არის, მან თანმხლები მეგობარი გოგონა გადაარჩინა. 17 წლის გოგოა, როგორც ამბობენ, ტანად დაბალი. თვითმხილველებმა ჩათვალეს, რომ ბავშვი იყო. შემთხვევა ღამით, დაახლოებით თერთმეტის ნახევრისთვის მოხდა. ამას მნიშვნელობა არ აქვს ვინ გადაარჩინა, ბავშვი თუ გოგო. მთავარია, ოთომ სხვისი სიცოცხლე გადაარჩინა. როგორც ვიცით, „მერსედესის“ პატრონი, რომელიც ოთოს დაეჯახა, 24 წლის ბიჭია, ტაქსისტი. ოთო და ის გოგო გზაზე გადადიოდნენ. ამ დროს „მარშრუტკა“ გამოჩნდა, რომელმაც მათ დანახვაზე სვლა შეანელა. ალბათ, იფიქრა, რომ მგზავრები იყვნენ. ამათ იფიქრეს, რომ მათ დაუთმო გზა. ამ დროს „მარშრუტკის“ უკან „მერსედესის“ მარკის მანქანა მოდიოდა. გასწრება დააპირა, ამ დროს სიჩქარეს მოუმატა. ოთომ დაინახა, რომ მანქანა ამ გოგონას ეჯახებოდა. ხელი ჰკრა, ხოლო მანქანამ ოთოს დაარტყა. „მარშრუტკის“ მძღოლი არ გაჩერებულა, წავიდა. ეს ბიჭი გაჩერდა და სასწრაფოში დარეკა. ოთომ იქვე დალია სული“. - გვიამბობენ მეგობრები.

„იმ ბიჭმა ცხოვრებისეული სასჯელი მიიღო. ადამიანური ფაქტორიც გასათვალისწინებელია, ნასვამი, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ არ იყო. ქრისტიანული სანყისები მიტევებაზეა დაფუძნებული, ოთოც სულ მიტევებაზე ლაპარაკობდა. მაგრამ ჩვენ ვერაფერს ვერ გადავწყვეტთ. ეს ოჯახმა უნდა გადაწყვიტოს“.- ამბობენ მეგობრები.

სამწუხაროდ, გადარჩენილ გოგონასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. ოჯახმა და მეგობრებმა მისი ვინაობა არ იციან. თუმცა, ოთოს მეგობრები ჩვენთან საუბარში აღნიშნავენ, რომ მის ვინაობას აუცილებლად დაადგენენ. რაც შეეხება ბრალდებულს, ის სამართალდამცველებს ჯერ არ დაუკავებიათ. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ოთოს გარდაცვალებამ, მისმა გმირულმა საქციელმა, მოყვასისთვის გაღებულმა სიცოცხლემ ბევრი ნაცნობი თუ უცნობი აატრემლა.

ოთოს მოულოდნელ გარდაცვალებას ლექსი მიუძღვნა ახალგაზრდა პოეტმა მზეკო ჟვანიამ, რომელიც სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

„უცრემლოდ გლოვობენ
ზაფხულის დღეები,
სიცოცხლის ნაცვლად რომ
სიცოცხლე გაწირე,
ტკივილებს ჩაუცვამთ შავ-თეთრი
ფერები,
მთელი საქართველო ცრემლებად
ატირე...

ამბობდი, დედის გულს ყველა
გაუფრთხილდით
და შენვე იყავი ამ სიტყვის დამრღვევი,
ახლა ეს ტკივილი როგორ
დაუმშვიდდეს,
ვინღა ეყოლება ცრემლების
დამთვლელი...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჯეოსელი

50 ლარი

- უსასრულო წუთები ადგილობრივ ქსელებზე
- უსასრულო SMS-ები
- უსასრულო ინტერნეტი

ერთი უსასრულო

შეიძინეთ გადახდის აპარატებში ან ჯოდით *010#OK

7036 - ჯეოსელიდან (ზარი უფასოა)

110110 - ყველა ქსელიდან

www.geocell.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როდის გადაეცემა აგვისტოს ომის საქმე ჰააგის ტრიბუნალს?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

საქართველოს ხელისუფლება რიგი დასავლელი ლიდერების კრიტიკას მიხეილ სააკაშვილის პირად ურთიერთობებს უკავშირებს და ირწმუნება, რომ კონკრეტული შეფასებების მიუხედავად, საქართველო არ გადაუხვევს ევროპული გზიდან. ამასობაში კი პროკურატურა აგვისტოს ომის მრავალტომიანი საქმის ჰაგის ტრიბუნალისთვის გადასაცემად ემზადება.

მანანა კობახიძე: „ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების შეფასებები ერთიერთზე ემთხვევა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოზიციას“

„უნგრეთის პრემიერმა პირდაპირ თქვა, – სააკაშვილი ჩემი მეგობარია და ობიექტური ვერ ვიქნებიო. იგივე კარლ ბილდტი სააკაშვილს თავის მამულში ჰყავდა მიპატიჟებული, ღვინოც დაალევინა და ა.შ.“

რატომ ფიქრობს მმართველი გუნდი, რომ სააკაშვილის მთავრობას ომის თავიდან აცილების შესაძლებლობა ჰქონდა? როდის გადაეცემა რუსეთ-საქართველოს ომის საქმე ჰააგას და რას უპასუხობს მმართველი გუნდი ევროპელი ლიდერების კრიტიკას? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს, მანანა კობახიძეს ესაუბრა.

– ქალბატონო მანანა, თქვენი გუნდი მიიჩნევს, რომ 2008 წლის ომი წინა ხელისუფლების გაუაზრებელმა ქმედებამ გამოიწვია, რომელიც პროვოკაციას წამოეგო... რა არის ის პოზიტიური შედეგი, რასაც თქვენმა გუნდმა ამ ორი წლის განმავლობაში რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით მიაღწია?

– რა თქმა უნდა, ვიზიარებ იმ პოზიციას, რომ ეს იყო პროვოკაცია რუსეთის მხრიდან, ხელისუფლების ვალდებულები კი სწორედ ის გახლდათ, რომ ამ პროვოკაციას არ წამოგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მანამდეც იყო სროლები და ათასგვარი პროვოკაცია, არ უნდა დაგვეშვა, ჩავრთულიყავით ამ პროვოკაციაში. ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო იმისთვის, რომ მშვიდობიან მოქალაქეებში მსხვერპლი არ ყოფილიყო და დევნილების ახალი ტალღა არ მიგვეღო. ფაქტია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ეს პროვოკაცია ვერ აიცილა. ომის შედეგები დღემდე არ აღმოფხვრილა, იქნება ეს მცოცავი ოკუპაცია თუ მიმოსვლის შეზღუდვა. ეს ერთ ან ორ წელიწადში ვერ აღმოიფხვრება. ეს არის ჩვენი გრძელვადიანი ამოცანა, რომელიც უნდა შევასრულოთ. ბუნებრივია, არავინ უარყოფს, რომ არსებობს პრობლემა და არც არავინ გაურბის პასუხისმგებლობას, მაგრამ კითხვა ისმის ასე: როგორ ვხედავთ ჩვენ ამ პრობლემის გადაჭრის გზებს? ჩვენი აზრით, არ არსებობს სხვა გზა, გარდა მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის. ჩვენი ქვეყანა ახალ პროვოკაციაზე არ უნდა წამოეგოს, რადგან საქართველო ამას ვეღარ გადაიტანს.

– პროკურატურაში დაწყებულია გამოძიება აგვისტოს ომთან დაკავშირებით... იქნებ ჩვენს მკითხველს კიდევ ერთხელ განვუმარტოთ, კონკრეტულად რას იძიებს საგამოძიებო ორგანო? რის თქმა სურს პროკურატურას და საერთოდ, ამ თემის წამოწევა რამდენად კარგად მეტყველებს ქვეყნის იმიჯზე?

– როდესაც ქვეყანაში ხდება ომი, ამას თან ახლავს ომის დანაშაულები, რომლის შედეგიც არის ადამიანების სიცოცხლის მოსპობა, წამება, ღირსებისა და საკუთრების უფლების ხელყოფა და პრაქტიკულად ეთნოწმენდა. ჩვენი ქვეყანა მიერთებულია რომის ტატუტს, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს, გამოიძიოს ომის დანაშაული, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს ეს ჩადენილი. ამ ფაქტებს ჰყავდათ ავტორები და სახელმწიფოს ვალდებულებაა, დაადგინოს ისინი, ამ შემთხვევაში შეიძლება ეს იყოს ოსი ეროვნების ადამიანი, შეიძლება იყოს რუსი, ან ქართველი. ამ მხრივ, ეროვნების კუთხით, ეს კონვენცია დათქმას არ აკეთებს. ამიტომაც პროკურატურას უნდა დაეწყო ეს გამოძიება. თქვენ იცით, რომ ჰააგის სასამართლოს პროკურორებიც იყვნენ ჩამოსულები, რომლებსაც ეს თემა აინტერესებთ. თუ სახელმწიფომ ვერ მოახერხა ამ ფაქტების გამოძიება, ამის გამორკვევა გადადის უკვე ჰაგის ტრიბუნალის სივრცეში. ეს არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ ვინმე მოქმედებს ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ. ამ ქვეყანაში მოხდა ომი, საჭიროა ამის გამოძიება, თუ ამას ვერ ახერხებს ქვეყნის საგამოძიებო ორგანო, ობიექტური მიზეზების გამო, საქმე მიაქვს ჰაგის ტრიბუნალს. ასე რომ, შესაძლებელია, ეს საქმე საერთაშორისო ტრიბუნალს გადაეცეს, რადგან ამ საკითხს საერთაშორისო სამართალი აწესრიგებს.

– მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წარდგენას არაერთი დასავლელი ლიდერი გამოეხმაურა, რომელმაც საქართველოს ხელისუფლება გააკრიტიკა... შეგახსენებთ იგივე კარლ ბილდტის განცხადებას, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ევროპულ გზას გადაუხვია... აპირებს თუ არა თქვენი გუნდი დასავლელი პარტნიორების შენიშვნების გათვალისწინებას?

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ, როგორიც არ უნდა იყოს კარლ ბილდტის განცხადება, შვედეთი არის და რჩება ჩვენს მეგობარ ქვეყნად და პარტნიორად. ეს არის ქვეყანა, რომელიც ძალიან გვეხმარება ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით და რა თქმა უნდა, ჩვენ ამ მხარდაჭერას ვაფასებთ. იგივე ითქმის შეერთებულ შტატებზე. ცალკეული სენატორების პოზიციის მიუხედავად, ეს ქვეყანა ჩვენი მნიშვნელოვანი პარტნიორია. ვფიქრობ, სხვადასხვა ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობა არ უნდა განისაზღვრებოდეს რომელიმე პიროვნების მიმართ ბრალის წაყენება-არწაყენების მიხედვით. თავის დროზე, საერთაშორისო თანამეგობრობის შეშფოთების საგანი იყო ის ფაქტები, რომლებზეც ბრალი წარედგინა მიხეილ სააკაშვილს. ახლაც, ჩვენ ვხედავთ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის დასკვნას, სადაც კომიტეტი პირდაპირ მოუწოდებს ხელისუფლებას, რომ ყველა პირი, ვინც წარსულში ასეთ დანაშაულს სჩადიოდა, განურჩევლად იყოს დასჯილი და ეს საქმეები უსწრაფესად იქნას გამოძიებული. აქედან გამომდინარე, ცოტა შეუსაბამოა, კონკრეტული პოლიტიკოსების შეფასებები. თუკი ყოფილ პრეზიდენტს, მს მინისტრს, თავდაცვის მინისტრს და სხვა მაღალჩინოსნებს კავშირი ჰქონდათ დანაშაულებთან, ხელისუფლებამ ეს არ უნდა გამოიძიოს? უნდა დაელოდოს ყველა, მათ შორის ჩვენი პარტნიორი ქვეყნები, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს საბოლოოდ სასამართლო და ნინასწარი შეფასებებისგან თავი უნდა შეიკავოთ. ვფიქრობ, ასეთ შეფასებებში გარკვეული სუბიექტივიზმი სჭარბობს, რაც, პრინციპში, არც დაუმალავს უნგრეთის პრემიერ-მინისტრს, როდესაც სააკაშვილის მხარდამჭერ განცხადებას აკეთებდა. მან პირდაპირ აღნიშნა, – სააკაშვილი ჩემი მეგობარია და ობიექტური ვერ ვიქნებიო. გარკვეული პიროვნული ურთიერთობები, ცხადია, აქვთ. იგივე ბატონი ბილდტი სააკაშვილს თავის მამულში ჰყავდა მიპატიჟებული, ღვინოც დაალევინა და ა.შ.

– გასულ კვირას გამოქვეყნდა პირველ აგვისტოს ამერიკელი სენატორების მიერ პრემიერ-მინისტრისთვის გამოგზავნილი წერილი... წერილში საუბარია წინასაარჩევნო პერიოდზე, მორატორიუმის დარღვევაზე და ა.შ. ამ სენატორების კრიტიკასაც პიროვნულ ურთიერთობებს უკავშირებთ, თუ ფიქრობთ, რომ შესაძლოა, ეს დამაფიქრებელი აღმოჩნდეს ხელისუფლებისთვის?

– ზოგადად, კრიტიკა კარგია, მაგრამ არ დაგიმალავთ, რომ ხშირ შემთხვევაში ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების შეფასებები ერთიერთზე ემთხვევა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოზიციას. ეს გასაგებიცაა, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოდგენილია პარლამენტში, აქვთ საპარლამენტო ტრიბუნა, აქვთ კავშირი ევროპარლამენტთან, ამერიკელ პარტნიორებთან მიდის მიმოწერა და ყოველდღიური კონტაქტი. მთავარია, იგივე მორატორიუმთან დაკავშირებით, როდესაც ეს გამოცხადდა, იქვე ითქვა, რომ, თუ გადაუდებელი აუცილებლობა იქნებოდა, მაშინ ეს სამართლებრივი დევნა განხორციელდებოდა, მით უმეტეს, რომ სასამართლომ გიგი უგულავას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლომ, რომელმაც წინა ჯერზე უარი თქვა პატიმრობის გამოყენებაზე. დღეს ჩვენ გვაქვს მართლაც თავისუფალი სასამართლო და მერწმუნეთ, მას პროკურატურა ნამდვილად არ აკონტროლებს. მირიან, შენ კარგად გახსოვს, რა ხდებოდა წლების წინათ, როდესაც ჟურნალისტებს სასამართლოს ეზოშიც კი არ გიშვებდნენ. დღეს კი ბატონი მერაბიშვილი და უგულავა ლამის მიტინგებს მართავენ სასამართლო დარბაზებიდან. სირცხვილია, როდესაც ამხელა პოლიტიკური ფიგურა სასამართლოში იქცევა, როგორც უკანასკნელი ხულიგანი და შეურაცხყოფას აყენებს მოსამართლეს. ჩამობრძანდნენ ჩვენი ქვეყნის გულშემატკივრები, განახორციელონ მონიტორინგი და თუკი ნახავენ მათი უფლების შელახვას, ცხადია, მოგვთხოვონ პასუხი.

– ქალბატონო მანანა, ალბათ, თქვენც კარგად გახსოვთ, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პირველი მაღალჩინოსანი, რომელიც სახალხო დამცველის მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა, იყო ირაკლი ოქრუაშვილი... მისი სახელი ფიგურირებდა საკუთრების უფლებების შელახვის, ძალადობრივი და სამოხელეო დანაშაულების საქმეებში... რამდენად მართებულია დღეს სააკაშვილის მიმართ მართლმსაჯულების აღსასრულებლად ირაკლი ოქრუაშვილის გამოყენება და რატომ არ იძიებს პროკურატურა მის საქმიანობას?

– თუკი ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ პროკურატურას აქვს საკმარისი სამხილები და მტკიცებულებები, ცხადია, ის არ უნდა იყოს ჩაყენებული განსხვავებულ მდგომარეობაში, მაგრამ სხვა საკითხია, თუ ადამიანი თანამშრომლობს პროკურატურასთან და მისი ჩვენება ხელს უწყობს უფრო დიდი დანაშაულის გახსნას. ამ შემთხვევაში შეიძლება მას შეუმსუბუქდეს სასჯელი, ან საერთოდ განთავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან. ეს ნორმა შემოიღო თავის დროზე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და სხვათა შორის, სწორედ მათ მიერ შემოღებული ამ ნორმით მოხდა ბედუკაძის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თურქეთში სამუშაოდ წასული ახალგაზრდა მამაკაცი ტყეში ჩამომხრჩვალი იპოვეს

„ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს, სადღაც ხელვაჩაურის ტყეში. აჭარას არც კი იცნობდა“

სალომე გოგოხია

გასულ კვირას, აჭარაში, კერძოდ, ხელვაჩაურის რაიონში, ტყეში 28 წლის გოჩა გოქაძე ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს. პირველად ის ადგილობრივმა მკვიდრმა იპოვა, რომელმაც მომხდარის შესახებ სამართალდამცველებს შეატყობინა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით არის აღძრული.

გოჩა გოქაძე ცაგერის რაიონ სოფელ ცაგერადან იყო. ის, ძმებთან ერთად, წლებია, რაც თურქეთში მუშაობით არჩენდა ოჯახს. 22 ივლისს ახალგაზრდა თურქეთიდან შინ გაემგზავრა. საზღვარზე გადასვლის შემდგომ, მასთან ერთად წამოსულ თანამემამულეებთან ერთად ლუდი დალია. შემდეგ, მისი თანმხლები პირები კვლავ თურქეთში გადავიდნენ, თავად კი, ქუთაისისკენ მიმავალ ავტობუსს დაელოდა. თუმცა, მგზავრების სიმცირის გამო იმ საღამოს რეისი გადაიდო... გოჩას კვალიც ამის შემდეგ ქრება.

თურქეთში დარჩენილი მისი ძმები, მცდელობის მიუხედავად, გოჩას ტელეფონზე ვერ უკავშირდებოდნენ. თურქეთიდან გამომგზავრებიდან ზუსტად სამი დღის შემდეგ, ოჯახს მომხდარი ტრაგედიის შესახებ აჭარელმა სამართალდამცველებმა შეატყობინეს.

რა საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა 28 წლის ახალგაზრდა, ვის შეხვდა სიკვდილის წინ და რა ვერსიები აქვს ოჯახს? ამ შეკითხვებზე პასუხის მისაღებად „პრაიმტაიმი“ გარდაცვლილის ოჯახს დაუკავშირდა.

ვესაუბრეთ გარდაცვლილის ძმას, გიგა გოქაძეს, რომელმაც საქართველოსკენ მიმავალი ძმა გააცილა.

- ჩვენ უკვე ვეძებდით, რადგან ტელეფონი გამორთული ჰქონდა. მესამე დღეს შეგვატყობინეს მომხდარის შესახებ. თურქეთში ერთად ვიყავით, მაგრამ ის ორი დღით ადრე წამოვიდა. არანაირი მიზეზი, საბაბი არ ჰქონდა, რომ თავი მოეკლა. სოფელში წასვლა ეჩქარებოდა. ოჯახის წევრებისთვის საჩუქრებიც კი ჰქონდა ნაყიდი.

- მარტო წამოვიდა?

- მასთან ერთად სხვა ქართველებიც წავიდნენ. ვისაც ვიზის გახანგრძლივება უნდა ისინი ერთი დღით გადადიან საზღვარზე, რომ გადაკვეთონ და საღამოს ისევ თურქეთში ბრუნდებიან. მეგობრებთან ერთად ლუდი დაულევია, ისინი თურქეთში დაბრუნდნენ, ის ქუთაისში უნდა წასულიყო. ბოლო რეისს უნდა გაჰყოლოდა სარფიდან, მაგრამ ცოტა ხალხი ყოფილა და ამის გამო რეისი გადაიდო, ეს მერე გავიგეთ, დისპეტჩერისგან.

- სავარაუდოდ სად უნდა წასულიყო მარტო დარჩენილი? ბათუმში ნაცნობები ჰყავდა, ვისთანაც ღამეს გაათევდა?

- სარფიდან ან ტაქსს უნდა გამოჰყოლოდა ან ტრაპიზონის რეისს. როგორც კი საზღვარზე გადავიდა, თურქეთის სიმბარათი ამოიღო. წესით, მობილურში ქართული სიმბარათი უნდა გაეაქტიურებინა, მაგრამ ასე არ მოხდა. ტელეფონი არ ჩართო. იქიდან უკვე იკარგება გოჩას კვალი. მასთან დაკავშირებას ვერ ვახერხებდით. მანამდე, სანამ თურქეთის სიმბარათი ედო ტელეფონში, ვესაუბრეთ კიდეც. სარფამდე ველაპარაკეთ, როგორც კი საზღვარი გადაკვეთა, კონტაქტი ვერ დავამყარეთ.

- როგორ შეიტყვეთ მომხდარის შესახებ?

- გამომძიებელმა დაგვირეკა, ხელვაჩაურის რაიონში, ტყეში, გზისპირას უპოვიათ. ჯერ იქ რა უნდოდა? აჭარას არ იცნობდა, აჭარის, ბათუმის ტერიტორიაზე ნაცნობიც კი არ ჰყავდა. იმ მხარეში ნამყოფიც არ იყო. ასეთ საეჭვო ვითარებაში აღმოაჩინეს. ჯერჯერობით გამოძიება მიმდინარეობს და არაფერი არ ვიცით.

- იქნებ წერილი დატოვა?

- არა, არაფერი დაუტოვებია.

- მისი ნივთები? ხომ თქვით, რომ ოჯახისთვის საჩუქრები ჰქონდა ნაყიდი, ხომ არ დაკარგულა?

- გამოძიებამ გვითხრა, რომ მისი ჩანთა ვიღაცის ოჯახში იპოვეს. ჩვენ არ ვიცით ვინ არის ეს ოჯახი, ვაპირებთ ვნახოთ. ის ოჯახი დაკითხეს. დაკრძალვის საკითხებს ვაგვარებდით და ამიტომ ვერ მოვიცალეთ.

- ვინ იპოვა თქვენი ძმა?

- ხელვაჩაურის რაიონში, დაუსახლებელი ადგილი არისო. ჩემი უფროსი ძმა წაიყვანა გამომძიებელმა და ის ადგილი აჩვენა. მოსახლეობა მოშორებითაა. ვიღაც კაცმა ნახა თუ ქალმა, ეგაც არ ვიცი ზუსტად და პოლიცია გამოუძახებია.

- ადგილზე რა იპოვეს?

- მხოლოდ ტელეფონი და ორი სიმბარათი, რომელიც საფულეში ედო. გოჩას ქართული სიმბარათი დაბლოკილი იყო, ვერ ჩავრთეთ. როგორც გამომძიებლები გვეუბნებიან, ვიღაცასთან მისულა ოჯახში და უთქვამს, თურქეთიდან გამომადეპორტეს და ორი დღე გამაჩერეთ, სანამ ჩემი ძმა ფულს გამომიგზავნისო.

- რამე ნივთი დაკარგულია?

- დაახლოებით 350 ლარია დაკარგული, რომელიც თან ჰქონდა. ჩვენ იმის საშუალება არ გვაქვს, რომ კერძო ექსპერტი დაგვექირავებინა. სანამ დარეკავდნენ და გამოძიება მომხდარის შესახებ გვეტყოდა, მანამდე პროზექტურაში გადაუსვენებიათ და გაუკვეთიათ. არ ვიცი ამის უფლება ჰქონდათ თუ არა, თქვეს, ამის უფლება აქვთო. გვითხრეს, ძალადობის კვალი არ ეტყობოდაო. რა გითხრათ, არ ვიცი. თვითმკვლელობის მიზეზი არ ჰქონდა. წამოსვლამდე ძმაკაცს დაურეკა, როგორი ფეხსაცმელი წამოგიღო, რა ფერისო. ექსპერტიზის პასუხი ერთ თვეში იქნებაო.

- დიდი ხანია, რაც თურქეთში მუშაობდა?

- 4 წელი იქნება, რაც თურქეთში სამუშაოდ გადავდივართ, სეზონურ სამუშაოებზე ვმუშაობდით, პლანტაციებში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„კიდევ ორ კვირას დაველოდები და უკვე შემდეგ ჩემს პრეზენტაციას წარვუდგენ... ამ საკითხს არ მოვეშვები“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი, ალეკო ელისაშვილი საკრებულოს წინ საპროტესტო აქციების მოწყობით იმუქრება. მომიტინგეების რუსთაველზე არმიყვანის სანაცვლოდ ის კონკრეტული მოთხოვნების შესრულებას ითხოვს: უკანონო მშენებლობების შეჩერებას, სამუშაო ტემპის მომატებასა და წინა მთავრობის მიერ მიღებული არასწორი გადაწყვეტილებების გამოსწორების პარალელურად მიმდინარე პრობლემების მოგვარებას... საკრებულოს ხელმძღვანელობა პრობლემების მოგვარებაზე, ბუნებრივია, უარს არ ამბობს, თუმცა დეპუტატი მუშაობის ტემპით უკმაყოფილოა და აცხადებს, რომ პრემიებზე ოცნება და საკუთარ კომფორტზე ზრუნვა საკრებულოს წევრებმა ხალხისთვის სასარგებლო ქმედებებით უნდა ჩაანაცვლონ. ელისაშვილის განცხადებით, თბილისის მასშტაბით დანიშნულ კონკრეტულ გამგებლებს კონკრეტული მიზნები ამოძრავებთ და დედაქალაქის მთავრობისგან ამ ადამიანების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს.

ალეკო ელისაშვილი:

„თუ ეს საკითხი არ გადაწყდება, მაშინ ყველას, ვინც ამ პრობლემით მომმართავს, მივიყვან საკრებულოსთან“

„როდესაც ასეთ რაიონში ნიშნავ ადამიანს, რომელსაც გამოცდილება მხოლოდ პარტიების გამოცვლაში აქვს მიღებული, ეს ძალიან უცნაურია“

ალეკო ელისაშვილი, საკრებულოს წევრი:

– საკრებულოში კომისიების რაოდენობა ძალიან ბევრია, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს მხოლოდ იმიტომ გაკეთდა, რომ კომისიის თავმჯდომარეებს მანქანები მოემსახუროთ. ამ საკითხზე მქონდა საუბარი საკრებულოს თავმჯდომარესთან, მან პირობა მომცა, რომ წარმოადგენს ოპტიმიზაციის გეგმას. სწორედ ამიტომ ვარ გაწუმებული და ველოდები ამ დროს. თუმცა მაქვს საკუთარი პრეზენტაცია გამზადებული, როგორ უნდა მოხდეს ოპტიმიზაცია პერსონალურ მანქანებზე.

– რა პერიოდში უნდა წარმოადგინოს პრეზენტაცია თავმჯდომარემ?

– ორკვირიან ვადაზე მოვილაპარაკეთ, ეს ორი კვირა უკვე გავიდა, კიდევ დაველოდები ორი კვირა და უკვე შემდეგ ჩემს პრეზენტაციას წარვუდგენ. ამ საკითხს არ მოვეშვები, მენტალურად გაჯანსაღება პოლიტიკური სივრცე, როდესაც თანამდებობის პირები უარს იტყვიან მანქანებზე. ბუნებრივია, საჭიროების შემთხვევაში სამსახურებრივი მანქანებით ისარგებლებენ, თუმცა ეს იქნება მკაცრად გაკონტროლებული და უმკაცრესი აღრიცხვის პირობებში, უმკაცრესი კონტროლის დაქვემდებარებაში.

– არსებობს პრობლემა სასაფლაოებთან დაკავშირებით, რომელიც ლისის ტბაზე, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე ფართოვდება. როგორ ფიქრობთ, საკითხი არ უნდა განიხილოს საკრებულომ?

– სასაფლაოებზე რაც მოვისმინე, განგაში ნამდვილად საჭიროა, რადგან ცოტა ხანში ლისის ტბაც და თბილისის ზღვაც ქალაქის შუაგული ურბანული ნაწილი გახდება, ამიტომ ცოტა შორს უნდა გაიხედო ადამიანმა და ისეთი ტერიტორიები აირჩიო სასაფლაოებისთვის, რომ სტუდენტებს ხელი არ შეუშალოს... არ მესმის, რატომ უნდა შექმნა ასეთი პრობლემა დღეს, როდესაც ზუსტად იცი, რომ ხვალ ეს სერიოზული პრობლემა გახდება. ასეთ საკითხებს რომ ვისმენ და აზრს გამოვთქვამ, მერე ვილაც-ვილაცებს, მაგალითად, ზაზა გაბუნიას კრიტიკა უკვირს, მაგრამ სად იყვნენ ეს ადამიანები ამ ერთი წლის განმავლობაში, როცა ასეთი გადაწყვეტილებები მიიღებოდა? რატომ არ ამახვილებდნენ ასეთ საკითხებზე ყურადღებას, რატომ არ ყვიროდნენ? მარტო პრემიებზე რომ იყვნენ დაგეშილები... ეს აქტუალური პრობლემებია, საკრებულო კი ისეთი ტემპით მუშაობს, თითქოს დალხენილ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ. საკრებულოს მუშაობის ტემპით ძალიან უკმაყოფილო ვარ. მიმაჩნია, რომ ტემპს უნდა მოუმატონ. ძალიან ნელა ვმუშაობთ. სასაფლაოების საკითხი, უკანონო მშენებლობები აუცილებლად დადგება დღის წესრიგში ძალიან მალე. მე ვაპირებ საგანგებო სხდომის მოწვევას, სადაც დავაყენებთ მშენებლობებზე მორატორიუმის გამოცხადებას. თუ ეს საკითხი არ გადაწყდება, მაშინ ყველას, ვინც ამ პრობლემით მე მომმართავს, მოვუწოდებ, საკრებულოსთან მოვიდეს. თუ საკრებულო ფეხს ითრევს და წესიერად არ იმუშავებს, ავდგები და ამ ადამიანებს საკრებულოსთან მივიყვან და ვანახებ, რომ ეს სერიოზული პრობლემაა. სხვა გამოსავალი არ არის. საშინელი პრობლემებია, რომელიც დროულად უნდა მოგვარდეს. უკანონო მშენებლობების პრობლემა ძალიან სერიოზულად დგას. მე ვაპირებ, მოვითხოვო რიგგარეშე სხდომის ჩატარება, სადაც დავაყენებ საკითხს, გამოცხადდეს მორატორიუმი მშენებლობების უფლების გაცემაზე. უსახურ შენობებთან დაკავშირებით შეიძლება მივიღოთ კონკრეტული გადაწყვეტილებები, თუმცა ეს ერთეულ შემთხვევებს შეეხება, მიმაჩნია, რომ ბევრად მნიშვნელოვანია ახლა „დაყრილი“ სამშენებლო ნებართვები, რომელთა საფუძველზეც მიმდინარეობს გამალებული მშენებლობები. ეს ყველაფერი თუ აშენდა, თბილისი ქალაქი აღარ იქნება, ეს იქნება გაუვალი ბეტონის ჯუნგლები. შეგიძლიათ, მიხვიდეთ და ნახოთ, მაგალითად, მიცკევიჩის #27, ან ნუცუბიძის #26ბ. თანაც ახლა, როცა იციან, რომ შეიძლება ნებართვები გაუუქმდეთ, დღე და ღამე მუშაობენ. მე გამომძიებელი არ ვარ, მაგრამ ეს რომ საერთო ინტერესია, ფაქტია. არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, ვინც ასეთი მშენებლობების ნებართვები გასცა, ან ყველანაირი პროფესიული უნარი დაკარგა, ან ფულს იღებდა ამ მშენებლობების ნებართვის გაცემაში. შენობებს მანქანით მისასვლელი გზები აღარ აქვთ. კარგი ადამიანები ფეხით მივლენ, მაგრამ წარმოიდგინეთ, ამ შენობებს ხანძარი რომ გაუჩნდეს, სახანძრო მანქანა ვერ მიუდგება, რა უნდა ქნან ასეთ შემთხვევაში?

– რაც შეეხება ძეგლების გადატანას, შუშის ხიდს, ველოსიპედს... ამ საკითხს როგორ უყურებთ?

– როგორც ჩანს, ნარმანია არ არის მიჩვეული კამერებთან მუშაობას, წინააღმდეგ შემთხვევაში წინასწარვე მიხვდებოდა, რომ მისი განცხადება ველოსიპედთან დაკავშირებით ასეთ ამბავს გამოიწვევდა. თუმცა ნარმანიას ვეთანხმები იმაში, რომ ქალაქში უნდა იყოს სამხატვრო საბჭო და სწორედ მან უნდა გადაწყვიტოს, რომელი ძეგლი სად დაიდგას. ველოსიპედი კიდევ შეიძლება „გადააცუნდულო“ სხვა ადგილას, მაგრამ რაც შეეხება რიყის მილებსა და შუშის ხიდს, ქალაქის მერიის ადგილას პირადად მე ჩავატარებდი პლებისციტს, რადგან მათი გადატანა სერიოზულ ხარჯებთან არის დაკავშირებული და თანაც არსებობს განსხვავებული მოსაზრებები მათთან დაკავშირებით. თუმცა მიმაჩნია, რომ ეს ყველა საკითხი არის მეოცე და ორმოცდამეათე მნიშვნელობის.

– როგორ ფიქრობთ, საკრებულოში რომელ ოპოზიციურ ძალასთან იქნება შესაძლებელი თანამშრომლობა?

– ჩემთვის სულერთია. ადრეც ვამბობდი და ახლაც იგივეს ვიტყვი, ვინც დასაჭერია, ვინც მავნებელია, ვინც ამ ქვეყანას ვნებდა, უნდა დაიჭირონ. ვინც დარჩება, ყველასთან ვითანამშრომლებ, არ აქვს მნიშვნელობა, „ნაციონალური მოძრაობა“ იქნება ეს თუ სხვა. მე საკრებულოში ყველასთან ვთანამშრომლობ. „ნაციონალური მოძრაობა“ რეალურად არ არის ორიენტირებული საქმის კეთებაზე, ისინი საკრებულოს თავისი პარტიული დღის წესრიგის გასაჟღერებლად იყენებენ, „ოცნებაც“ მათ პასუხობს და გადის დრო ამ რეჟიმში. ამ საკითხზე უშუალოდ ნარმანიასთან მქონდა საუბარი. მესმის, რომ ზაფხულია, დასვენება უნდათ, მაგრამ ყველაზე გადაღლილი მე ვარ, სხვა პარტიის წარმომადგენლებს პიარს პარტია უკეთებდა, მე კი აპრილიდან მოყოლებული დავრბოდი მარტო და ახლა კიდევ მე ვითხოვ ტემპის მომატებას.

– რაც შეეხება გამგებლებს, შეგიძლიათ, გვითხრათ, რატომ არ დაუჭირეთ მათ მხარი?

– ძალიან საინტერესო კომენტარი გააკეთა ჩემზე ზაზა გაბუნიამ, ელისაშვილისგან კრიტიკას ვერ მივიღებ, რადგან მას ოცი დღე აქვს ნამუშევარი და მე – ორი ათას ორასიო... როდის აქვს კრიტიკის მიღების დღეები ზაზა გაბუნიას, იქნებ მითხრას და იმ დღეებში მივალ და გავაკრიტიკებ ხოლმე, ან ის მაინც მითხრას, როდის მექნება მისი კრიტიკის უფლება, ორი ათას ორას საათს თუ დღეს რომ ვიმუშავებ საკრებულოში, მხოლოდ შემდეგ? ეს ხუმრობით, სერიოზულად კი ნამდვილად არ მესმის, რატომ დანიშნეს ასეთი უმწიფარი ადამიანი ასეთი რთული რაიონის გამგებლად. ნაძალადევის რაიონი ერთ-ერთი ყველაზე რთული და პრობლემური რაიონია, ინფრასტრუქტურის მხრივ, ტრანსპორტის მხრივ. როდესაც ასეთ რაიონში ნიშნავ ადამიანს, რომელსაც გამოცდილება მხოლოდ პარტიების გამოცვლაში აქვს მიღებული, ძალიან უცნაური ამბავია. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ნაძალადევის დეპუტატმა, ჯაბა სამუშიამ გაიყვანა გაბუნია გამგებლად. ეს საკითხი საეჭვოა და ვფიქრობ, ნაძალადევის რაიონს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. არ მესმის, რატომ ატარებენ ექსპერიმენტს ამ რაიონზე, ზაზა გაბუნიას კრიტიკა რომ არ ესმის, ეს ცალკე საკითხია, ის გაგებაში არ არის, რას ნიშნავს თვითმმართველობა. გული მწყდება, რომ ასეთი ადამიანების ადგილი „ქართულ ოცნებაში“ კიდევ დარჩა. „ქართულ ოცნებაში“ მე რომ ვიყო გადაწყვეტილების მიმღები, ასეთ ადამიანებს 50 კილომეტრის რადიუსში არ გავიკარებდი, რადგან ესენი არიან დისკრედიტებული ადამიანები და მათ ეტყობათ კიდეც, რომ არანაირი კვალიფიკაცია არ გააჩნიათ. შე დალოცვილო, ორი ათას ორასი დღე თუ გაქვს ნამუშევარი, ის მაინც არ იცი, როდესაც გაკრიტიკებენ, ადეკვატური პასუხი რომ უნდა გასცე? შემიძლია, დავამტკიცო, რომ გაბუნია არის არაკვალიფიციური, არაკომპეტენტური კადრი, დამისვან ნებისმიერ საკითხზე და დავუმტკიცებ, რომ არც ერთი საკითხი არ ესმის. ღმერთმა ქნას, რომ ჩემი ეჭვები და სიტყვები არ გამართლდეს, არც მომერიდება ბოდიშის მოხდა, თუმცა მეეჭვება... რაც შეეხება სხვა გამგებლებს, მე მათ მხარი იმ მიზეზით ვერ დავუჭირე, რომ, უბრალოდ, არც ერთ მათგანს არ ვიცნობდი, მათი სახელები და გვარი არაფერს არ მეუბნებოდა. ძალიან დამწყდა გული, რომ ასე ნაჩქარევად მოხდა მთავრობის დამტკიცება.

– ირაკლი შიხიაშვილთან დაკავშირებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის შესაძლოა, ქვემო ქართლის გუბერნატორად დაინიშნოს...

– იმედს ვიტოვებ, რომ „ქართული ოცნება“ კიდევ ერთხელ არ დაუშვებს შეცდომას შიხიაშვილთან დაკავშირებით და არ დანიშნავს ქვემო ქართლის გუბერნატორად.

„ზაზა გაბუნიას კრიტიკა რომ არ ესმის, ეს ცალკე საკითხია, ის გაგებაში არ არის, რას ნიშნავს თვითმმართველობა... მე რომ ვიყო „ქართულ ოცნებაში“ გადაწყვეტილების მიმღები, ასეთ ადამიანებს 50 კილომეტრის რადიუსში არ გავიკარებდი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უსტატუსო გმირები

my View
მირიან ბოქოლიშვილი

ისინი საკუთარი სიცოცხლის ფასად სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად დღე და ღამე მუშაობდნენ... საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ რუსების დანაღმულ კონფლიქტის ზონას აუვნებელყოფდნენ, თუმცა საბოლოოდ თავად გახდნენ მტრის სამიზნეები.

„გაგვცეს ვინმემ პასუხი, რომ ჩვენი შვილები ომში არ დაღუპულან და თავიანთ პირად საქმეს შეეწირნენ“

„რა ვუთხრა ამ ბავშვს? რას შეეწირა მამაშენი-თქო“

გიორგი სხვიტარიძე და მარატ ნოზაძე იმ ჯგუფებს ხელმძღვანელობდნენ, რომელთაც საომარი მოქმედებების დროსაც და მის შემდეგ დღეებშიც მუშაობა ერთი წუთით არ შეუჩერებიათ. სოფელ ფლავისმანში რუსეთის მხრიდან შემოსულმა უპილოტო საფრენმა აპარატმა ორივეს სიცოცხლე იმსხვერპლა.

მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა, თუმცა გარდაცვლილებს დღემდე არ მინიჭებიათ ომის ვეტერანის სტატუსი და შესაბამისად, მათი ოჯახებიც მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, მიიღონ სახელმწიფოსგან კუთვნილი დახმარება. გიორგისა და მარატს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ უსტატუსო გმირები.

მათ მშობლებს „პრაიმტაიმის“ ოფისში, აგვისტოს ომის გმირებისადმი მიძღვნილ გამოფენაზე შევხვდი. მარატ ნოზაძის დედას პატარა თემუკა ახლდა, რომელიც 4 წლის იყო, როდესაც მამა გმირულად გარდაეცვალა, მანამდე კი 9 თვის ასაკში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო დედა დაეღუპა. თემუკას ახლა ბებია ზრდის, სახელმწიფო კი მამამისისთვის ომის ვეტერანის სტატუსის მინიჭებას არ ჩქარობს.

„6 წლის შემდეგაც კი ვეტერანის სტატუსი არ აქვთ მინიჭებული. მივაკითხეთ სოციალურ უზრუნველყოფას. ყველა საბუთი მივიტანე და დაიტოვეს. ერთ თვეში მივიღე პასუხი, 65 წლამდე არ დაგენიშნებათ მარჩენალის პენსიაო. სხვა არაფერი უთქვამთ. ვეტერანის სტატუსი რომ მიენიჭოს პირს, უნდა შედგეს სპეციალური კომისია. დავწერე განცხადება, ველოდებოდი პასუხს, მაგრამ არაფერი... ახლახან გამომიგზავნეს პასუხი, რომ კომისია საჭიროებს განახლებას და ვმუშაობთ ამაზე. ორი წლის განმავლობაში ვერ შექმნეს კომისია... ჩვენი ბიჭების ღირსების საკითხია, რომ მათ ვეტერანის სტატუსი მიანიჭონ. მაშინ მოგვცეს ვინმემ პასუხი, რომ ჩვენი შვილები ომში არ დაღუპულან და თავიანთ პირად საქმეს შეეწირნენ. თქვენს გაზეთს რატომ ჰყავს ისინი გმირებში შეყვანილი, თუკი ისინი სამშობლოს ერთიანობას არ შეეწირნენ...“ – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას გიორგი სხვიტარიძის დედა, ლიანა ჯიშკარიანი.

„თუკი ვეტერანის სტატუსს მიანიჭებდნენ, ოჯახს 500-ლარიანი დახმარება დაენიშნებოდა. როგორც გვითხრეს, იმ პერიოდში გამორჩათ სიაში. აი, ეს ერთი შვილი დარჩა, მეუღლეც გარდაცვლილი ჰყავს. მისი შვილისთვის დახმარება არ არსებობს? მას არ უბრძოლია ამ ქვეყნისთვის? აბა, რას შეეწირა ჩემი შვილი? 9 თვის იყო პატარა, რომ დედა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გარდაეცვალა, 4 წლის იყო, მამა რომ მოუკლეს ომში. რა ვუთხრა ამ ბავშვს? რას შეეწირა მამაშენი-თქო?“ – აცრემლებული გვიყვება მარატ ნოზაძის დედა, ქალბატონი ნინელი.

გიორგი სხვიტარიძე

გიორგი სხვიტარიძე

გიორგი 1978 წლის 6 ნოემბერს თბილისში დაიბადა. დედისთვის ერთადერთი შვილი იყო, დაბადებული არ იყო, მისი მშობლები რომ გაიყარნენ. დედას მარტო უწევდა მისი გაზრდა. დედამ გიორგი თავიდან თბილისში შეიყვანა სკოლაში, შემდეგ გარდაბანში გადაიყვანა, რადგან იქ თავად ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას.

2000 წელს გიორგიმ მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტში დაიწყო, იყო განაღმვის მეორე განყოფილების უფროსი.

გიორგი სხვიტარიძეს 2008 წლის 6 ნოემბერს 30 წელი შეუსრულდა. ის გორის რაიონში, სოფელ ფლავისმანში დაიღუპა, უპილოტო თვითმფრინავის განაღმვისას.

დედა: „გიორგის განაღმვაზე გასვლა არ უწევდა, მაგრამ ჯგუფიდან დაურეკეს, – გიორგი, ვერაფერი გავიგეთ და იქნებ დაგვეხმაროო. განაღმვის ოპერაციაზე 10 ბიჭი იყო. ჩემი ბიჭი რომ მივიდა, უთხრა: აქ არაფრის გაკეთება არ შეიძლება, ყველანი უკან გადითო. ორნი დარჩნენ, ჩემი გიორგი და მარატ ნოზაძე. შემდეგ, როგორც გაზეთში წავიკითხე, პულტით ააფეთქეს, შორიდან. ჩემი შვილი და ნოზაძე დაიღუპნენ, 8 ბიჭი გადაარჩინეს. ორი მძიმედ იყო დაჭრილი, ერთს ყური აქვს დაზიანებული, ერთს – თვალი. დანარჩენები მსუბუქად დაიჭრნენ, ერთს არაფერი მოსვლია. გიორგი ადგილზევე დაიღუპა, „ცინკის“ კუბოთი ჩამოასვენეს, ცხედარი არ მინახავს, არ მაჩვენეს“.

მარატ ნოზაძე

როგორც უკვე გითხარით, მარატ ნოზაძის ერთადერთი ვაჟი, პატარა თემუკა ობლობაში იზრდება... იზრდება ბებია-ბაბუის იმედად, მათი სიყვარულით.

მარატ ნოზაძე 1975 წელს, თბილისში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს დაიბადა და მის დამოუკიდებლობასა და ერთიანობას შეეწირა...

კაპიტანი მარატ ნოზაძე 11 წელიწადი მსახურობდა, იყო შსს-ს სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის განაღმვის მესამე განყოფილების უფროსი. 11 წელი მუშაობდა და, როგორც მამა იტყვის, სამსახურის სირთულისა და სიმძიმის მიუხედავად, არც ერთხელ არ დაუწუწუნია.

მონაწილეობდა იმ განაღმვით ოპერაციებში, რომელიც განხორციელდა ახმეტაში, ზემო აფხაზეთში, აჭარაში – მას შემდეგ, რაც ასლან აბაშიძე გაიქცა საქართველოდან. აგვისტოს ომის პერიოდში მუდმივად გორში იყო...

აგვისტოს ომს ცოცხალი გადაურჩა, მაგრამ მხოლოდ აგვისტოში... 33 წლის იყო, როდესაც დაიღუპა. 28 წლის დაოჯახდა. 27 წლის იყო, 22 წლის ნინო დათიკაშვილი რომ გაიცნო და შეუყვარდა. ერთ წელიწადში ცოლადაც შეირთო. ფეხმძიმობისას შეყრილმა ვირუსმა მალევე დაუსვა წერტილი წყვილის ბედნიერებას. სულ 2 წელი იცხოვრეს ერთად... 2005 წელს 25 წლის ნინო დათუკიშვილი ქორწინებიდან ზუსტად 2 წლის შემდეგ, სწორედ ქორწინების დღეს გარდაიცვალა. პატარა თემუკა ობლად დარჩა...

აგვისტოს ომი მარატ ნოზაძისთვის აგვისტოში არ დასრულებულა, ის კვლავ გორში იყო და რუსებისგან დანატოვარი ნაღმების განაღმვაზე მუშაობდა, თანამშრომლებთან ერთად. 17 ნოემბერს დაიღუპა...

მარატ ნოზაძე და გიორგი სხვიტარიძე სოფელ ფლავში უპილოტო თვითმფრინავის განაღმვისას დაიღუპნენ – პულტით ააფეთქეს.

მარატ ნოზაძე

რატომ არ ანიჭებენ აგვისტოს ომში გარდაცვლილ გამნაღმველებს ვეტერანის სტატუსს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ გააუქმა თბილისის მერიამ იოსებიძის ქუჩაზე დაგებული პანდუსი?

EXCLUSIVE

„ჯერ პანდუსის მნიშვნელობა ავუხსენით და მერე ვისაუბრეთ დანარჩენზე. ჩვენ მერიიდან შესაბამისი ნებართვა აღებული გვაქვს. ყველა პანდუსის დაგებაზე ნებართვაა მოპოვებული. სამშენებლო კომპანიას, რომელიც იქ სამუშაოს აწარმოებდა, უნდა დაენახა, რომ იქ პანდუსი იყო“

სალომე გოგოხია

ბოლო დროს დედაქალაქის ქუჩებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის არაადაპტირებული გადასასვლელების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, რადგან ამით შშმ პირებისთვის გადაადგილების პროცესი მარტივდება. თუმცა, ხშირად ისეც ხდება, როცა მავანნი ამ ადამიანებისთვის გარემოსთან ადაპტირების გაუმჯობესების ნაცვლად, ნებით თუ უნებლიედ, მათ დამატებით ბარიერებს უქმნიან. ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ ეს ადამიანები უმცირესობაში არიან დანარჩენ სამყაროსთან და ნაცვლად იმისა, რომ მათ საზოგადოებასთან ინტეგრაციაში დავეხმაროთ, ხშირად მათი უფლებების დარღვევას წავუყრუებთ ხოლმე.

გასულ კვირას, საბურთალოს რაიონში, იოსებიძის ქუჩაზე მისულ შშმ პირებს, მათთვის დაგებული პანდუსი გაუქმებული, ხოლო მის ადგილას სახელდახელოდ მოწყობილი ბორდიური დახვდათ.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ შშმ პირებისთვის საზოგადოებასთან ინტეგრაციის მიზნით გაწეულ სამუშაოს მავანნი უხეში ჩარევით აფუჭებენ. შეგახსენებთ, რომ „პრაიმტაიმის“ 275 ნომერში შშმ პირების უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით საკმაოდ მწვავე სტატია დაიბეჭდა. საქმე ეხებოდა შშმ ბავშვებისთვის დამონტაჟებული სპეციალური საქანელის მოსახლეობის მიერ თვითნებურად დემონტაჟს.

რაც შეეხება გასულ კვირას მომხდარ შემთხვევას, აქ საქმე სხვაგვარად არის. არასამთავრობო ორგანიზაცია „სოცკოდექსი“ მოგებული გრანტის პირობებში დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში შშმ პირებისთვის პანდუსებს აგებს. დაახლოებით სამი კვირის წინ, ორგანიზაციის მეშვეობით იოსებიძის ქუჩაზე მორიგი პანდუსი დამონტაჟდა. თუმცა, გასულ კვირას აღნიშნულ მისამართზე მისულ ორგანიზაციის მონიტორინგის ჯგუფს პანდუსი გაუქმებული დახვდათ. პანდუსის ადგილას სახელდახელოდ გაკეთებულ ბორდიურს ფოტოები გადაუღეს და მომხდარის შესახებ საზოგადოებას სოციალური ქსელის მეშვეობით ამცნეს.

მომხდარ ფაქტს საზოგადოების მხრიდან უარყოფითი შეფასებები მოჰყვა... ცხადია, ორგანიზაცია დაინტერესდა ვინ გააუქმა შშმ პირებისთვის დაგებული არაადაპტირებული გადასასვლელი.

როგორც „პრაიმტაიმს“ ორგანიზაციაში განუცხადეს, პანდუსი მერიის ქვეკონტრაქტორმა კომპანიამ, „საგზაო სამშენებლო კომპანია თბილისის“ წარმომადგენლებმა გააუქმეს. აღნიშნულმა კომპანიამ მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა და დედაქალაქის კონკრეტულ უბნებში ქუჩების რეაბილიტაციის ვალდებულება დაეკისრა.

„რა თქმა უნდა, დავინტერესდით ვინ გააუქმა პანდუსი და გავარკვიეთ, რომ მერიის ქვეკონტრაქტორმა სამსახურმა, სამშენებლო კომპანიამ „თბილისი“ გააუქმა. ისინი ბორდიურების დაგებას აწარმოებდნენ, არ იცოდნენ რა უნდა გაეკეთებინათ. წესით, ადამიანი უნდა მიმხვდარიყო, რომ იქ პანდუსი იყო. ჯერ პანდუსის მნიშვნელობა ავუხსენით და მერე ვისაუბრეთ დანარჩენზე. ჩვენ მერიიდან შესაბამისი ნებართვა აღებული გვაქვს. ყველა პანდუსის დაგებაზე ნებართვაა მოპოვებული. სამშენებლო კომპანიას, რომელიც იქ სამუშაოს აწარმოებდა, უნდა დაენახა, რომ იქ პანდუსი იყო“, - ამბობს არასამთავრობო ორგანიზაციის თანადამფუძნებელი ტატო მიროტაძე.

მისივე თქმით, ორგანიზაცია თავად აპირებდა პანდუსის კვლავ დაგებას, თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ მის აღდგენას კომპანია „თბილისი“ უზრუნველყოფს.

ცხადია, დავინტერესდით მერიის პოზიციით. აღნიშნულთან დაკავშირებით დედაქალაქის მერიაში არასამთავრობო ორგანიზაციისგან განსხვავებული პასუხი მივიღეთ. როგორც აღმოჩნდა, კომპანიამ პანდუსი მიზანმიმართულად გააუქმა.

როგორც მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ავთო სუდაძემ განაცხადა, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ იოსებიძის ქუჩაზე დაგებული პანდუსი დიზაინით თვისობრივად განსხვავდებოდა სხვა, მათ მიერ დაგებული პანდუსებისგან. ამიტომ, ქუჩის მოდერნიზაციის პირობებში, რომელსაც კომპანია „თბილისი“ უზრუნველყოფს, მერიამ საჭიროდ ჩათვალა დაგებული პანდუსის დემონტაჟი და მის ნაცვლად ახლის დაგება.

თუმცა, ერთი რამ გაუგებარია, თუკი პანდუსის დაგების ვალდებულება „სოცკოდექსს“ ჰქონდა აღებული, ხომ შეეძლო მასვე გამოესწორებინა დიზაინში დაშვებული ხარვეზი? ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, პანდუსის სრული დემონტაჟი საჭირო არც გამხდარიყო და შშმ პირებსაც გადაადგილების პრობლემა არ შეექმნებოდათ.

ამასთან დაკავშირებით კეთილმოწყობის სამსახურის უფროსისგან შემდეგი პასუხი მოვისმინეთ:

„ამ ორგანიზაციას გრანტი ჰქონდა მოგებული, რომლის ფარგლებში პანდუსის დაგების ვალდებულება აიღო. ჩვენ, მერიის კეთილმოწყობის სამსახური, იოსებიძის ქუჩის მთლიან რეაბილიტაციას ვაკეთებთ. ამასთან დაკავშირებით ცალკე ტენდერი იყო გამოცხადებული, რომელიც სახელმწიფოს ბიუჯეტით ფინანსდება. გრანტის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია ქუჩის რეაბილიტაციას ვერ მოახერხებდა. სამწუხაროდ, ორგანიზაცია მუშა პროცესს შეესწრო. ახლა მივიდნენ და ნახონ. მაშინ მონაკვეთზე მუშაობა დასრულებული არ იყო. პანდუსის აღება არავის მოსვლია აზრად. პანდუსის დიზაინმა მოდერნიზაცია განიცადა. დედაქალაქის ახალმა მთავრობამ გადავწყვიტეთ და ვალდებულება ავიღეთ ქალაქში შშმ პირთა შესაძლებლობების ადაპტირებისთვის. ეს პროცესი არ გაჩერდება“. - განაცხადა სუდაძემ.

სხვათა შორის, აღნიშნულთან დაკავშირებით მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს დედაქალაქის მერიის ყოფილმა მთავრობამ სხვადასხვა კომპანიებს ერთი და იგივე ადგილების მოდერნიზაცია შეუკვეთა. რასაც მოჰყვა უკვე ის შედეგი, რამაც გასულ კვირას ლამის მთელი თბილისი აალაპარაკა.

თუმცა, ინფორმაციას ამის შესახებ სუდაძე არ ფლობს.

„ეს ზოგადი განცხადებაა. კონკრეტულად უნდა ვიცოდეთ რა მისამართებზე და კომპანიებზეა საუბარი. ჩემი მოსაზრებით, არ მგონია ასეთი ფაქტი ყოფილიყო. დავალება კონკრეტულ მისამართზე გაიცემა და დუბლირება არ მოხდებოდა. თუ მისამართი არ მეცოდინება, ზუსტ პასუხს ვერ გაგცემთ“, - დასძინა სუდაძემ.

მისივე თქმით, იოსებიძის ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაო, სავარაუდოდ, თვის ბოლოსთვის დასრულდება. რის შემდეგაც გადაადგილების პრობლემაც მოგვარდება.

მომხდართან დაკავშირებით, თბილისის მოქმედმა მერმა, დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ მომავალში მსგავსი რამ არ განმეორდება.

„ნებისმიერი შემთხვევა, ნებისმიერი ფაქტი, რომელიც დაკავშირებული იქნება ზედამხედველობის, მშენებლობის ასეთ დარღვევასთან, რა თქმა უნდა, იქნება პასუხგაცემული“. - განაცხადა დავით ნარმანიამ.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში შშმ პირების უფლებები ყოველ წუთას ირღვევა, რაზეც ხშირად თვალს ვხუჭავთ. ამასთან, საკმაოდ გულგრილია თავად საზოგადოების მათდამი დამოკიდებულებაც.

მართალია, ამ ეტაპზე შშმ პირებისთვის ადაპტირებული გადასასვლელი აღდგენილია, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრობლემა საბოლოოდ აღმოიფხვრა. კერძოდ, შშმ პირები არანაკლებ დიდ პრობლემას აწყდებიან არაადაპტირებულ გადასასვლელებზე გადასვლისას. ხშირად, მათთვის განკუთვნილ პანდუსებზე მანქანები ხვდებათ, რომლებსაც იქ საათობით აჩერებენ.

„ზოგადად, ძალიან დიდი პრობლემაა მოსახლეობასთან დაკავშირებით. ძალიან დაბალია ინფორმირებულობის დონე. ჩვენ გვინდა გავმართოთ მშვიდობიანი აქციები, რომ საზოგადოებაში მეტი ინფორმირებულობა იყოს, მათი ცნობიერება ავამაღლოთ. ასეთ შემთხვევაში უფრო მარტივად მოგვარდება პრობლემა. უფრო მეტად უნდა დაუჭირონ მხარი ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ თემაზე მრგვალ მაგიდებს კი არ მართავენ, არამედ პირდაპირ საქმეზე გადადიან. რაც მთავარია, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების ინფორმირებულობას. მერიასთან ვთანამშრომლობთ და ოპერატიულად გვეხმარებიან. მათთან პრეტენზია არ გვაქვს. უბრალოდ, ყველა სხვა კომპანიებს მოვუწოდებთ, რომ ამ ყველაფერს გაგებით მოეკიდონ“. - ამბობს ტატო მიროტაძე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„გმირები“ - ქართველი ჯარისკაც

მარინე ნინიაშვილი: „ხშირად მესიზმრებოდა, დედიკო, მოვდივარ, მალე მოვალო. და მალე შევიტყვე, რომ ორსულად ვიყავი, 42 წლის ასაკში. შარშან სექტემბერში კესო გავაჩინე“

ვაჟა შეყლაშვილი: „მინდა ხელისუფლებას მივმართო: შინდისში, იმ ადგილას, სადაც 17 ჯარისკაცი დაიღუპა, უნდა დაიდგას ამ ბიჭების ძეგლი, რომელსაც მოქანდაკე ნუგზარ ჭავჭავაძე თავისი ინიციატივით აკეთებს. ძეგლის რეკონსტრუქციას ფინანსები სჭირდება“

my View

თამარ გონგაძე

აგვისტოს ომსა და ავღანეთში დაღუპული გმირი ჯარისკაცების ხსოვნის კვირეულის გახსნის ღონისძიებაზე, 4 აგვისტოს, „პრაიმტაიმმა“ რედაქციაში გმირ დედებსა და ცნობილ პოლიტიკურ სახეებს მოუყარა თავი. „პრაიმტაიმის“ და ამჯერად ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდ „ოქროს ფრთის“ მიერ მეხუთედ ჩატარებული ხსოვნის ღონისძიება სავსე იყო ემოციებით, ცრემლით, ფასდაუდებელ გმირობაზე კიდევ ერთხელ გახსენებული სიტყვებით, სიმბოლო - წითელი ყაყაჩოთი და წიგნით, რომელიც ამ გმირობას მომავალ თაობებს მოუთხრობს. გახსნაზე დარიგდა წიგნი „გმირი“, რომელიც 2013 წელს დაიბეჭდა და ავღანეთში დაღუპულ ქართველ ჯარისკაცებზეა. ამავე სახელწოდების წიგნი პირველად 2010 წელს დაიბეჭდა და ის აგვისტოს ომის ქართველ გმირებზე მოგვითხრობს. წიგნის ინგლისური ვერსიის პრეზენტაცია ლონდონშიც მოეწყო. მანამდე კი წიგნი ქართულ-ამერიკული კო-პროდუქციის - „აგვისტოს 5 დღის“ პრემიერაზე ნახეს ჰოლივუდელმა მსახიობებმა.

გმირმა დედებმა დათქმულ დროზე ადრე დაიწყეს რედაქციაში მოსვლა. ეს ხომ მათ შვილებთან კიდევ ერთი შეხვედრის დღე იყო. დედების გულებს მოუჩქაროდათ ჩვენთან, სადაც საუკუნო სამფლობელოში გადასული შვილების უკვდავყოფილი სახელების გაცოცხლება ხდებოდა... დიდი სევდითა და მცირე სიამაყით ათვალიერებდნენ რედაქციის კედლებზე ექსპოზიციის სახით გამოკრულ ჯარისკაცების ფოტოებსა და სტატიებს. აგვისტოს ცხელ დღეებში, მართალია, მოუშუშებელი ჭრილობები ეხსნებათ, მაგრამ უხარიათ, რომ გმირები მათ სამშობლოში ახსოვთ... არ ვიცი, ისეთ ამაღელვებელ კადრებს რამდენად ხშირად შეესწრება ადამიანი, როდესაც ძაძებიანი დედა ან მამა ფოტოებს შორის საკუთარი შვილის ფოტოს ეძებს და პოვნისას, ისე როგორც ცოცხალთან შეხვედრისას, ემოციები უახლდება და გულიდან წამოსული ცრემლებით ტირის...

ღონისძიება საკაბელო სპორტული ტელევიზია „თივიესისა“ და „ბორჯომის“ მხარდაჭერით გაკეთდა. ეკრანზე მონაცვლეობით ჩანდა ყველა იმ ჯარისკაცის ფოტო, რომელმაც თავი სამშობლოს დამოუკიდებლობას დაუფიქრებლად შესწირა. ცხადდებოდა მათი სახელები. ღონისძიების დასკვნით ნაწილში სიტყვა წარმოთქვეს საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა. ჩაფერე გმირების მშობლები, რომელთა ნაწილმა საოცარი ისტორიები მომიყვა.

გიორგი დარჯანია („თივიესის“ დირექტორი): - მე სპორტულ ტელევიზიას წარმოვადგენ, თუმცა მინდა გითხრათ, სპორტშიც იგივე მოვლენები ხდება, რაც მთლიანად სახელმწიფოში. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რა სფეროში მუშაობს. ეს არის თემა, რომელშიც ჩართული უნდა იყოს საქართველოს თითოეული მოქალაქე. რასაც თქვენ აკეთებთ, ვერ წარმომიდგენია, ვინმესთვის უმნიშვნელო იყოს. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებენ საქმეს. მათ შორის არიან ჯარისკაცები, ჭეშმარიტი გმირები, რომლებიც ემსახურებიან სამშობლოს, რაც, სამწუხაროდ, თავის გაწირვასაც მოითხოვს. ჩემი ღრმა რწმენით, თითოეული ჯარისკაცის დედა გმირი დედაა.

თამარ ფხაკაძე: - ხსოვნის კვირეულს „პრაიმტაიმი“ მეხუთედ ატარებს. ჩვენ ვიხსენებთ გმირებს. ეს ის გმირები არიან, ვის სიცოცხლეზეც ნამდვილად დგას საქართველოს სახელმწიფოებრიობა. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც ქედს არ იხრის ამ გმირების ხსოვნის წინაშე. წლევანდელი ხსოვნის კვირეულიც ამ ფარგლებში ჩაივლის. სანამ ვიარსებებთ, მზად ვიქნებით იმისთვის, რომ ეს ხსოვნა და ტკივილი თქვენთან ერთად ვატაროთ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ტელეკომპანია „თივიესს“, რომლის დახმარებითაც ჩვენ დღეს ეს ექსპოზიცია წარმოვადგინეთ.

გიორგი კეკელიძე: - ბიბლიოთეკაში ხშირად გადავხედავ ხოლმე მასალებს, რომლებიც სხვადასხვა ომებს ეხება. ისტორიას ერთი უცნაური თუ არასასიამოვნო თვისება ახასიათებს: დროში ახლო გმირებს ნაკლებად გულისხმიერად ეკიდება, ის უფრო წარსულში დაღუპულ გმირებზე წერს. ამ კუთხით მნიშვნელოვანი წიგნია „გმირი“, რომელიც პერიოდულობით გამოდის. ეს წიგნი, სამწუხაროდ, ერთადერთია, რომელიც აგვისტოს ომში და ავღანეთის მისიის დროს დაღუპულ გმირებს ეხება. ჩვენ ამ წიგნს საგანგებო ადგილს დავუთმობთ, რომ თავი გაახსენონ ადამიანებს.

კახი კახიშვილი: - მისასალმებელი ინიციატივაა. წელიწადის 365 დღიდან არ შეიძლება მხოლოდ ერთ დღეს ვიხსენებდეთ ამ გმირებს. რაც დრო გადის, უფრო ცივდება დამოკიდებულება და ჩვენ იმისთვის უნდა ვიყოთ, რომ გავიხსენოთ ეს გმირები.

ირაკლი ბათიაშვილი: - ამ ბიჭების გმირობაზე და თავგანწირვაზე დგას ჩვენი სახელმწიფო. ჩვენ პატივი უნდა მივაგოთ აფხაზეთში და სამაჩაბლოში დაღუპულების ხსოვნას. ისინი დაეცნენ ბრძოლის ველზე. ისინი სამშობლოს გარე აგრესიისგან იცავდნენ. სანამ ეს გმირი ბიჭები გვემახსოვრება, გვემახსოვრება მთავარი მისია - მთლიანობის და დამოუკიდებლობის იდეა.

ჯონდი ბაღათურია: - დიდი მადლობა მინდა ვუთხრა „პრაიმტაიმის“ კოლექტივს ამ ტრადიციის დამკვიდრებისთვის. ნებისმიერი გმირის ცხოვრება ლამპარივითაა. ის უფრო კაშკაშა ხდება. ახალ ხელისუფლებაში ბევრი ჩვენი მეგობარია, მინდა მათგან ეს გმირები დაფასდნენ. მეტი ყურადღება სჭირდება ამ ხალხს.

პაატა დავითაია: - გმირების სასაფლაოზე არ დავდივარ. ვერ მივდივარ, იმიტომ, რომ მე მრცხვენია, რომ მე ცოცხალი ვარ და ისინი მკვდრები არიან. მივდივარ მხოლოდ მემორიალთან. მე მომიწია ბევრი ჩემი თანამებრძოლის აფხაზეთის ომში დამარხვა და დამნაშავედ ვგრძნობ თავს. თქვენ დიდი მადლობა, რომ ასეთი შვილები გაზარდეთ.

ანი მიროტაძე: - სამშობლო არის ერთი და ჩვენ ყველანი უნდა ვიყოთ მზად მსხვერპლისთვის. თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ, რომ სამშობლოს გაუზარდეთ გმირები, რომელთა სისხლით ვართ აქ. ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გააკეთებს იმდენს თავისი გმირებისთვის, რამდენსაც ისინი იმსახურებენ.

მამუკა გიორგაძე: - მადლობა „პრაიმტაიმს“, რომელიც ყოველწლიურად გვახსენებს თითოეულ ჩვენგანს და სახელმწიფოს თავის მოვალეობას. დღეს ამ ბიჭების დაღვრილი სისხლი იცავს საქართველოს. ამ ბიჭების სახელი დღესაც აგრძელებს ბრძოლას.

ვაჟა შეყლაშვილი (ილია შეყლაშვილის მამა): - შინდისში დაღუპული 17 ჯარისკაციდან ერთ-ერთის მამა ვარ. აგვისტოში დაიბადა და აგვისტოში დაიღუპა. 12 დღეში 24 წლის უნდა გამხდარიყო. მადლობა „პრაიმტაიმის“ კოლექტივს ასეთი გულისამაჩუყებელი ღონისძიების მოწყობისთვის. მინდა ხელისუფლებას

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ების ცსოვნის მეცუთე კვირეული

მამუკა გიორგაძე: „მადლობა „პრაიმტაიმს“, რომელიც ყოველწლიურად გვაცსენებს თითოეულ ჩვენგანს და სახელმწიფოს თავის მოვალეობას. დღეს ამ ბიჭების დაღვრილი სისხლი იცავს საქართველოს“

მივმართო: შინდისში, იმ ადგილას, სადაც 17 ჯარისკაცი დაილუპა, უნდა დაიდგას ამ ბიჭების ძეგლი, რომელსაც მოქანდაკე ნუგზარ ჭავჭავაძე თავისი ინიციატივით აკეთებს. ძეგლის რეკონსტრუქციას ფინანსები სჭირდება. იქნება მომავალი წლის ამ დროს მაინც მოხდეს ძეგლის გახსნა.

ლია ღვინიაშვილი (სოსო ღვინიაშვილის დედა): - დაილუპა ცხინვალში, შევიდა დაჭრილების გამოსაყვანად, მაგრამ ცეცხლი დახვდა... 20 წლის იყო. ასეთ დღეებში ახლდება ჩემი ტკივილი, მაგრამ მადლობა ყველას, ვინც ამ ბიჭების ვაჟკაცობას დღემდე აფასებს. სიზმრად მანუგეშებს, ჩვენ ერთად ვიქნებითო.

მარინე ნინიაშვილი (ბესიკ ნინიაშვილის დედა): - ასეთი ღონისძიება ამ გმირი ბავშვების დიდი დაფასებაა. თითქოს მეორედ იბადებიან. ჩემი შვილი 2011 წლის დეკემბერში ავღანეთში დაილუპა. ხშირად მესიზმრებოდა, დედიკო, მოვდივარ, მალე მოვალო. და მალე შევიტყვე, რომ ორსულად ვიყავი, 42 წლის ასაკში. შარშან, სექტემბერში, კესო გავაჩინე. რომ ვაკვირდები, სულ ბესოს ჰგავს, სახით, ქცევებით. მას ცოლი კი ჰყავდა, მაგრამ შვილი არ დარჩენია, 23 წლის იყო და დაიკო გამოგვიგზავნა. მეამაყება, რომ ასეთი შვილი მყავდა. კარგი შვილი იყო, მშობლების შვილი, სულ ოჯახზე მოფიქრალი.

დარიკო ბერიძე (თეიმურაზ ბერიძის და): -ჩემი ძმა თემური და მაზლიშვილი რომან ზოიძე ერთად დაილუპნენ სოფელ შინდისში. ერთად აიფეთქეს თავი. ვიცი, შინდისის მოსახლეობა ითხოვს შინდისის გმირების სახელზე ეკლესიის აშენებას. ერთი თვის წინ სამსახურს რომ ვიწყებდი, ძმა დამესიზმრა სამხედროს ფორმაში და გზა დამილოცა.

ნუნუ თენიაშვილი (ზაურ თენიაშვილის დედა): - ექვსი წელი გავიდა, ჩვენთვის არაფერი შეცვლილა. ყველა მშობლისთვის ეს ყველაზე დიდი დარტყმაა. ვნატრობ, რომ საქართველოში ასეთი უბედურება არ განმეორდეს. ცხინვალში 9 აგვისტოს დაილუპა. ორ დღეში სახლში ვიქნებიო და მას შემდეგ გაქრა... მატყუებდნენ რაღაც პერიოდი. 15 ოქტომბერს კი მუხადგვერდის სასაფლაოზე აღმოვაჩინე. ოზურგეთში აღარ გადავსვენე, ჯარისკაცებთან ერთად დავტოვე. ერთი შვილი მყავდა...

ნელი ბეგიაშვილი (ზურა ბეგიაშვილის დედა): - მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ჩვენი შვილები არ გავიწყდებათ. ზურა 42-ე ბატალიონის ექიმი იყო. მიჭირს, ვერაფერს გეტყვით, შვილო...

ლიანა ტერაშვილი (ლევან იოსებიძის დედა): - ვაზიანის მეოთხე ბრიგადაში მესამე ასეულში იყო, ცხინვალში დაილუპა. მათი ასეულიდან 17 ბიჭია დაღუპული. აგვისტოს დღეები ჩვენთვის განსაკუთრებით მტკივნეულია. მადლობა თაკო ფხაკაძეს, რომ ამ ბიჭების ბიოგრაფიაზე წიგნი გამოსცა და საქართველოს გააცნო ეს ომში დაღუპული ბიჭები. დიდი საქმეა ავღანეთში დაღუპულ ბიჭებზე გამოცემული წიგნიც. ეს პატივის მიგებაა. მშობლებისთვის ყველაზე საამოა, ჩვენი შვილების სახელი ახსოვთ.

ნინო კაპანაძე (ბესიკ კაპანაძის დედა): - სიცოცხლის ბოლომდე გაუნელებელი ცეცხლი მიკიდია. ვწუხვარ, როგორც ჩემი, ისე სხვისი შვილების გამო. მადლობა თქვენ რედაქციას ამ დაუვიწყარი წუთებისა და გულისხმიერებისთვის, რომელსაც ჩვენი შვილებისთვის იმეტებთ. შვილებისთვის, რომელთაც ძალიან ბევრი აუხდენელი ოცნება დარჩათ შეუსრულებელი. დააკლდნენ ყველას და მარადისობაში გადავიდნენ. ორჯერ ერაყიც მოიარა და 27 წლის ასაკში ყველაფერი მოასწრო. წლინახევრის ვაჟიც დაგვიტოვა, იმედი და სიცოცხლე. ექვსი წელი ხდება რაც აღარ არის, მაგრამ ასე მგონია, 6 წუთიც არ მომშორებია გვერდიდან ჩემი შვილი. ეზოში შემოსულს ვხედავ, გვეფერება ჩვეული სითბოთი და სიყვარულით.

ლიზა აბიათარი (გიორგი აბიათარის დედა): - ჩემი შვილი 18 წლის გახდა თუ არა, აგვისტოს ომში მოხალისედ წავიდა. რამდენჯერმე დააბრუნეს, კლასელებთან ერთად, მოხალისედ მაინც წავიდა. ომში ორი თვის და ათი დღის წასული იყო 8 აგვისტოს ჩამოყრილ კასეტურ ბომბებს შეეწირა. დაღუპულთაგან ოთხი დედოფლის წყაროდან იყვნენ - გოჩა ილურიძე, ბესიკ მამიაური, ილია შავერდაშვილი და ჩემი გიორგი. ერთ კასეტურ ბომბზე აფეთქდნენ. გიორგის წლისთავზე სახლის კარებში ორი მერცხალი შემოფრინდა. გოჩა და გიორგი იყვნენ-მეთქი, მაშინვე ვთქვი. 5 აპრილს გიორგის დაბადების დღესაც შემოფრინდა მერცხალი. დედა გენაცვალოს, ალბათ, შენ მოხვედი-მეთქი, ვუთხარი. ახლახან, აგვისტო რომ მოახლოვდა, ეზოში მივდიოდი და ვიგრძენი უკან წელზე ძალიან მაგრად მომიჭირა ხელი. გიორგი იყო... წამოდი, დედა, არ გშიამეთქი, დავეკონტაქტე. ვიგრძენი სახლამდე მომყვა მისი ენერგია. ძალიან ძლიერი იყო, არ ვიცი სიკვდილი როგორ მოერია. შეიძლება თქვან, დედის ფანტაზიის ნაყოფიაო, მაგრამ მე ჩემს შვილს ყოველთვის ვგრძნობ... დიდი მადლობა „პრაიმტაიმს“. ერთადერთი დაღუპული შვილის დედა ვარ და მინდა მუხლმოყრით გითხრათ მადლობა ჩვენ შვილებს რომ არ ივიწყებთ. მე მგონი მხოლოდ თქვენ გახსოვთ ჩვენი შვილები.

ჯიმი კურდღელაშვილს დედის და დის წერილი

„შვილო, ჯიმი, ექვსი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენგან წახვედი. წახვედი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი შენს მშობლებს, და-ძმას. ყველას, ვინც კი გიცნობდა, გული ატკინე. განსაკუთრებით დედას გაუპე გული შუაზე. დღედაღამ შენ მოგტირი, შვილო, თვალწინ მიდგას შენი ლამაზი სახე. ისევ ისე გელი შვილო, როგორც გელოდი ჯარიდან მოსასვლელს, გელი... ასე მგონია, ახლა შემოაღებ კარს, გულში ჩაგიკრავ და დაგიკოცნი ლამაზ სახეს, ახლაც ყურებში ჩამესმის შენი ძახილი, ეზოში რომ შემოხვიდოდი და დამიძახებდი - დედიო. ასე მგონია ისევ დამიძახებ, ხუმრობით ისევ რაღაცას მომატყუებ, ისევ ხელში ამიტაცებ და დამაპრონიალებ შენი იუმორით სავსე სიცილით. ძალიან მენატრები, შვილო. გაუსაძლისია უშენოდ ცხოვრება. რაც დროს გადის, გული უარესად მიკვდება შენ და-ძმას რომ შევცქერი და შენ მათ გვერდით არ ხარ. შენი 3 წლის დისშვილი დასცქერის შენ სურათებს და ძია-ძიას გაიძახის. მოსწრებოდი მაინც მის დაბადებას. შენ ხომ ყველა გიყვარდა, ყველას გულშემატკივარი იყავი, შვილო. ყველგან სიკეთეს თესდი. ამ მოკლე ცხოვრების მანძილზე ამდენი სითბოსა და სიყვარულის მოპოვება შესძელი 22 წლის ვაჟკაცმა. მოვდივართ შენს საფლავზე, ყველა ვეფერებით ქვაში გაყინულ შენ ლამაზ სახეს და გული მიკვდება, რომ გარშემო შემოგცქერიან შენი და-ძმა, შენთვის უცნობი სიძე, რძალი, დისშვილები და მათთან ყოფნა არ შეგიძლია. ისღა დამრჩენია, შენ გაყინულ სურათებს ვეფერო და შენ საფლავს ვუარო. მაგრამ ვამყობთ შენი მშობლები, რომ ასეთი ვაჟკაცი გავუზარდეთ სამშობლოს. შენ ხომ სამშობლოს დაცვას და ერთიანობას შესწირე თავი. მსუბუქი იყოს შენ გულზე დაყრილი მშობლიური მიწა.

შენი გამწარებული დედა“

„ჩემო უსაყვარლესო ძამიკო. ექვსი წელინადია, რაც ჩემგან წახვედი და მარტო დამტოვე. ნეტა იცოდე, როგორ ძალიან მომენატრე. მომენატრა შენი სახე, ხმა, სიცილი. ახლა რომ აქ იყო, ჩემთან, წარმომიდგენია, როგორი გახარებული იქნებოდი შენი დისშვილებით. სხვის შვილებს გულში იხუტებდი, ძალით აძახებინებდი ძიას. ახლა კი ჩემი ლუკა სულ ძია-ძიას გაიძახის, შენ სურათებს რომ ათვალიერებს. ძალიან მაკლიხარ, ძმაო. შენით დატოვებულ სიცარიელეს ვიტალი მივსებს. შენ რომ ვერ გეფერები, მას ვეფერები. თითქოს ამით ვიღებ ცოტა შვებას, მაგრამ შენგან დატოვებულ სიცარიელეს მაინც ვერ ვივსებ. სადაც კი დავდივარ ყველგან შენ გეძებ. ვცდილობ ამდენ ხალხში ნაცნობი სახის დანახვას. მაგრამ ვერ ვახერხებ. სად ხარ, ძმაო? რატომ მიგვატოვე? არ იცოდი, რომ უშენოდ ცხოვრება ძალიან გაგვიჭირდებოდა? ნათელში ამყოფოს, ძმაო, ღმერთმა შენი ულამაზესი სული.

შენი მონატრებული დაიკო“

გმირ პაატა კაჭარავას ოჯახი ყურადღებას ითხოვს!

პაატა კაჭარავა აბაშის რაიონის სოფელ ნაისაკოვოდან არის. გმირის დედა, ქალბატონი ლიანა კაჭარავა შვილის საფლავთან დაკავშირებით თავის გულისტკივილს გამოთქვამს.

ლიანა კაჭარავა (პაატა კაჭარავს დედა): - თუ ჩემი შვილი გმირია, მისი საფლავი ასეთი დავიწყებული არ უნდა იყოს. სოფელში შემომავალი გზა გაკეთებულია, მაგრამ ცენტრთან ასფალტი წყდება. მეორე ცუდი გზაა, რომელსაც სასაფლაომდე მივყავართ. მხოლოდ ერთი კილომეტრი დატოვეს გასაკეთებელი. ძალიან მეწყინა, ამ გაუკეთებელი მონაკვეთის ნახვა. ჩემი შვილი აღარ ახსოვთ. გამგეობა პაატას სახელზე სტადიონის გაკეთებას გვპირდებოდა, არაფერი არ გააკეთეს. ამას ვინ დაეძებს, შვილის საფლავამდე ნორმალური გზით რომ მივიდე, ხომ შეიძლება? დაკრძალვის დროს ხრეში დაყარეს. ახლა ეს გმირი ყველას მიავიწყდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ერთი დღე ნუცა ბუზ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ალაძესთან ერთად

ONE DAY

ONE DAY

ფოტო: თინა თუთისანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ვანიკო თარხნიშვილი

განო და კოტე

დათუნა სულიკაშვილი



მარიკო ებრალიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ფოტო: თინა თუთიხანი

მაკა შალიკაშვილი

ლენუკა ყიფშიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნიკიტა მარშუნოკი: „კაზანტიპზე“ ნარკოტიკებს და საჯარო სექსის სცენებს ვერ ნახავთ, ამაზე არც იოცნებოთ“

„ყველას ვაჩვენებთ როგორ უნდა აკეთო საქმე სწორად“

ნანა შონია

ანაკლიაში „კაზანტიპის“ სამზადისი აქტიურ ფაზაში შევიდა. რამდენიმე დღეში აქ ათასობით ტურისტს და მსოფლიოში აღიარებულ ელექტრონული მუსიკის გრანდებს ელოდებიან.

„კაზანტიპის“ რესპუბლიკის ყველაზე მთავარი სცენა და ამფითეატრი დასრულებულია. რესპუბლიკის ტერიტორიაზე, 20-30 აგვისტოს ჩათვლით, სულ ოთხი სცენა იქნება განთავსებული, სადაც მუსიკოსები 24 საათის მანძილზე დაუკრავენ.

პირველად საქართველოში! გარი გერბერი, ჯეიმს ჯონსი, რიკარდო ვილაბოსი, სეტ ტროკსლერი - ეს ის მუსიკოსები არიან, ვისაც წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება და ვინც დღეს მსოფლიოს ყველაზე მოდურ მუსიკას სთავაზობს. სწორედ ისინი მოდიან ანაკლიაში, რესპუბლიკა „კაზანტიპის“ პროექტში მონაწილეობის მისაღებად და, რაც მთავარია, საზოგადოებას ცოცხალ მუსიკას შესთავაზებენ.

მათ გარდა პროექტის ორგანიზატორები, თანამედროვეობის ათეულობით საუკეთესო მუსიკოსისა თუ დიჯეის ჩამოყვანას გეგმავენ, რომლებიც, თავის მხრივ, რესპულიკა „კაზანტიპის“ ყველა სტუმარს დაუვიწყარ ზაფხულს ჰპირდებიან. პროექტში ქართველი შემსრულებლებიც მონაწილეობენ.

„რეალობის რეალური ალტერნატივა“, პროექტის გრანდიოზულობიდან გამომდინარე, ყველა მსურველს ჩემოდნის დროულად ჩალაგებას და „კაზანტიპზე“ მოსახვედრად ვიზების დროული შეძენისთვის მოგიწოდებთ.

„კაზანტიპის“ ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, წელს ღონისძიებებზე დასწრება ქართველ გოგონებს უფასოდ შეეძლებათ, თუმცა ამისთვის რეგისტრაციის დროული გავლაა საჭირო. ზუსტად რამდენმა ადამიანმა შეიძინა რესპუბლიკაში მოსახვედრი ვიზა ამას ორგანიზატორები კატეგორიულად ასაიდუმლოებენ, თუმცა ცნობილია, რომ ეს რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევს. ვიზების მქონე ქართველების რიცხვი არც ისე ცოტაა.

ანაკლიისთვის „კაზანტიპის“ ეკონომიკურ მხარეზე აქტიურად საუბრობენ ადგილობრივები, რომლებმაც ბანკებიდან სესხის გამოტანა და გარკვეული ინფრასტრუქტურის შექმნა სწორედ ამ ღონისძიებისთვის მოახერხეს.

პარალელურად, აქტიურად ჩნდებიან „კაზანტიპის“ მოწინააღმდეგეები, ამ კუთხით კი განსაკუთრებით აქტიურობს სასულიერო საზოგადოება, რომლებმაც ადგილზე გარკვეული სახის აქტივობები დაგეგმეს.

სასულიერო პირებთან შეხვედრის სურვილს გამოთქვამს „კაზანტიპის“ რესპუბლიკის პრეზიდენტი ნიკიტა მარშუნოკი, რომელიც მზად არის ნებისმიერ კითხვაზე გასცეს ამომწურავი პასუხი.

„მე არ ვიცი რამდენი ადამიანის გამოყვანას აპირებენ ისინი აქციაზე. ადამიანთა რაოდენობას არ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, თუმცა მე მზად ვარ, ნებისმიერ მათ კითხვაზე გავცე ამომწურავი პასუხი. წყნარად და ემოციების გარეშე შევხვდე მათ. 14 აგვისტოს, რა თქმა უნდა, მე მექნება უფრო მეტი საქმე, მაგრამ თუ ისინი შეწუხდებიან და ჩამოვლენ აქ, მე, რა თქმა უნდა, შევხვდები. პირიქით, მაისის თვიდან მოყოლებული, მაქვს მათთან შეხვედრის სურვილი, თუმცა ისინი ამაზე არ მოდიან“, - აცხადებს მარშუნოკი.

მანამდე კი „კაზანტიპის“ რესპუბლიკის პრეზიდენტი ეკონომიკის პრიორიტეტების გადახედვას ურჩევს და პროექტის ეკონომიკურ მხარეზე საუბრობს.

ნიკიტა მარშუნოკი, „კაზანტიპის“ რესპუბლიკის პრეზიდენტი:

- ვფიქრობ, რომ მორალურ მხარეზე საუბარი საერთოდ არ უნდა იყოს, რადგან აქ არაფერი ისეთი არ არის. კიდევ ერთხელ ხმამაღლა ვაცხადებ, ის, რაც თქვენი კანონმდებლობით დაშვებული არ არის, „კაზანტიპზე“ არ იქნება. რომელ მორალზეა საუბარი, როდესაც ამდენი ბორდელი, ქუჩის პროსტიტუცია და კაზინოა. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია ეკონომიკის მინისტრის პოზიცია; წესით, მინისტრი ეკონომიკურ პრიორიტეტებზე უნდა ფიქრობდეს. მე მას პრიორიტეტების გადახედვას ვურჩევ. მე მას ანაკლიაში ბიზნეს-ფორუმზე შევხვდი, ამიტომაც თავიდანვე ჩემთვის ცნობილი იყო მისი დამოკიდებულება. ამ პროექტის ეკონომიკური მხარე ბევრად უფრო დიდია, ვიდრე მასზე მიდის საუბარი და ის, რეგიონის განვითარების თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია. ვერავის იპოვით ისეთს, ვინც ამ პროექტზე უარს ამბობს. მე კარგად მესმის, მათ აიღეს კრედიტები, მოაწესრიგეს ყველაფერი, იმისთვის, რომ ტურისტები მიიღონ და შემოსავალი ჰქონდეთ. ყველა ჩართულია ამ ყველაფერში, ამიტომაც მინდა ყველას ვურჩიო, შეიგრძნონ პროექტის ეკომომიკური მხარე. აქ უამრავი ადამიანია დასაქმებული და ეს ხალხისთვის დამატებითი შემოსავალია. მათ უნდათ სამსახური, ჩვენ - ვაძლევთ.

- ძალიან ბევრი საუბარია იმაზე, რომ „კაზანტიპი“ ანაკლიაში 10 წლის მანძილზე ჩატარდება, ამაზე რას გვეტყვით?

- როდესაც „კაზანტიპი“ მორჩება და 1 სექტემბერი გათენდება, ჩვენ მოვისმენთ ხალხის პოზიციას. თუ თქვენ არ გინდათ, რომ „კაზანტიპი“ თქვენს ქვეყანაში იყოს, დაგემშვიდობებით. ჩვენ სერიოზული ხალხი ვართ და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აქ ჩაგვეტარებინა ეს ღონისძიება. ეს იყო სერიოზული რამ, შესაძლოა, ამ გზაზე რაღაც დაბრკოლებები იყოს, მაგრამ ამ დაბრკოლებებისთვის ჩვენ, ფაქტობრივად, დრო არ გვაქვს, რადგან აქ 24-საათიან რეჟიმში მიდის მუშაობა. რაც შეეხება გავრცელებულ აზრს, იქნება თუ არა საჯარო სექსი და ნარკოტიკები, გეტყვით! აქ საჯარო სექსის სცენებს და ნარკოტიკებს ვერ ნახავთ, ამაზე არც იოცნებოთ. ჩვენ პატივს ვცემთ კანონმდებლობას და ყველაფერი ამ კანონმდებლობის შესაბამისად მოხდება.

- რაც შეეხება უსაფრთხოებას, როგორ აპირებთ ამ ადამიანების უსაფრთხოების ნორმების დაცვას?

- ეს კითხვა საერთოდ არ ისმის, რადგან საქართველოში სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები მოწოდების სიმაღლეზე დგანან. ისინი პროფესიონალები არიან და დაიცავენ უსაფრთხოებას. ამიტომაც აქ კანონის ჩარჩოდან ვერავინ გავა.

- ბევრი საუბარი მიდის იმაზეც, რომ რუსეთში პოპულარული ფესტივალი „კუბანა“ შესაძლოა ანაკლიაში ჩატარდეს, თუ გაქვთ ამაზე ინფორმაცია.

- არ ვიცი, ალბათ, ეს შემთხვევითი არ არის და ისინი უყურებენ როგორ ჩატარდება აქ „კაზანტიპი“. რომ ნახავენ, რომ ინფრასტრუქტურა არის, ისინიც იგივეს მოინდომებენ. მნიშვნელოვანია, რომ ანაკლიაში იქნება სხვადასხვა პროექტები. რაც შეეხება „კაზანტიპს“ ამაზე გეტყვით, მიუხედავად იმისა, რომ აქ მთავარი მუსიკა არ არის, აქ იქნება ყველაზე მაღალი ხარისხის ცოცხალი მუსიკა. ჩვენ არ ვაპირებთ ჩვენი მუსიკალური ფორმატის შეცვლას, პირიქით, საქართველოში ისეთი შემსრულებლების ჩამოყვანას ვგეგმავთ, რომლებიც ყველაზე აქტუალურები არიან მსოფლიოში. მორიდების გარეშე გეტყვით, აქ იმ დონის „ვაინაპი“ იქნება, რაც საქართველოში არასდროს ყოფილა. ჩვენ ყველას ვაჩვენებთ, როგორ უნდა აკეთო საქმე სწორად.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ექიმებისთვის“ ასეთ ოთხეულს დიდი ხანი ეძებდნენ

my View

თამარ გონგაძე

„რუსთავი 2“-ის საერთაშორისო პროექტების პროდიუსინგმა სექტემბრამდე არ მოიცადა, ახალი შოუ დაიწყო და სწორადაც მოიქცა. ისეთი საინტერესო და რეიტინგული ამერიკული შოუ, როგორიც „The Doctors“ არის, ნამდვილად ახლა უნდა დაწყებულიყო. ზაფხულს თავისი ბევრი აქტუალური თემა აქვს, რომელმაც ამ გადაცემაში უნდა გაიჟღეროს - გარუჯვა, საკვებით მოწამვლა, დიეტა და ათასი რამ. ზაფხულის მიუხედავად „ექიმების“ პირველ გადაცემას ბევრი მაყურებელი ჰყავდა. უბრალო ახსნა აქვს - სადაც არ უნდა ვიყოთ და რა სეზონიც არ უნდა იყოს, ჯანმრთელობა და მასთან დაკავშირებული საკითხები ყველგან საინტერესოა. ექიმებზე კარგი არჩევანი აქვთ გაკეთებული. შოუ მაყურებინეს. ისე კარგად აქვთ შეზავებული საინტერესო თემა იუმორთან და გადმოცემის უნართან, რომ პროდუქტი სავსებით მოსაწონია. დინამიკურია და მთელი მუღამიც იმაშია, რომ არ არის დიდაქტიკური, მოსაწყენი სამედიცინო გადაცემა, სადაც ექიმები სერიოზული გამომეტყველებით სამედიცინო ტერმინებით ლაპარაკობენ. ქართული რეალობისთვის მისაღებ გასართობ, საინტერესო, პოპულარულ თემებს გვპირდებიან

„ემის“ პრემიის მფლობელ, სატელევიზიო ლიცენზირებულ ანალოგზე ორი წელიწადია იმუშავეს. როგორც პროდიუსერები ამბობენ, ეს ამერიკული ფორმატი რთული აღმოჩნდა.

გიორგი ხაბურზანია (პროდიუსერი): - ამერიკელებს 600-ზე მეტი გადაცემა აქვთ გაკეთებული. ფორმატის ყიდვის ყველაზე დიდი მოტივი იყო ის,

რომ სეზონების განმავლობაში ყველა საინტერესო სამედიცინო თემაზე აქვთ გადაცემა გაკეთებული. ეს სამედიცინო თემები აქტუალურია, როგორც ამერიკაში, ისე აქ. ეს მასალა მათ კვლევებსა და გამოცდილებაზეა დაფუძნებული. ეს დროც იმას დასჭირდა, რომ გვენახა, რამდენად გამოსადეგია ის მასალა, რაც მათ აქვთ. ასევე დიდი დრო დასჭირდა ექიმების მოძებნას. თავიდან იყო იმაზე საუბარი, რომ ცნობილ სახეს წაეყვანა შოუ, რადგან ექიმს გაუჭირდებოდა სატელევიზიო გადაცემის წაყვანა. ბოლოს ეს კანდიდატურები ვიპოვეთ და აღარ გახდა საჭირო სელებრითის მოძებნა. ამ შოუს წამყვან ექიმს ეს კრიტერიუმები უნდა დაეკმაყოფილებინა: უნდა ყოფილიყო პროფესიონალი და კარგი რეპუტაციის მქონე, ძალიან კომუნიკაბელური და სასარგებლო რჩევების მაყურებლისთვის გასაგებ ენაზე გადმოცემის უნარით დაჯილდოებული და მესამე - მალე უნდა აეთვისებინა კამერებთან მუშაობა, რაც ადვილი არ არის. გაგვიმართლა. ოთხივე ძალიან კომუნიკაბელურია. მათ სატელევიზიო ფორმაში მოყვანაზე სამ თვემდე ვიმუშავეთ.

ოთხეული - კოტე მათითაშვილი (პლასტიკური ქირურგი), ნინო ჩოგოვაძე (მეან-გინეკოლოგი), დავით ლოლაძე (ზოგადი ქირურგი) და ლევან ხარაშვილი (ბავშვთა ქირურგი) ამ შოუმდე ერთმანეთს არ იცნობდნენ, თუმცა უკვე დამეგობრდნენ.

- გიორგი, ზაფხულში რატომ დაიწყეთ შოუ?

- შოუ ზაფხულში იმიტომ დავიწყეთ, რომ არის თემები, რაც ამ დროს აინტერესებს ადამიანს - მონამვლის, გარუჯვის საფრთხეები, ჰიგიენის თემები. რაც აქტუალურია, ყველაფერს განვიხილავთ, თან საინტერესოდ, დინამიკით, სახალისოდ, იუმორით. ოთხივეს გადასარევი იუმორი აქვს, შეხუმრებულები არიან. ამ სამ თვეში მათ შორის კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. თითქოს დიდი ხანია მეგობრობენ. მაყურებელი ამ გუნდის მიმართ დადებითად განეწყობა. ამ შოუში ბევრი მითი დაიმსხვრევა. არის საკვები, გვგონია, რომ არ არის მავნე და სინამდვილეში მავნეა ჯანმრთელობისთვის. არ დარჩება მაყურებელი, რომელსაც არ დაინტერესებს შოუ. ჩავრთავთ მაყურებელს, კითხვებზე პასუხებს გავცემთ, მოვიწვევთ მაყურებელს.

- ბატონო კოტე, რატომ დათანხმდით პროექტს?

კოტე მათითაშვილი: - საინტერესო პროექტია და ამიტომ დავთანხმდი. ამერიკული ანალოგი მაქვს ნანახი, რომელიც ამ შოუს წყაროა. გასაგებ ენაზე საინტერესო თემებზე ვისაუბრებთ.

- როგორ მოერგეთ გადასაღებ მოედანს?

- ნორმალურად. ექიმები არ ვართ ის ადამიანები, რომელთაც საზოგადოებასთან კომუნიკაცია გვიჭირს. არც კამერებთან მუშაობა აღმოჩნდა რთული, თუმცა ამას მუშაობა და გამოცდილება უნდა.



ნელ-ნელა დავიხვეწებით. შვიდი კამერა მუშაობს, ცალკე აუდიტორია ზის, რეპეტიციებია. მზადებას მოითხოვს, უცებ მიხვედი, ჩაწერე, წამოდი - ასე არ არის. ირჩევა თემა, მერე პროდიუსერებს თემების დახვეწაში ვეხმარებით, ვერკვევით კონკრეტულ თემატიკაში. მედიცინას ბევრი დარგი აქვს, შეიძლება რომელიმე მათგანში არ ვიცოდე რაიმე. და ამიტომ თემატურად, ინტერნეტით მინიმალური ინფორმაციის გადაზუსტება გვიწევს.

- ამ შოუს ნაწილია იუმორი, რაც ექიმებს უდავოდ გაქვთ.

- იუმორის გარეშე არაფერი გამოდის ცხოვრებაში. გადაცემაც საკმაოდ გაჯერებული იქნება იუმორით. მედიცინა საინტერესოა, მაგრამ როცა მასზე შოუ მზადდება, მარტივ ენასთან ერთად იუმორიც უნდა იყოს ჩადებული და კარგი სტუმრებიც უნდა იყვნენ შერჩეულნი. რაც მთავარია, ის მესიჯები, რასაც მაყურებელს გადავცემთ, დასამახსოვრებელი უნდა იყოს. ბევრჯერ მიმიღია მოსაწყენ სამედიცინო ტიპის გადაცემაში მონაწილეობა. „ექიმები“ ასეთი არ იქნება. ჩვენ დადგმები, ექსპერიმენტები, შოუები და მათი ახსნა გვექნება. გვეყოლება სტუმარი ჩემთვის, თქვენთვის, მაყურებლისთვის საყვარელი ცნობილი სახეები, მსახიობები იქნებიან, ჩვენი კოლეგები თუ სხვა ადამიანები. მე ვფიქრობ, ქართულ სატელევიზიო სივრცეში ერთ-ერთი წარმატებული შოუ გამოვა.

- ამასობაში მედიკოსები „გაფეისდებით“.

- საქართველოში ექიმების რეიტინგები მკვეთრად დაცემულია. ჩვენ შევეცდებით ჩვენი ფასიც (არა პირადვნებების) ავწიოთ საზოგადოებაში და ზოგადად დარგისაც - მედიცინის. გვინდა ექიმების პოპულარიზაციას ხელი შევუწყოთ.

EXCLUSIVE

გიორგი ხაბურზანია: „უნდა ყოფილიყო პროფესიონალი და კარგი რეპუტაციის მქონე, ძალიან კომუნიკაბელური და სასარგებლო რჩევების მაყურებლისთვის გასაგებ ენაზე გადმოცემის უნარით დაჯილდოებული და მესამე - მალე უნდა აეთვისებინა კამერებთან მუშაობა, რაც ადვილი არ არის. გაგვიმართლა. ოთხივე ძალიან კომუნიკაბელურია“

„სამ თვეში მათ შორის კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. თითქოს დიდი ხანია მეგობრობენ. მაყურებელი ამ გუნდის მიმართ დადებითად განეწყობა“

კოტე მათითაშვილი: „საქართველოში ექიმების რეიტინგები მკვეთრად დაცემულია. ჩვენ შევეცდებით ჩვენი ფასიც ავწიოთ საზოგადოებაში და მედიცინისაც. გვინდა ექიმების პოპულარიზაციას ხელი შევუწყოთ“



„ექიმები არ ვართ ის ადამიანები, რომელთაც საზოგადოებასთან კომუნიკაცია გვიჭირს. არც კამერებთან მუშაობა აღმოჩნდა რთული, თუმცა ამას მუშაობა და გამოცდილება უნდა. ნელ-ნელა დავიხვეწებით“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N31 (281) ორშაბათი, 11 აგვისტო, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ხსოვნის კვირეული - გმირი

ISSN 1987-7404
9 771987 740005

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება